პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34.
ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთ და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტები: დაკარგვა—1 მ.. განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე. სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48.

ოთხშაბათი, 2 მარტი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 48 (1803)

დ ღ ი უ რ ი

— გუშინ გაიხსნა გერმანიის კომპარტიის ყრილობა.
— პოლონეთი ამერიკას სესხად სთხოვს 100 მილიონ დოლარს.
— დანციგი ეკონომიურ დელეგაციას გზავნის მოსკოვში.
— ტერორის ახალი ტალღა რუმინეთში.
— მექსიკაში დააპატიმრეს რკინიგზელთა გაფიცვის მეთაურები.
— რეპრესიები უნგრეთის სოც. პარტიის წინააღმდეგ.
— ხმები კელლოგის გადადგომის შესახებ.
— საბაჟო ომი გერმანია-პოლონეთს შორის.
— ესპანეთის მთავრობის შედგენა მიენდო ტემანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი"
გრძელდება ხელის მოწერა
მარტისათვის
ხელის მოწერა გარდა კანტორისა მიიღება აგრეთვე სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებ. თ
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მეტი ყურადღება შინამრეწველობას

პარტიისა და ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკის ძირითად ხაზს, როგორც ვიცით, საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს. ესაა ჩვენი სამეურნეო განვითარების ღედაღერძი, რომლის გამაგრება-განვითარებისაკენაც მიმართულია მთელი ჩვენი გულისყური და ენერგია.

მაგრამ პარტიის ამ სავსებით სწორ და ძირითად დირექტივის გატარების დროს ჩვენ ზოგჯერ ვხვდებით მავნე გადახრებს, რომლებიც გამოწვეულნი არიან დასახულ მთავარი ამოცანის ვიწრო ან მრუდათ გაგებით. კერძოთ ეს უნდა ითქვას შინამრეწველობის საკითხზე.

შინამრეწველობა საბჭოთა ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. მასზე ბევრადაა დამოკიდებული მთელ რიგ მტკივნეულ საკითხების მოგვარება. რომელნიც ზოგჯერ დიდ დაბრკოლებას ჰქმნიან ჩვენი მეურნეობის განვითარების საქმეში. მიუხედავად ამისა, შინამრეწველობა მოკლებულია სათანადო ყურადღებას და დახმარებას. პარტიას ამ არანორმალურ მდგომარეობაზე არა ერთხელ მიუქცევია ჩვენი სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების ყურადღება, მაგრამ ამით მდგომარეობა ბევრათ არ შეცვლილა.

სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ერთგვარი გულგრილობა აიხსნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ინდუსტრიალური მედიდურობით". ინდუსტრიალიზაციის მაღლობებიდან ხშირათ ვერ ამჩნევენ იმ ერთი შეხედვით წვრილმან ეკონომიურ ფაქტორებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თვით ამ მთავარი ლოზუნგის განხორციელებისათვის.

შინამრეწველობა წარმოების ერთი იმ ფორმათაგანია, რომელიც კიდევ დიდხან დარჩება ჩვენი მრეწველობის სასარგებლო თანამგზავრათ. ინდუსტრიალიზაციის მტკიცე ხელით გატარება არც პრინციპიალურად და არც პრაქტიკულად არ საჭიროებს შინამრეწველობის შესუსტებას. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენზე, საბჭოთა საქართველოზე, რომელიც უმთავრესად წვრილი მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენს.

შინამრეწველობის საკითხებზე მჭიდროთაა გადანასკული ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხები, როგორიცაა: უმუშევრობა საზოგადოთ და კერძოთ სოფლის უმუშევრობა, საქონლის ნაკლებობა და ამ ნაკლებობიდან გამომდინარე მთელ რიგ საჭირბოროტო ამოცანების მოგვარება.

გარდა ამისა, შინამრეწველობაში დაიბუდა კერძო კაპიტალმა, რომელიც აქ ყველაზე უკეთ გრძნობს თავს. ამავე დროს შინამრეწველობა სოფლისა და ქალაქის კავშირის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ადგილთაგანია. ამიტომ აქ კერძო კაპიტალის სიძლიერე განსაკუთრებით აღსანიშნავია. ეს გარემოება ჩვენ ხშირად გვეპარება მხედველობიდან. ვერავინ უარყოფს იმ არანორმალურ ფაქტს, რომ შინამრეწველობა მოკლებულია შესაფერ ხელმძღვანელობას როგორც მატერიალურს, ისე ორგანიზაციულს.

საქართველოში შინამრეწველობა მრავალსახოვანი და მრავალრიცხოვანია. არის რაიონები, სადაც ბაზრის ერთ მთავარ მასაზრდოებელ წყაროს შინამრეწველობა წარმოადგენს. განსაკუთრებით გაიზარდა შინამრეწველობა იმპერიალისტურ ომისა და რევოლიუციის პირველ წლებში, როცა ქვეყნის საწარმოო ძალები მოშლილი იყო და აღებ-მიცემა დარღვეული.

საჭიროა ამ მნიშვნელოვან ეკონომიურ დარგის ჩვენს საერთო სამეურნეო მშენებლობაში მიზანშეწონილი ჩაბმა. რასაც დღეს, ვერ ვიტყვით, რომ ადგილი აქვს. შინამრეწველთა მრავალი ფენები ჯერ კიდევ არ არიან დარაზმული ორგანიზაციულად. მოუგვარებელია ნედლეულის შეძენის, დამზადებულ საქონლის გასაღების, შრომის პირობების და ფულების საკითხები. შინამრეწველი დღეს ბევრ შემთხვევაში მევახშეებისა და მეწვრილმანეების საწველ ფურს წარმოადგენს.

კრედიტისა და ნედლეულის მიწოდების საკითხი. ბაზრის მოძებნის და საქონლის გასაღების საქმე—ასეთია შინამრეწველთა გაერთიანებების მთავარი საზრუნავი საგანი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უმთავრესად ეკონომიურ მოთხოვნილებათა ნიადაგზე შეიძლება ისეთ წვრილ და დაქსაქსულ მწარმოებელთა გაერთიანება, როგორიცაა შინამრეწველთა მასა. თავის-თავად ცხადია, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ოდნავათაც არ უნდა სცილდებოდეს ჩვენს საერთო მიმართულების ფარგლებს. ის თავის ამოცანა უნდა ისახავდეს მატერიალურად ჩამორჩენილ, ჩარჩ-ვაჭარზე და მევახშეზე დამოკიდებულ შინამრეწველთა მასის ორგანიზაციულად დარაზმვას მათი კერძო კაპიტალისაგან დამოუკიდებელ მწარმოებელ ერთეულებად გადაქცევის მიზნით.

ამისათვის საჭიროა, რომ შინამრეწველთა გაერთიანებები ჩვენს სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში პოულობდენ შესაფერ თანაგრძნობას და მატერიალურ დახმარებას. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ შინამრეწველობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იმისათვის კი, რომ შინამრეწველობის ასეთი მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინო გახდეს, საჭიროა დაძლეულ იქნას ინდუსტრიალიზაციის ამოცანის ყალბი და ზერელე გაგება, რადგან ეს ჩრდილავს მეორეხარისხოვან მნიშვნელობის სამეურნეო ამოცანებს, რომელთა მოგვარების გარეშეც შეუძლებელია ლაპარაკი ინდუსტრიალიზაციის სწორი და ჩქარი გზით განვითარებაზე.

ვისი ბრალია?

(„იზვესტია"-ს მოწინავე წერილი)

ჩვენ ვბეჭდავთ ინტერვიუს, რომელიც პოლონეთის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში, პატეკმა მისცა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს.

ჩვენ გვინდოდა გვესარგებლა ამ შემთხვევით, რათა პასუხი გაგვეცა იმ საკითხებზე, რომელთაც შეეხო ელჩი და ამით გაგვექარწყლებია ის გაუგებრობა, რომელიც შეიძლება წამოიჭრეს ხსენებულ საუბართან გაცნობის დროს.

ბ-ნი პატეკი საუბარს იწყებს მითითებით იმაზე, რომ ორივე ქვეყნის პრესაში ადგილი აქვს „ურთიერთ დაშინების მეთოდებს". ანგარიში რომ გაუწიოთ ამ წერილებს, უნდა ვიფიქროთ, „რომ ომი დაიწყება დაუყოვნებლივ, თუ დღეს არა, ხვალ მაინც",—აცხადებს ელჩი საბჭოთა და პოლონეთის პრესის შესახებ.

პატეკი საჭიროდ სთვლის „ტონის შერბილებას" და „კეთილმეზობლურად მოლაპარაკებას".

ჩვენ მზადა ვართ ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ამ მისწრაფებას იმ საკითხების მეგობრულად განხილვისაკენ, რომლებიც შეეხებიან ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას. ამ მხრივ ჩვენ მივესალმებით პოლონეთის ელჩის ინიციატივას. მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროდ ვსთვლით გავაკეთოთ რამდენიმე არსებითი შენიშვნა. პირველ ყოვლისა, როგორც ეს უკვე აღნიშნულ იყო, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხში ინგლისის ნოტაზე, შემცდარი იქნებოდა ესა თუ ის დამოკიდებულება ორივე ქვეყნის შორის აგვეხსნა საგაზეთო წერილების ტონით. სწორედ პირიქით; პრესა, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივ განწყობილებას, წარმოადგენს არსებულ ურთიერთობის მხოლოდ მაჩვენებელს, ბარომეტრს. მიუდგებით რა ასეთი საზომით როგორც პოლონეთის, ისე საბჭოთა კავშირის პრესის ტონის და შინაარსის შეფასებას, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

არც ერთხელ, არც ერთ შემთხვევაში საბჭოთა პრესას არ უსარგებლნია პოლონეთის მიმართ „დაშინების მეთოდით".

არც ერთხელ, არც ერთ შემთხვევაში საბჭოთა პრესა არ დამუქრებია პოლონეთს პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიის რომელიმე ნაწილის ჩამოგლეჯით. ამავე დროს საკმაო მოვიგონოთ, გაზ. „გლოს პრავდი", რომელიც ძლიერ ახლოს სდგას პოლონეთის ახლანდელ მმართველ წრეებთან, რათა აშკარა შეიქნეს, რომ პოლონეთის პრესა იმავე ხაზს როდი იცავს საბჭოთა კავშირის მიმართ. საკმარისია მოვიგონოთ „გლოს პრავდის" კამპანია, რომელშიაც ის აშკარად მოუწოდებს საბჭოთა კავშირისაგან საბჭოთა უკრაინის ჩამოშორებისაკენ და მისი პოლონეთთან შეერთებისაკენ.

სწორედ უკანასკნელი დეპეშები აღნიშნავენ პოლონეთის მემარჯვენე პრესის სასტიკ გამოსვლებს „გლოს პრავდის" წერილების წინააღმდეგ, რომლებიც დაწერილია პოლონეთის ფედერალიზმის იდეის საფუძველზე და ატარებს პროვოკაციულ ხასიათს საბჭოთა კავშირის მიმართ.

ასეთ წერილების წინააღმდეგ საბჭოთა პრესას, ბუნებრივია, უხდებოდა და უხდება „თავდაცვითი ომის" წარმოება.

თუ პრესას შევხედავთ მის მიერ პოლიტიკურ წრეების განწყობილებათა გამოხატვის თვალსაზრისით, და მხოლოდ ასე შეიძლება მიუდგეთ პრესის შეფასებას, მაშინ სავსებით აშკარა გახდება, რომ „ტონის შერბილების" რჩევა პირველ ყოვლისა მიმართულ უნდა იქნეს სწორედ პოლონეთის პრესისაკენ.

მიუთითებს რა ბუნებრივ ფაქტორზე „ათას ვერსზე მეტ საზღვრების ხაზის" სახით, ელჩი სვამს საკითხს ორ ქვეყანას შორის ეკონომიურ და კულტურულ დაახლოვების აუცილებლობის შესახებ. ჩვენ არამც თუ არ უარვყოფთ ამ დაახლოვების აუცილებლობას, არამედ ყოველმხრივ მივისწრაფით მის განხორციელებისაკენ. ამასთანავე ერთადა ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით და ეხლაც ვამბობთ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის, როგორც კულტურული, ისე ეკონომიური დაახლოვება შესაძლოა მხოლოდ იმ პოლიტიკურ საკითხების მოწესრიგების საფუძველზე, რომლებიც, სამწუხაროდ, აქამდე მოუწესრიგებელი არიან. მიუთითებს რა „პოლიტიკურ საკითხების" არსებობაზე. პატეკი აღნიშნავს, რომ „ამ საკითხების გადაჭრა მოითხოვს განსაზღვრულ დროს. ურთიერთ დათმობას და ორივე მხარის მეზობლურ მოქმედებას". ზედმეტი იქნება იმის მოგონება, რომ ამ საკითხების გადაჭრაში ინიციატივა საბჭოთა კავშირმა აიღო თავის თავზე. თავი რომ დავანებოთ ამ ინიციატივის ისეთ გამოხატულებას, როგორიცაა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმითა სახ. კომ. ამხ. ჩიჩერინის ჩასვლა ვარშავაში 1925 წლის შემოდგომაზე. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ხელახლა აღვნიშნოთ, რომ წარსული წლის 10 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა მიმართა პოლონეთს ფორმალური წინადადებით საგარანტიო [illegible]ლების დადების შესახებ და გადასცა კიდეც ამ ხელშეკრულების პროექტი. მას შემდეგ ჩვენ არა ერთხელ მოგვისმენია პოლონეთის დიპლომატიის ხელმძღვანელთა განცხადებები, რომ ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ.

კერძოდ, პოლონეთის გარეშე საქმითა მინისტრმა ზალესკიმ ვენაში მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „პოლონეთი არავითარ სერიოზულ დაბრკოლებებს არ ხედავს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირთან დადებულ იქნეს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ". ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი განცხადებებით პოლონეთის დიპლომატია გამოდის ყოველთვის, როცა პოლონეთი ამა თუ იმ დაბრკოლებებს განიცდის დასავლეთთან დამოკიდებულებაში. ასე იყო ლოკარნოს შემდეგ, სადაც პოლონეთმა ვერ მიიღო თავისი დასავლეთ საზღვრების გარანტიები, ასე იყო ლიგის დეკემბრის სესიის შემდეგაც, როცა პოლონეთმა გერმანიაზე სამხედრო კონტროლის დაწესების საკითხში იმედი დაჰკარგა.

მიუხედავად ამ განცხადებებისა, საქმე ერთ ადგილზე რჩებოდა. პოლონეთის დიპლომატიის პოზიციების შერყევა დასავლეთში პოლონეთის მხრივ აქამდის იწვევდა მხოლოდ კეთილმეზობლური ფრაზებს საბჭოთა კავშირის მისამართით. ეს ფრაზები არც ერთხელ არ გატარებულა ცხოვრებაში.

ამ სიტყვიერ განცხადებების განხორციელებას კი უმთავრესი მნიშვნელობა აქვს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის და ყველა, ვისაც გულწრფელად სურს ხელი შეუწყოს ამ გაუმჯობესებას, ვალდებულია დაეხმაროს ნათქვამის ცხოვრებაში გატარებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლონეთის დიპლომატების უწინდელ ფრაზებს კიდევ მომატება ახალი ფრაზები, რომლებიც მცირედაც ვერ შეუწყობენ ხელს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვების საქმეს.

მოსკოვი 1 მარტი.

„პოლონეთს სურს კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან"

პოლონეთის ელჩი უარყოფს პოლონეთის აგრესიულ ზრახვებს საბჭოთა კავშირის მიმართ

უცხოეთის გაზეთების უმრავლესობა იწონებს საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტას

სამხრეთ-სლავიის ეკონომიური ორგანიზაციები მოითხოვენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭ. კავშირთან

ურთიერთობა პოლონეთთან

პოლონეთის ელჩის განცხადება

ლენინგრადი, 1 მარტი. ლენინგრადში ჩამოვიდა პოლონეთის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი **პატეკი,** რომელმაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„საბჭოთა კავშირში მე ჩამოვედი, როგორც პოლონეთის ელჩი, რომ ხელი შევუწყო ჩვენს ყოველ მხრივ დაახლოვებას ერთმანეთთან. მაგრამ ამავე დროს მე აქ ყველაზე უფრო მეტად მესმის ხმები ომის შესახებ. მართლაც, მე რომ არ ვიცოდე, თუ როგორია სინამდვილეში ჩვენი ურთიერთობა და რომ ამის შესახებ მხოლოდ ხმებისა და ჟურნალისტების წერილების მიხედვით დამეწყო მსჯელობა, მე მაშინ მეტად სამწუხარო დასკვნამდე უნდა მივსულიყავი და მეთქვა, რომ ომი სულ მალე იფეთქებს,—თუ დღეს არა, ხვალ მაინც. მაგრამ ნამდვილი ფაქტების მიხედვით მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ ქვეყანას არ სურს ომი.

მე შეიძლება მიპასუხონ, რომ პოლონეთის პრესაშიაც შეხვდებით ხშირად ასეთ ხასიათის წერილებს. მაგრამ თავი დავანებოთ დამნაშავეს ძებნას, თავი დავანებოთ ამა თუ მხარის დანაშაულის საკითხის გამოკვლევას. ჩემთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარის სარგებლიანობის საკითხს. **შევარბილოთ ტონი. მოვილაპარაკოთ კეთილმეზობლურად.** იქნებ შევთანხმდეთ. თუ გადაჰარბებული სიფრთხილის გამო ერთ ხელში დავიჭერთ ხმალს და მეორეში—თოფს, მაშინ მართლაც ძნელი იქნება ხელის ჩამორთმევა მეგობრულად. ჩვენ ვართ მეზობლები, რომელთა საზღვრის ხაზი ათას ვერსტზე მეტია. **ჩვენ თვით ბუნება გვიკარნახებს კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას.** როცა ვლაპარაკობთ სავაჭრო-სამრეწველო დაახლოვებაზე. ხშირად გვესმის: „ამას თქვენ იმიტომ ამბობთ, რომ ეს თქვენს ინტერესს წარმოადგენს". დიახ, თუ ეს ასეა, მით უკეთესი. ყველაზე უფრო მტკიცე არის ისეთი ურთიერთობა, რომელიც სანტიმენტალურ მოსაზრებათა გარდა ინტერესებზე ემყარება. ამ ურთიერთობას ჩვენს სახელმწიფოში აქვს წარმატებით განვითარების ყველა შანსები. ამ წელში პოლონეთმა საბჭოთა კავშირში [illegible] ტონა ქვა-ნახშირი [illegible] მნიშვნელოვანი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, თუჯი და სხვა საქონელი. თავის მხრივ პოლონეთმაც შეიძინა საბჭოთა კავშირში ქვავი. გარდა ამისა, პოლონეთი დაინტერესებულია კრივოროჟის მადნით, ბუხარის ბამბით, ჯაგარით, მატყლით და სხ.

დამოუკიდებლად ამისა, მე განზრახვა მაქვს ხელიდან არ გავუშვა არც ერთი შემთხვევა, რომელსაც ჩვენს საერთო მუშაობაში მივყევართ ურთიერთობისადმი დაახლოვებისაკენ. **რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, დღის წესრიგში სდგას საგარანტიო ხელშეკრულების დადება.** ასეთი ხელშეკრულობა პრინციპში შედარებით მარტივია, მაგრამ პრაქტიკულად იგი რთულდება იმის გამო, რომ მას დაუკავშირდენ ზოგიერთ ძნელი საკითხები, როგორიც მაგალითად, ახალი ხელშეკრულების შეთანხმება ჩვენს ძველ ვალდებულებებთან და სხვ. ამ საკითხების მოგვარება მოითხოვს განსაზღვრულ დროს, ურთიერთისადმი დათმობას და ერთმანეთისათვის ხელის შეწყობას. ამ საკითხის განხილვის დროს **ორთავე მხარემ არ უნდა გაუშვას მხედველობიდან ის გარემოება, რომ ჩვენს კარგ მეზობლურ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოების შინაგან ძალთა მშვიდობიანად განვითარებისათვის. საერთაშორისო ურთიერთობაში პოლონეთი სცდილობს მშვიდობიანობის განმტკიცებას და მეგობრული თანამშრომლობის დამყარებას მეზობლებთან".** (ადს).

პოლონეთის პრესამ კილო იცვალა

ვარშავა, 28 თებერვალი. გაზეთ „კურიერ ვარშავსკი"-ში დაბეჭდილია წერილი, რომელიც ეხება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

„მოსკოვში—ნათქვამია წერილში—დარწმუნებული არიან, რომ მეზობლები და პირველ რიგში პოლონეთი, ნებას მისცემენ ინგლისს გამოიყენოს ისინი მომდევნო კონფლიქტების იარაღად და თითქმის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ინგლისის მთავრობამ თავის უკანასკნელ ნოტაში უარყო ეს მოსაზრებები. მაგრამ საბჭოებს ვერ დაამშვიდებს ვერავითარი განცხადებები. საბჭოებმა უნდა გაიგონ, რომ **პოლონეთის ვერავითარი სახელმწიფო ინტერესები ვერ გაამართლებენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გამწვავების პოლიტიკას და მით უმეტეს ომს მასთან. შეუძლებელია შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც დაავიწყებს პოლონეთს იმას, რომ მეზობელ რუსეთთან გრძელი საზღვრის არსებობა მუდმივ ფაქტორს წარმოადგენს".** (ადს).

სამხრეთ-სლავია და საბჭოთა კავშირი

საბჭ. კავშირის ცნობას მოითხოვენ

ვენა, 28 თებერვალი. საკითხი საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ-სლავიას შორის ურთიერთობის აღდგენის შესახებ. კვლავ სდგას სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეების ყურადღების ცენტრში.

ბელგრადის გაზეთი „პრვდა" (დავიდოვიჩის დემოკრატების ორგანო) იუწყება, **რომ მოლაპარაკებაა სამხრეთ-სლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ, დაიწყება ახლო მომავალში და რომ სამხრეთ-სლავიის ეკონომიური ორგანიზაციები მოითხოვენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან. გაზეთი აცხადებს, რომ ეკონომიურ მოლაპარაკებებს მოჰყვება მოლაპარაკება დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ.** (ადს).

დანციგის დელეგაცია საბჭოთა კავშირში

დანციგი, 28 თებერვალი. დანციგის ბაზრობის დირექციამ მოიწვია დანციგის მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენელთა და საბჭოთა კავშირში გასაგზავნ დელეგაციის მონაწილეთა კრება [illegible] ეკონომიურ მდგომარეობასთან გაცნობის მიზნით და საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისათვის. კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა დანციგში **კალინამ,** რომელიც მიესალმა დელეგაციის გაგზავნას.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში გაემგზავრება მაისში და ინახულებს ლენინგრადს, მოსკოვს, ხარკოვს და კიევს. (ადს).

პოლონეთ-გერმანიის კონფლიქტი

საბაჟო ომი გრძელდება

ბერლინი, 1 მარტი. პრესის ცნობით, ბერლინში ჩამოსულ გერმანიის ვარშაველ ელჩის რაუშერის მოლაპარაკებამ გერმანიის მთავრობის დაწესებულებებთან გამოირკვა, რომ გერმანიას ჯერ-ჯერობით არა აქვს განზრახვა ბოლო მოუღოს საბაჟო ომს, და განაახლოს მოლაპარაკება პოლონეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, ვინაიდან პოლონეთის მთავრობის განწყობილება, გერმანიის მთავრობის წრეების აზრით, არ იძლევა ასეთი ცდის წარმატებით დამთავრების იმედს. (ადს).

დამღუპველი კომპრომისი

ბერლინი, 28 თებერვ. ამსტერდამში შესდგა ამსტერდამის და მე-2-ე ინტერნაციონალების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია იტალიის მუშათა მოძრაობის მდგომარეობის შესახებ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ იტალიაში გამეფებულ ფაშისტურ თვითნებობასთან ყოველგვარი კომპრომისის ცდა არა თუ უმიზნოა, არამედ დამღუპველი.

მიღებული რეზოლიუცია სასტიკად ეწინააღმდეგება ამსტერდამის ინტერნაციონალის და „ფორვერტს"-ის წინანდელ პოზიციას, როგორც ცნობილია, ისინი ამართლებდენ იტალიის შრომის კონფედერაციის ბელადებს, რომლებმაც დაადგინეს კონფედერაციის თვითლიკვიდაცია და ხელი მოაწერეს დეკლარაციას ფაშისტურ „კორპორაციებში" შესვლის შესახებ (ადს).

საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტის შემდეგ

ესალმებიან საბჭ. მთავრობის პასუხს

ლონდონი, 1 მარტი. ინგლისის მუშათა პარტიის ნაციონალურმა საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება, **რომელშიაც ესალმება საბჭოთა მთავრობის ნოტაში გამოთქმულ სურვილს ორ ქვეყანას შორის არსებულ გაუგებრობათა მოსპობის შესახებ და მოითხოვს, რათა ინგლისის მთავრობამ ისარგებლოს მოლაპარაკების დაყენების შესაძლებლობით სადაო საკითხის მოსაწესრიგებლათ** ან სპეციალურ ინგლის-საბჭოთა კონფერენციის საშუალებით. ან ჩვეულებრივ დიპლომატიურ გზებით. (ადს).

კომენტარიებს გაურბიან

ლონდონი, 1 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მიღებულ ცნობების თანახმად საბჭოთა კავშირის პასუხი ინგლისის ნოტაზე განხილულ იქნება კაბინეტის შემდეგ სხდომაზე.

ლონდონის ავტორიტეტული წრეები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ კომენტარიებისაგან. მთავრობასთან დაახლოვებულ წრეებში სთვლიან, რომ საბჭოთა კავშირის ნოტა არ იძლევა პასუხს ინგლისის ნოტაზე და ცდილობს გვერდი აუხვიოს ინგლისის მთავრობის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს. (ადს).



ლოკერ - ლემპსონი
ინგლისელ ფაშისტების ბელადი, ანტი საბჭოთა კამპანიის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი.

პრესა საბჭოთა ნოტის შესახებ

საფრანგეთის პრესა

პარიზი. 1 მარტი საფრანგეთის პრესა გაცხოველებით იხილავს ამხ. ლიტვინოვის ნოტას. „საბჭოთა კავშირი, სწერს „ვოლონტე"-, ინგლისის ნოტას უპასუხებს ძლიერი კონტრიერიშით. **რუსებს აქვთ საფუძველი უკმაყოფილონი იყვნენ ინგლისით.** საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი, რასაკვირველია, აღშფოთებულია ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეების გალაშქრებით პრესაში და მას არ დაუვიწყნია ინგლისის ინტერვენცია. ჩემბერლენის ნოტას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს ინგლისისათვის, თუ იგი შეურიგდება მარცხს, მას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს მშვიდობიანობისათვისაც, თუ ლონდონი კონფლიქტზე წავა".

მემარცხენე-ბურჟუაზიული „კოტიდიენი" სწერს:

„საბჭოთა კავშირი ინგლისს უბრუნებს ბრალდებებს, მაგრამ ურთიერთობის შეწყვეტის ინიციატივას უფრთხის. თუმცა ბრძოლა ამ ორი ქვეყნის შორის გრძელდება. ინგლისი ეარშიყება პოლონეთს. უკვე ლაპარაკობენ ლიტვისა და პოლონეთის კავშირის შესახებ, როგორც აღმოსავლეთის ლოკარნოს პრელიუდიაზე. ჩვენ მოხარული ვექნებოდით, რომ აღმოსავლეთის ლოკარნო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის აქტი არ იყოს".

„საბჭოთა ნოტაში, სწერს მემარცხენე-ბურჟუაზიული „ერნუველი", უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ საბჭოთა მთავრობა აცხადებს რომ მზად არის შეურიგდეს კავშირის გაწყვეტას ლონდონთან, რაიც საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ურთიერთობის შეწყვეტის დასაბამი იქნება.

უნებლიედ გვიჩნდება საკითხის დასმა: „ვის მხარის დაჭერით არის უზრუნველყოფილ მოსკოვი აღმოსავლეთში?"

მემარცხენე - ბურჟუაზიული „ევრი" სწერს „როგორ მოექცევა ინგლისი მოპირდაპირეს რომელიც ასე ადვილად გარბის აზიაში?"

რეფორმისტული „პოპლერ"-ს აზრით, ინგლისის კონსერვატორები ლიტვინოვის ნოტას გამოიყენებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ კავშირის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან. **მაგრამ ინგლისის მთავრობა ამაზე არ წავა.**

„ტანი" აცხადებს:

„საბჭოთა კავშირი დღეს აწარმოებს ბრძოლას ინგლისთან იმ განზრახვით, რომ ხვალ დაიწყოს ბრძოლა დასავლეთის ყველა სახელმწიფოების წინააღმდეგ".

გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ნოტა არის გამოწვევა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისი არაა ნაჩვევი ასეთ ტონს და გამოსთქვამენ აზრს, რომ ინგლისის მთავრობამ კავშირი უნდა შესწყვიტოს საბჭოთა კავშირთან (ადს).

გერმანიის პრესა

ბერლინი. 28 თებერვალი. გაზეთების უმრავლესობა ჯერ ბეჭდავს ამხ. ლიტვინოვის ნოტას უკომენტარიოდ, სათაურებით, რომლებშიაც ხაზგასმულია, რომ ნოტა სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ინგლისის მიერ წამოყენებულ „ბრალდებებს". **ის გაზეთები, რომლებიც თავის აზრს გამოსთქვამენ საბჭოთა კავშირის პასუხის შესახებ, აღნიშნავენ ჩემბერლენის ნოტის უნაყოფობას.**

შტრეზემანის ორგანო **„ტეგლიხე რუნდშაუ"** აცხადებს, რომ ნოტების გაცვლა-გამოცვლამ გამოიწვია მხოლოდ ის, რასაც მთელი მსოფლიო მოელოდა; მან გამოიწვია ის, რომ „რუსეთმა ინგლისის ყურმომტვრეულ ქოთანში ჩაჰკრა რუსული მოუხეშავი კოვზი", გაზეთი ეხება რეიტერის სააგენტოს ცნობას, რომ ინგლისის ზოგიერთი წრეები მომხრე არიან გაუქმებულ იქნეს სავაჭრო შეთანხმება, მაგრამ ამავე დროს დატოვებულ იქნეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთანო. გაზეთი აყენებს კითხვა—ხომ არ ფიქრობს ჩემბერლენი კვლავ იმოქმედოს „ცოტ-ცოტა და ყველაფერს" პრინციპის მიხედვით.

ჩემბერლენს,—სწერს გაზეთი,—მართლაც განსაკუთრებული უნარი აქვს ორი ბოროტებიდან... ორივე აირჩიოს.

მსხვილი მრეწველობის ორგანო **„დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"**-ი სწერს:

„იმ თავითვე აშკარა იყო, რომ დიალოგს ორ ძლიერ სახელმწიფოს მთავრობებს შორის მსოფლიო საზოგადოებრივ აზრის წინაშე არ შეეძლო მოჰყოლოდა რაიმე პრაქტიკული შედეგები. ამასთანავე ინგლისის კაბინეტმა საბჭოთა მთავრობას მეტად ხელსაყრელი პოზიცია მისცა პასუხისათვის".

იტალიის პრესა

რომი, 28 თებერვალი. დღეს იტალიის გაზეთებში გამოქვეყნდა საბჭოთა ნოტა. ნოტას ჯერ მხოლოდ **„ლავორო დ'იტალია"** ეხება:

„ლიტვინოვის ნოტის ენერგიული კილო,—სწერს გაზეთი,—აიხსნება ბოლშევიზმის მკაცრი პოზიციით ინგლისის მიმართ, რომელიც იძულებულია თავი დაიცვას ერთდაიმავე დროს რამდენიმე ფრონტზე. ლიტვინოვის მიერ ჩამოთვლილ კონტრ-ბრალდებებს გარდა, მუდმივ კოზირს მოსკოვის ხელში წარმოადგენს ინგლისის პირდაპირი ჩარევა რუსეთის სამოქალაქო ომში (ე. ი. ინტერვენცია).

თუ ვიმსჯელებთ ლიტვინოვის ნოტის მიხედვით, საბჭოთა მთავრობა არ იკისრებს ურთიერთობის ჩაშლის ინიციატივას; ამას ის ინგლისს დაუთმობს, რომ შემდეგში კიდევ უფრო მტრული პოლიტიკა განავითაროს აზიაში ინგლისის წინააღმდეგ.

მეორეს მხრივ, საეჭვოა, რომ ჩემბერლენმა მოისურვოს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლისათვის, რასაც აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისმა გადასწყვიტა შეიარაღებული ბრძოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობის ჩაშლა ვერ გადასჭრის წინააღმდეგობებს და მხოლოდ ეკონომიურ ზიანს მიაყენებს ორივე მხარეს. ინგლისის მთავრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადასწყვეტს ომის გამოცხადებას, რაც ყოველგვარ მოულოდნელობებს უქადის ინგლისს.

თუ შუბლმაგართა მოთხოვნილებებს გამარჯვება ხვდათ წილად, ინგლისის მთავრობამ უნდა განამტკიცოს და განავითაროს იმ ურთიერთობათა მთელი სისტემა, რომელიც ინგლისს აკავშირებს მისდამი მეგობრულად და სოლიდარულად განწყობილ სახელმწიფოებთან" (ადს).

საბჭოთა პრესა

ნაკლულევანებათა კრიტიკა

„ბედნოტა"-მ გააკრიტიკა ერთ - ერთი სოფლის პარტუჯრედი გლეხურ მასსაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის, მისგან მოწყვეტისათვის. ამის გამო ხსენებულ უჯრედის მდივანმა მისწერა „ბედნოტა"-ს: „რით არ არის ეს ადგილობრივი პარტორგანიზაციის გამოწვევა, რით არ არის ეს მისი წახისიანება? ასეთი დამოკიდებულება ჩვენდამი, რომელნიც სოფლად მძიმე მუშაობას ვეწევით, არ ვარგა. ასეთი დამოკიდებულება პირდაპირ შლის ჩვენს რიგებს და ამით წყალს ასხამს მტრების წისქვილზე". თითქო ისე გამოდის, რომ რაკი სოფლის ორგანიზაციას ძნელ პირობებში უხდება მუშაობა, მის ნაკლულოვანებებსა და შეცდომებზე სიტყვა არ უნდა დავძრათ და რომ მათ მხილებას თითქო სარგებლობის მაგივრად ზიანი მოჰქონდეს ჩვენთვის. „ბედნოტა" ასე უპასუხებს კრიტიკის უარმყოფელ პარტუჯრედის მდივანს:

„ესაა ბიუროკრატიული გაგულისების და თავგასულობის, მასსებისადმი ბიუროკრატიულ უნდობლობის ხმა. ნაკლულევანებათა გამომჟღავნება წყალს არ ასხამს მტრების წისქვილზე, არამედ პირიქით. პარტიას თვითკრიტიკის არასოდეს არ ეშინოდა და არ ეშინია. პარტია თავის ნაკლულოვანებებს ამხელს მასსების თვალწინ და ამას სჩადის იმიტომ. რომ მას არაფერი აქვს მასსებისაგან დასამალი. პირიქით, პარტია ხშირად მიმართავს პარტიულ მუშაობის შემოწმებას უპარტიო მასსების საშუალებით.

სისუსტეზე ან შეცდომებზე ლაპარაკი—ეს სრულებით არ ნიშნავს „წასისიანებას". რა შუაშია აქ სიძნელენი? რა მოსატანია აქ მძიმე მუშაობაზე მითითება? მართალია, სოფლად მუშაობის სიძნელენი დიდია, ამას ყველა გრძნობს, მაგრამ რაზე ლაპარაკობს ეს? იმაზე, რომ ეს სიძნელენი შეიძლება გადავლახოთ მხოლოდ უპარტიო აქტივთან ერთად, მისი სისტემატიური დაახლოვებით და მაზე სწორი ხელმძღვანელობის გაწევით.

პოლიტიკურად სწორი ხელმძღვანელობა—ეს ნიშნავს იმას, რომ გულდასმით უგდოთ ყური აქტივის ხმას, ნამდვილად გაუწიოთ ანგარიში ამ ხმას ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრისას. რა თქმა უნდა. არ არის საჭირო პირფერობა, არამედ საჭიროა გულახდილი ლაპარაკი ჩვენი მშენებლობის სიძნელეებზე, საჭიროა გადაჭრით ვამხილოთ ყოველგვარი კულაკური ხმა, მაგრამ ყველაფერ საქმიანს და გონიერს, რაზედაც მასსები მიგვითითებენ, ანგარიში უნდა გაუწიოთ და გზა მივსცეთ".

ეჭვი არ არის, რომ სოფლად სწორი და ნაყოფიერი მუშაობა მეტად ძნელია, მაგრამ თუ პარტორგანიზაციამ მოახერხა თავის გარშემო უპარტიო აქტივის შემოკრება და მასსებთან ცოცხალი კავშირის გაბმა, ის წარმატებით გადაჭრის ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს.

ხოლო რაც შეეხება კრიტიკას, ის უძლავრესი იარაღია ჩვენი მუშაობის გასაჯანსაღებლად და იმ სიძნელეთა გადასალახავად, რომლებიც თან ახლავს პარტმუშაობას სოფლად. აშკარაა, რომ ამ იარაღზე პარტია ხელს ვერ აიღებს.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ჩინეთი და იმპერიალისტები

გამოცდილი ჯალათი

ვაშინგტონი, 1 მარტი. კელლოგმა, შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს, განაცხადა, რომ, სამხედრო მოძრაობასთან დაკავშირებით ჩინეთში, შეერთებულ შტატებს არც ერთ სახელმწიფოსთან არა აქვს დადებული რაიმე საიდუმლო ხელშეკრულება.

საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ჩინეთისკენ გაემგზავრა გენერალი ბუტლერი, რომელიც დაინიშნა ჩინეთში ჩ. ა. შ. შ. საზღვაო ქვეითა ჯარის უფროსად. ბუტლერი მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო მოქმედებაში ჩინეთის წინააღმდეგ ბოქსერთა აჯანყებისა და 1900 წელში წარმოებულ ომის დროს. (ადს).

ჯალათების მფარველობის ქვეშ

ნიუ-იორკი, 1 მარტი. „იუნაიტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შანხაიში ჩჟან-ცზუან-ჩჟანის ჩავლის დროს, „სადგურს იცავდა 200 შეიარაღებული ჯალათი, ხოლო თვით ჩჟან-ცზუნ-ჩჟანს — ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებული თეთრგვარდიელები". კორესპონდენტის ცნობით, ჩჟან ცზუნ-ჩჟანი დაბინავდა საერთაშორისო უბანში. (ადს).

საპროტესტო დემონსტრაცია კანტონში

კანტონი, 1 მარტი. 25 თებერვალს კანტონში გაიმართა გრანდიოზული მა[illegible] სიური საპროტესტო დემონსტრაცია უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ. (ადს).

ამსტერდამი ჩინეთის ამბების შესახებ

ლონდონი, 1 მარტი. ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ მიიღო რეზოლიუცია. რომელშიაც აღნიშნავს, რომ ჩინეთის საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ უცხოეთის კონცესიების და უცხოელთა განსაკუთრებულ პრივილეგიების მოსპობის გზით და აგრეთვე ჩინეთის საბაჟო ავტონომიის აღდგენის საშუალებით. (ადს).

მუშათა საერთაშორისო დელეგაცია კანტონში

კანტონი, 28 თებერვ. კანტონის პროფკავშირთა ორგანიზაციები ზეიმით შეხვდენ მუშათა საერთაშორისო დელეგაციას, რომელშიაც შედიან: **ტომ მანი** (ინგლისის უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენელი), **ჟაკ დორიო** (საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომუნისტი-დეპუტატი) და **ბროუდერი** (შეერთებულ შტატების საპროფკავშირო პროპაგანდის ლიგის აღმასკომის წევრი).

22 თებერვალს დელეგატებმა ინახულეს გონ კონგის საგაფიცვო კომიტეტი კანტონში და დაესწრენ კანტონის მუშების თავდამცველ კორპუსის სამხედრო სწავლებას.

26 თებერვალს გაიმართა მასიური მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათი ათასამდე მუშამ, გლეხმა, სტუდენტმა და ჯარისკაცმა. დელეგატებს უძღვნეს დროშა წარწერით:

ჩან-ძო-ლინი
(უკანასკნელი სურათი)

„საერთაშორისო მუშათა დელეგაციას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს და გენერალურ შტაბს. პროლეტარიატის კავშირი დაჩაგრულ ერებთან შექმნის ახალ განთავისუფლებულ ქვეყანას ძველის ნანგრევებზე". დელეგაციის წევრების და კომინტერნის წარმომადგენლის როიას სიტყვებს მიტინგი დიდის ენტუზიაზმით შეხვდა.

24 თებერვალს დელეგაციამ ინახულა ჩინეთის რევოლიუციის დაღუპულ მებრძოლთა საფლავები და გვირგვინით მორთო ისინი.

შანხაი.—ზღვის ნაპირი.
მარჯვნივ გემთსადგომი, სადაც თავმოყრილია უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო გემები.

[illegible]

ნიუ იორკი, 1 მარტი. შანხაიდან მიღებული ცნობებით სუნ-ცზიანთან თავს იყრიან ჩრდილოეთისა და ნაციონალისტური ჯარები. (ადს).

ინგლისი იძულებული იქნება

ლონდონი, 28 თებ. **ლოიდ-ჯორჯმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ინგლისი იძულებული გახდება შეთანხმებაზე წავიდეს ჩინეთთან ყველა სადაო საკითხებში.**

ჩჟენ - ცზუნ - ჩანის „რეფორმიზმი"

ნიუ-იორკი, 28 თებერვ. „ნიუიორკ - ტაიმსის" შანხაელ კორესპონდენტთან საუბარში ჩჟენ-ცზუნ-ჩანიმ განაცხადა, რომ ის ეწინააღმდეგება უცხოელებთან არსებულ ხელშეკრულებების დაუყოვნებლივ გაუქმებას და მოითხოვს ხელშეკრულებებში თანდათანობითი ცვლილებების შეტანას.

ღირსეული პასუხი

ლონდონი, 28 თებერვ. რეიტერის სააგენტო ფუძაანის პროვინციიდან იტყობინება:

„რუტინფუს საკომენდანტო ხელისუფლებამ დახურა ორი ქრისტიანული სასწავლებელი და ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ მისიონერთა სკოლები ვერ განაახლებენ თავის მუშაობას მანამდე, სანამ ჩინური სკოლები დახურულია.

გარდა ამისა ხელისუფლება იმუქრება სამისიონერო სკოლების შენობათა კონფისკაციით (ადს).

იმპერიალისტების დემონსტრაცია

შანხაი, 28 თებერვალი. შანხაიში მყოფი უცხოეთის ჯარები აწყობენ დემონსტრაციებს იმის დასანახვებლად, რომ მზად არიან ბრძოლისათვის. ამ მიზნით უცხოეთის ჯარები, სრული საომარი მოწყობილობით, ნაპირზე გადმოსხმისთანავე მიემართებიან შანხაის ქუჩებზე სადემონსტრაციოდ. ერთ-ერთ ასეთ დემონსტრაციის დროს ქუჩებში გაატარეს 10 დიუმიანი ზარბაზნები და ტრაქტორები. უცხოეთის პრესა ეხება ამ სამხედრო აღლუმებს. (ადს).

მუსოლინის შეთქმულება მეფის წინააღმდეგ

ლონდონი. 28 თებერ. „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტი ლუგანიდან სენსაციურ ცნობას ათავსებს. **ცნობა ეხება მუსოლინის მომხრეთა შეთქმულებას, რომელსაც მიზნად ჰქონდა მეფის ჩამოგდება.** შეთქმულების სულის ჩამდგმელი იყო ბალბო—ფაშისტური მილიციის ყოფილი უფროსი და ამჟამად ავიაციის მინისტრის ამხანაგი.

შეთქმულება აღმოაჩინა გენშტაბის უფროსგენერალ ბადოლიოს საიდუმლო აგენტმა და, იმ დღეს, როცა შეთქმულებს ჰქონდათ განზრახვა ხელში ჩაეგდოთ მეფის სასახლე, რომში შეუყვანილ იქნა ჯარები.

საბჭოთა თბომავალი ლატვიაში

რიგა, 28 თებერვ. დღეს რიგა-კრივერის რაიონში შესდგა გერმანიიდან მიღებულ საბჭოთა კონსტრუქციის თბომავალის საცდელი გადარბენა, რომელშიაც 150 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მონაწილეობა მიიღეს ლატვიის სეიმის დეპუტატების უმრავლესობამ, გზათა მინისტრმა კრევსმა და დანარჩენმა მინისტრებმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა ამხ. არალოვმა, ლორენგომ და სხვეთა, პრესის წარმომადგენლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, სამხედრო და სარკინიგზო უწყებების წარმომადგენლებმა და მელითონეებმა.

თბომავალმა კარგად შეასრულა გამოცდა. ყველა აღიარებს რომ თბომავალს დიდი მომავალი აქვს.

ხვალ თბომავალი მოსკოვში გაემგზავრება (ადს).

უნგრეთის სოც. პარტიის დევნა

ვენა, 1 მარტი. გრძელდება რეპრესიები ჰუნგრეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ. **ღამით, 26 თებერვალს, პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა სოციალისტურ მუშათა პარტიის შენობაში და ბუდაპესტის მუშათა უბნებში.** პოლიცია ამტკიცებს, რომ ვითომ, კონფისკაცია ქმნილ ფურცლების მიხედვით, სოციალისტურ მუშათა პარტიას განზრახული ჰქონდა 26 თებერვალს ხელახლა მოეწყო დემონსტრაცია პარლამენტის წინ. **დაპატიმრებულია პარტიის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე.** 26 თებერვალს, შუადღისას ბუდაპესტის მთავარ ქუჩებზე და მოედანზე პარლამენტის წინ მუშებმა დაიწყეს თავმოყრა. **პოლიციის გაძლიერებულ რაზმებს დაჭერილი ჰქონდათ ყველა ქუჩები და მოედნები. პოლიციამ გაჰფანტა მუშები და მრავალი მათგანი დააპატიმრა.** ერთ-ერთ დაპატიმრებულს უპოვეს სოციალისტური მუშათა პარტიის მემორანდუმი, რომელიც მუშების დელეგაციას უნდა გადაეცა ბეტლენისათვის. მემორანდუმი მოითხოვს დაუყოვნებლივ ზომების მიღებას უმუშევრობის წინააღმდეგ, კავშირებისა და კრებების თავისუფლების აღდგენას და ლეგალობის მინიჭებას სოციალისტურ მუშათა პარტიისათვის. პოლიციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ადასტურებს ჩხრეკის ფაქტს და აცხადებს, რომ სწარმოებს გამოძიება დაპატიმრებულთა საქმეზე. ბუდაპესტს გარდა, მრავალი მუშა დაპატიმრებულია, აგრეთვე, დანარჩენ დიდ ქალაქებშიც. პოლიცია აცხადებს. რომ ის დიდი ხანია, რაც თვალყურს ადევნებდა „საეჭვო პირების" თავმოყრას ბუდაპესტში, რომლებიც, ვითომდა, აწარმოებდენ საგიტაციო მუშაობას უმთავრესად, ჰუნგრეთის მუშა-ახალგაზრდობას შორის. დაპატიმრებულია, ჰუნგრეთის სამხედრო საქმეთა ყოფილ სახალხო კომისარის ძმა, რომელსაც, პოლიციის მტკიცებით, ყალბი, პასპორტის საშუალებით უნდოდა ჰუნგრეთიდან გაქცევა. სულ ბუდაპესტში დაპატიმრებულია 500 კაცი (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 1 მარტი. 1 მარტს ესსენში გაიხსნა სრულიად გერმანიის კომპარტიის ყრილობა, რომელიც იქნება პარტიულ ძალთა შინაგანი კონსოლიდაციისათვის, კომინტერნის პლატფორმის გარშემო გაერთიანებისთვის და, აგრეთვე, ულტრა-მემარცხენე ოპოზიციასთან ნახევარი წლის განმავლობაში წარმოებულ ბრძოლის უკანასკნელი მომენტი. გერმანიის კომპარტიის ყრილობით იწყება გერმანიის მუშათა კლასის მომზადების პერიოდი იმ ამოცანებისათვის, რომლებსაც აყენებს ახალი ომის საფრთხე; გარდა ამისა ამ ყრილობით იწყება კაპიტალის შემოტევისაგან თავდაცვის პერიოდი და პერიოდი პროფკავშირების მიერ კომუნისტური მუშაობის განმტკიცებისა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ბრძოლის შედეგი კომპარტიასა და სოციალ-დემოკრატებს შორის იმისათვის, თუ რომელმა უნდა უხელმძღვანელოს გერმანიის მუშათა მოძრაობას. ყრილობაზე არჩეულია 176 დელეგატი, რომელთაგან 10 ეკუთვნის სხვადასხვა ულტრა-მემარცხენე დაჯგუფებებს. (ადს).

საბჭოთა პასუხი შუბლმაგარ კონსერვატორებს



უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტის გამოძახილი

ლენსბერი ნოტის შესახებ

ლონდონი, 1 მარტი. საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტის შესახებ ლენსბერიმ განაცხადა: „ეს სწორეთ ის არის, რასაც ჩვენ მოველოდით ინგლისის მინისტრები სავსებით კეთილსინდისიერათ როდი სარგებლობენ კალმითა და სიტყვებით თავისი იერიშების დროს საბჭოთა მთავრობის წევრებისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. საჭიროა გამონახვა რაიმე საერთო ენის. ეს ჩემის აზრით შესაძლებელია".

ინგლისი უხერხულ მდგომარეობაში

ლონდონი, 1 მარტი. შეეხო რა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტას „შუბლმაგართა" ლიდერმა ლოკერ-ლემპსონმა განაცხადა: „ინგლისის მთავრობამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო თავისი თავი მთელი ქვეყნის წინაშე და ახლა აღარ ძალუძს ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. (ადს).

საბჭოთა ნოტის განხილვა ინგლისის პარლამენტში

ლონდონი, 1 მარტი. შესაძლებელია, რომ ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების საკითხი 3 მარტს გაირჩევა არა მარტო ლორდთა, არამედ თემთა პალატაშიც. კონსერვატიული „მორნინგ პოსტი" შესაძლებლად სთვლის, რომ საქმე კენჭის ყრამდე არ მივა, რადგან თემთა პალატის არც ერთი პარტია არ სცდილობს, რომ ამ საკითხს კენჭი უყარონ. (ადს).

მაკდონალდი ლიტვინოვის ნოტის შესახებ

ლონდონი, 1 მარტი. მაკდონალდმა ლიტვინოვის ნოტის გამო განაცხადა, რომ პასუხი ისეთივეა, როგორსაც ჩვენ მოველოდით. ორივე მთავრობას შორის, ცუდი ურთიერთობა არსებობს. ეს ურთიერთობა აუცილებლივ უნდა გამოსწორდეს, რადგან ამას მოითხოვენ ჩვენი ქვეყნის ინტერესები და საერთაშორისო მშვიდობიანობა. არც ერთი ქვეყანა არ დაუშვებს, რომ უცხო სახელმწიფო ერეოდეს მის შინაურ საქმეებში. მაგრამ თუ ერთი ქვეყანა უკმაყოფილოა მეორეთი, მაშინ მან გარკვევით და კონკრეტიულად უნდა აღნიშნოს, თუ რით არის უკმაყოფილო. არავითარი ფასი არა აქვს დაუსაბუთებელ ბრალდებებს. 1923 წელში კერზონმა გარკვევით განაცხადა, რომ ის შემდეგში მიმართავს კონკრეტიულ ფაქტებს. მე ვისურვებდი რომ ეს შესრულებულიყო. საბჭოთა მთავრობის პასუხი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მოისმინოს ასეთი კონკრეტიული ბრალდებები, და განიხილოს ისინი. ვიმოქმედებთ დიპლომატიური გზით და არა საგაზეთო პროპაგანდით. თუ ჩვენ დაუბრუნდებით საბჭოთა მთავრობის ცნობამდე არსებულ მდგომარეობას,—ეს იქნება უდიდესი შეცდომა. ამით იზარალებს არა მარტო ჩვენი ვაჭრობა, არამედ გაიზრდებიან, აგრეთვე, ჩვენს წინაშე წამოჭრილი დაბრკოლებებიც. მე არ მინდა არც ერთ უცხო სახელმწიფოს მივცე უფლება აბუჩად აიგდოს ჩვენი ინტერესები და ვალდებულებები, და სწორედ ეს მოხდება, თუ შუბლმაგარა კონსერვატორებმა თავისი გაიტანეს. (ადს).

ურთიერთობა ავსტრიასთან

ვენა, 1 მარტი. ავსტრიის მთავრობას განზრახული აქვს შეიტანოს კანონპროექტი საბჭოთა კავშირში ავსტრიის ექსპორტისათვის ხელის შეწყობის შესახებ. კანონპროექტის მიზანია—ავსტრიის მწარმოებელთა უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა და სავაჭრო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებებით. (ადს).

ფიცი გზავნის ბოლო ზეაკვირვებს

ბერლინი, 1 მარტი. ვარშავიდან მიღებული ცნობებით, პოლონეთის მთავრობა გზავნის ლონდონში დელეგაციას მოლაპარაკების საწარმოებლად 40 მილ. გირ. სტერლინგის სესხის მიღების შესახებ. ამ თანხიდან 10 მილ. გირვ. სტერლინგი პოლონეთმა უნდა მიიღოს სამხედრო მოწყობილობისა და ამუნიციის სახით. (ადს).

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება.

ნიუ-იორკი, 1 მარტი. მეშვიდე ტურში შპილმანისა და კაპაბლანკას პარტია დასრულდა უშედეგოთ. გადაიდო ნიმცოვიჩ—მორბილისა და ალიოხინ—ვიდმანის პარტიები (ადს).

საზღვაო მიმოსვლა ოდესა—ლენინგრადი.

მოსკოვი, 1 მარტი. წელს იწყება სანაოსნო მიმოსვლა ოდესისა და ლენინგრადს შორის ევროპის ირგვლივ. იმუშავებს 8 გემი. მთელი გზა გავლილი იქნება 30 დღის განმავლობაში (ადს).

გაფიცვის ჩაქრობა მექსიკაში.

ნიუ-იორკი, 28 თებერვალი. მექსიკის მთავრობამ დააპატიმრა რკინისგზელთა გაფიცვის ხელმძღვანელები (ადს).

გერმანელ ახალგაზრდა მენშევიკებს შორის

ოპოზიცია ბერლინის მუშათა სოც.-დემოკრატიულ ახალგაზრდობის კავშირში

ბერლინი, 1 მარტი. 28 თებერვალს შესდგა ბერლინის და მის განაპირა ადგილების მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის კავშირის საერთო კრება, რომელიც დამთავრდა ოპოზიციაში მყოფ ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა გამორიცხვით კავშირიდან. ამასთან დაკავშირებით, კრება პროტესტის ნიშნად დასტოვა დელეგატების ერთმა მესამედმა და კრებაზე დამსწრე საზოგადოების დიდმა უმრავლესობამ.

საერთო კრებაზე გამოქვეყნებულ იქნა დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერს კავშირის 300 წევრი და თანამდებობის პირი. დეკლარაცია თანაგრძნობას უცხადებს ოპოზიციას. (ადს).

სამხრეთ-ამერიკაში

იბანესის დიქტატურა

ნიუ-იორკი, 1 მარტი. სანტ-იაგოდან მიღებულ ცნობით, ჩილის დიქტატორი იბანესი განაგრძობს რეპრესიებს. დაპატიმრებულია 100-ზე მეტი კომუნისტი.

იუწყებიან, რომ კომუნისტები და სხვა გადასახლებულნი იგზავნებიან წყნარ ოკეანეს კუნძულზე. (ადს).

მადლობა

სამხრეთ - სლავიის წითელი ჯვარისგან

ვენა, 1 მარტი. სამხრეთ - სლავიის წითელი ჯვარის კომიტეტმა დაადგინა სამადლობელი დეპეშა გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის წითელი ჯვარის საზოგადოებას თანაგრძნობის დეპეშის გამოგზავნისა და 8.500 მანეთის შემოწირვისათვის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. (ადს).

ტემანტი ადგენს

ესტონეთის ახალ მთავრობას

რეველი, 1 მარტი. მემამულეთა და კლერიკალების ფრაქციასთან თათბირის შემდეგ ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ყოფ. პრემიერ ტემანტს დაავალა ახალი მთავრობის შედგენა. (ადს).

რუსეთ-ბალტიის

ქარხნის გაყიდვა

რეველი, 28 თებერვ. ესტონეთის მთავრობამ და ესტონეთის ბანკის საბჭომ თანხმობა განაცხადეს, რომ რუსეთ-ბალტიის ქარხანა მიჰყიდონ საფრანგეთის საზოგადოებას.

ბანკის გამგეობას დაევალა განაგრძოს მოლაპარაკება ქარხნის მყიდველებთან.

გემი „კრასნოე ზნამია"

გაირიყა

ოსლო, 28 თებერვ. საბჭოთა საბარგო გემი „კრასნოე ზნამია" ხონინგსტრაუსის (ნორვეგია) მახლობლად შეეჯახა რიყეს. ტრიუმის წინა ნაწილი წყალით აივსო.

ნორვეგიის მშველელი გემი მოვიდა ხონინგსტრაუსიდან დასახმარებლად (ადს).

კელოგი

გადადგომას აპირობს

ჯერ-ჯერობით „დიპლომატიურ" შვებულებაში

ვაშინგტონი, 28 თებერვალი. როგორც იტყობინებიან, კელოგი რამდენიმე კვირით შვებულებაში მიდის ავადმყოფობის გამო. დაბეჯითებით ლაპარაკობენ მისი გადადგომის შესახებ, თუმცა ოფიციალური წრეები ამას არ ადასტურებენ. ხმებია, რომ ვაჭრობის მინისტრი გუვერი ცდილობს მოახერხოს კელოგის პოსტის დაკავება (ადს).

პოლონელი დეპუტატი

პარიზში

პარიზი, 28 თებერვალი. პოლონელ დეპუტატების დელეგაციას, რომელიც საფრანგეთში იმყოფებიან, დიდი პატივისცემით შეხვდენ. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ბუისონმა დელეგაცია პატივისცემად გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ: სენატის თავმჯდომარე დუმერი, პუანკარე, ბრიანი, პენლევე, პოლ ბონკური და სხვ. ბუისონმა თავის სიტყვაში მიუთითა საფრანგეთის და პოლონეთის მჭიდრო კავშირზე (ადს).

მემამულეთა შურისძიება

ციხე-კაშენის შეხვედრისათვის

ვენა, 28 თებერვალი. 25 თებერვალს ბუქარესტში დაიწყო 80 მუშის პროცესი, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ ბუქარესტის სადგურზე, სადაც ისინი გამოვიდენ ფრანგ კომუნისტ დეპუტატის ამხ. კაშენის შესახვედრად. (ადს).

ახალი დაპატიმრებანი

ვენა, 28 თებერვალი. რუმინეთის „ოხრანკამ" ბუქარესტში დააპატიმრა 17 კაცი. დაპატიმრებულებს აბრალებენ არალეგალურ მუშაობას. (ადს).

აფეთქება მაღაროში

ლონდონი, 1 მარტი. 1 მარტს დილით უელსის ერთ-ერთ მაღაროში მოხდა აფეთქება. 200 მემაღაროე ცოცხლად იქნა დამარხული მიწის ქვეშ. დილის 9 საათისათვის მიწიდან ამოიყვანეს 142 მუშა. მუშების გადარჩენას აძნელებს მიწის ჩამოშვავება და მიწის ქვეშა გაზი. გადარჩენილ მუშებისაგან არც ერთი არ მომკვდარა (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დახმარება წითელარმიელთა ოჯახებს

მოსკოვი, 1 მარტი. ცენტრალურ ბიუროს ცნობით, სრულად არის დაკმაყოფილებული წითელარმიელთა წერილობითი თხოვნის 40 პროცენტი, რომელიც შეეხებოდა ტყის მიცემას შეღავათიან პირობებში და უფლებრივ და ქონებრივი მდგომარეობის დაცვას.

თხოვნის 20 პროც. დაუკმაყოფილებელია საქმით დაუსაბუთებლობის გამო და 5 პროც.—საჭირო ცნობების წარმოუდგენლობის გამო (ადს).

საარჩევნო უფლების მინიჭება ყოფილ ოფიცრებისთვის

მოსკოვი, 1 მარტი. ცაკის პრეზიდიუმმა განმარტა, რომ თეთრი არმიების ყოფილი ოფიცრები და სამხედრო თანამდებობის პირნი, რომლებიც შემდეგ სამსახურობდნენ წითელი არმიისა და წითელი ფლოტის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ საბჭოთა რესპუბლიკების დაცვაში, ან და რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში საბჭოთა კავშირის წითელ არმიისა და წითელ ფლოტში, სარგებლობენ საარჩევნო უფლებით.

ამავე უფლებით, ავტონომიურ რესპუბლიკების, საოლქო და საგუბერნიო აღმასკომების ნებართვით, შეუძლიათ ისარგებლონ თეთრი არმიების იმ ყოფილმა ოფიცრებმა და სამხედრო თანამდებობის პირებმა, რომელთაც თუმცა არ უმსახურიათ წითელ არმიაში, მაგრამ ამჟამად მუშაობენ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულება-ორგანიზაციებში და ითვლებიან პროფესიონალური კავშირის წევრებად (ადს).

შეღავათები უმუშევართა კოლექტივებს

მოსკოვი, 1 მარტი. გზათა სახალხო კომისარიატის სატარიფო კომიტეტმა დაადგინა საქონლის გადაზიდვაზე სახ. და კოოპ. ორგანიზ. არსებული შეღავათიანი ტარიფი მისცეს აგრეთვე უმუშევართა იმ წარმოებებს და კოლექტივებს, რომლებიც მოწყობილი არიან შრომის ბირჟებთან (ადს).

ამხ. ძერჟინსკის სახელობის პრემია

მოსკოვი, 1 მარტი. კავშირის თავდაცვის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ და ავიაქიმმა 1-ლ ივლისამდე გააგრძელეს შრომების წარმოდგენის ვადა ძერჟინსკის სახელობის პრემიის მისაღებად (ადს).

დედობისა და ბავშვობის დაცვის სამდღიური

მოსკოვი, 1 მარტი. გუშინდელი დღიდან მოსკოვში დაიწყო დედობისა და ბავშვობის დაცვის სამდღიური. კამპანია გაგრძელდება მარტის მეორე ნახევრის პირველ კვირამდე. პირველ დღეს ყველა წარმოებებში გაკეთებულ იქნა მოხსენებები (ადს).

ჩრდილო-კავკასია

ბანდიტების გასამართლება

მახაჩ-კალა, 1 მარტი. 8 მარტს დაიწყება საქმის მოსმენა დაღესტნის ეროვნული გმირის, რევოლიუციონერ ბუინაკსის მკვლელობის შესახებ 1919 წელს. ბრალდებულთა სკამზე ზის ორი ყოფილი თეთრი ოფიცერი კუროვი და ჩერენკოვი.

1926 წ. მოგებიანი სესხის მეორე ტირაჟი

ხარკოვი, 1 მარტი. 1 მარტს დაიწყო 1926 წლის სახელმწიფო შინაური მოგებიანი სესხის მოგებათა მეორე ტირაჟი (ადს).

შჩეგოლიუტინის გასამართლება

პირველი დღე

ბაქო, 1 მარტი. დღეს საღამოს 5 საათზე აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოში დაიწყო 26 ბაქოელ კომუნარების მკვლელობის მონაწილის **შჩეგოლიუტინის** პროცესი. სხდომის გახსნის წინ დამცველებმა აღძრეს შუამდგომლობა, რათა მოეთხოვათ დაერთოთ საქმისათვის წიგნი სახლ. პოლტორაცკის საყუდის საორთქლმავლო ბრიგადის გამგზავრების შესახებ. დამცველთა აზრით, ამას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

დამცველთა შუამდგომლობა სასამართლომ უარჰყო.

საქმის გამო გამოწვეულ 14 მოწმეთაგან არ გამოცხადდენ: სურენ შაუმიანი, ხრაბროვი, კუკაევი და კიზიკოვი. სასამართლომ დაადგინა—საქმე მოისმინოს მათ დაუსწრებლად და დაკმაყოფილდეს სურენ შაუმიანის ჩვენებით, რომელიც მან მისცა სასამართლოს ფუნტიკოვის პროცესის დროს და ამასთანავე ხრაბროვის და სხვების ჩვენებით, რომლებიც არ გამოცხადდენ წინასწარი ძიების დროს.

მოწმეების გამოძახებისა და მათგან ხელწერილის ჩამორთმევის შემდეგ, სასამართლო შეუდგა საბრალდებულო აქტის კითხვას (ადს).

ბრალდებულის დაკითხვა

ბაქო, 1 მარტი. პირველ სხდომაზე, საბრალდებულო აქტის გამოქვეყნების შემდეგ, სასამართლო შეუდგა ბრალდებულის დაკითხვას, რომელიც ორ საათზე მეტს გაგრძელდა.

შჩეგოლიუტინი არ სცნობს თავს დამნაშავედ. მისი სიტყვით, ფუნტიკოვს ის იცნობს 20 წელზე მეტი და მასთან მეგობრულ განწყობილებაში იყო.

შჩეგოლიუტინი უამბობს სასამართლოს, თუ როგორ ჩამოვიდა ის ფრონტიდან ასხაბადში ორთქლმავლის გასაწმენდათ. ორთქლმავლის გაწმენდის შემდეგ, მას უნდოდა ფრონტზე დაბრუნება, მაგრამ შემდეგ საქმე ისე მოეწყო, რომ ის დარჩა თავის საქმეებზე, ხოლო ორთქლმავალი, მემანქანე კადიკოვის ხელმძღვანელობით, ფრონტზე წავიდა. დავალებებისათვის მან მიიღო საყვედური. შემდეგ ის დანიშნეს ორთქლმავალზე № 0—49 ორი საკლასო ვაგონით და ღამით გაემგზავრა კრასნოვოდსკში. რატომ სწორედ ამ შემთხვევაში ამოირჩიეს ის და არა სხვა ვინმე, ამის თქმა მას არ შეუძლია.

სადგურ კაზანჯიკში შჩეგოლიუტინი შესცვალა მეორე მემანქანემ თავისი თანაშემწით. შჩეგოლიუტინი უნდა დაბრუნებულიყო პოლტარაცკში, მაგრამ, თავის ცოლის დავალების შესასრულებლად, ის გაემგზავრა კრასნოვოდსკში ცოლის ნათესავებთან. კრასნოვოდსკში მან ისევ მიიღო ორთქლმავალი № 0—49. სადგურიდან გასვლის წინ, სადგურის ბაქანზე მან შეამჩნია რუსულ და თურქმენულ ტანისამოსში ჩაცმული შეიარაღებული პირები. საზოგადოებრივი თავდაცვის გამოჩენილმა წევრმა გერმანშმა უბრძანა სპეციალური მატარებლის კონდუქტორთა ბრიგადას გაეჩერებინათ მატარებელი გადასარბენზე ახჩა-კუიმასა და პერევალს შუა. შჩეგოლიუტინის მტკიცებით, ეს ადგილი აღნიშნული იყო მე-207 ვერსით. ჩვეულებრივ მატარებლები, საბარგო მატარებლებიც კი, აქ არას დროს არ ჩერდებიან. შჩეგოლიუტინი გააკვირვა გერმანის განკარგულებამ.

შეკითხვაზე: „ხომ არ დაინტერესებულხართ ამ გაჩერების მიზეზით?"—შჩეგოლიუტინი აცხადებს, რომ ამის შესახებ შეეკითხა გერმანს, რაზედაც უკანასკნელმა უპასუხა: „არის საქმე. როცა გაჩერდებით, მაშინ გაიგებთ". შჩეგოლიუტინი „მიხვდა", რომ აქ რაღაც საქმე ვერ იყო კარგად.

მე-207 ვერსზე შჩეგოლიუტინმა დაინახა, რომ ვაგონებიდან ორ ჯგუფად გამოიყვანეს ხალხი. პირველი ჯგუფი გამოვიდა ბარგითა და კალათებით, რადგან, როგორც ჩანს, არ იცოდა, თუ რა სისხლიანი საქმე დატრიალდებოდა. მან გაიგონა თოფის ხმა გორაკებს გადაღმა. მეორე ჯგუფი კი გამოყვანილ იქნა უბარგოდ.

სახლში დაბრუნების შემდეგ, მან ყველაფერი უამბო თავის ცოლს, ამასთან აცნობა მას ის, რაც გერმანმა განუცხადა: „ანგარიში უნდა გავასწოროთ კომისრებთან". შჩეგოლიუტინი ირწმუნება, რომ გერმანმა იგივე განუცხადა აგრეთვე მრავალ მუშას.

კვირა ნახევრის შემდეგ შჩეგოლიუტინმა მიიღო დანიშვნა პოლტორაცკში ჯარების გადაზიდვების უფროსის ადგილზე.

პროკურორის შეკითხვაზე, ვის მიერ იქნა ის დანიშნული ორთქლმავალ № 0—49-ზე, შჩეგოლიუტინი უპასუხებს: „დეპოს მორიგე პერვეშევის მიერ".

ფუნტიკოვის პროცესზე კი შჩეგოლიუტინი აცხადებდა, რომ ორთქლმავალ № 49-ზე ის დანიშნა სადგურ პოლტარაცკის კომენდანტმა მოხიშევმა.

თავმჯდომარე ეკითხება შჩეგოლიუტინს: „ერთ-ერთ ჩვენებაში თქვენ აცხადებდით: ვსვამდი, რომ გული გადამეყოლებინაო". აგვიხსენით, რას ნიშნავს ეს?".

შჩეგოლიუტინი განმარტავს: „ვსვამდი საშინელ ხვრათ. მართლაც შემეცოდა ხალხი, და ამიტომაც ვსვამდი".

სასამართლოს შემდეგი სხდომა გაიმართება ხვალ, დღის 11 საათზე (ადს).

ფასების დაკლების კამპანია

თათბირი შინავაჭრობის კომისარიატში

გუშინ საღამოს ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში, ამხ. **ატაბეკოვის** თავმჯდომარეობით შესდგა ა.-კ. საუწყებათაშორისო ფასების დამკლებ კომისიის თათბირი.

კომისიამ მოისმინა ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. **პლესენინის** საინფორმაციო მოხსენება, შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ 1926-27 წ. პირველ მეოთხედში ფასების დასაკლებათ გატარებულ ღონისძიებების შესახებ.

მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის მომწესრიგებელ განყოფილების გამგის ამხ. **ნოვიკოვის** მოხსენება საფეიქრო ნაწარმოებზე საზღვრითი ზედნადებ ხარჯების დაწესების პროექტის შესახებ, საკავშირო სავაჭრო კომისარიატის მიერ გამოგზავნილ დირექტივის თანახმად.

საუწყებათაშორისო კომისიამ, საკითხის დეტალური განხილვის შემდეგ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად ნორმად ჰყსდება: თბილისისათვის 21.25 პროცენტი, ბაქოსთვის 20,5 პროც. და ერევნისთვის 21,6 პროცენტი. ასეთი ზედნადები პროცენტი ამ ადგილებში შემოღებული იქნება 5 მარტიდან.

კომისიამ განიხილა აგრეთვე დანარჩენ ქალაქებისა და სოფლებისათვის ზედნადებ ხარჯების ნორმის გამომუშავების საკითხი.

კომისიამ გამოჰყო სპეციალური ქვე-კომისია, რომელსაც მიანდო ზედნადებ ხარჯების დამუშავება ამ ადგილებისათვის. მათვის ზედნადებ ხარჯების ნორმის გამომუშავების დროს ამ ქვე-კომისიამ რკინის გზის ახლო მდებარე ქალაქებისა და სოფლებისათვის მინიმუმად უნდა მიიღოს 24 პროცენტი, ხოლო რკინის გზიდან დაშორებულ ქალაქისა და სოფლებისათვის 25-დან 27 პროცენტამდე.

ქვე-კომისიის მუშაობის შედეგებს დაამტკიცებს ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომი.

იმ ადგილებში, რომლებიც მდებარეობენ რკინის გზის ახლოს დაწესებულ ნორმის გატარება ცხოვრებაში დაიწყება 10 მარტიდან, ხოლო იმ ადგილებში, რომლებიც რკინის გზიდან მოშორებით მდებარეობენ—15 მარტიდან.

დასასრულ ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომი ამხ. **ატაბეკოვი** აკეთებს მოხსენებას ა.-კ. საუწყებათაშორისო ფასების დამკლებ კომისიის მუშაობის გეგმის შესახებ.

ამ გეგმის კონკრეტული დამუშავება მიენდო განსაკუთრებულად არჩეულ კომისიას.

საუბარი ამხ. ა. ს. იოსილევიჩთან

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ვაჭრობის სახკომის რწმუნებული ამხ. ა. ს. იოსილევიჩი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. იოსილევიჩმა განაცხადა:

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა სპეციალურ ფასების დაკლების კამპანიისათვის თვალყურის სადევნებლად კავშირის თვალსაჩინო რაიონებში გაგზავნა სპეციალური რწმუნებულები.

მთელი ჩემი მუშაობა ამიერ-კავკასიაში იწარმოებს, როგორც ა. კ. საუწყებათაშორისო ფასების დამკლებ კომისიის, ისე რესპუბლიკანურ კომისიებთან მჭიდრო კავშირში. მთავრობის მიერ 1927 წ. 1 იანვრის ფასებთან, ფასების დაკლება 10 პროცენტით ითვლება მინიმალურად და ამის მიხედვით მე დავალებული მაქვს მიღწეულ იქნას ფასების დაკლება 10 პროცენტზე ზევით, სადაც ეს შესაძლებელი გახდება.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ გარემოებას, რათა ფასების დაკლებამ ერთი ჯგუფის საქონელზე არ გამოიწვიოს ფასების აწევა დანარჩენ ჯგუფების საქონელზე.

პირველ რიგში ფასების დაკლება უნდა გატარდეს შემდეგ საქონელზე: ბამბეულზე, კამვოლის ქსოვილზე, სელის ქსოვილებზე, ტრიკოტაჟზე, ძაფებზე, ბამბაზე, ტყავეულზე, ფეხსაცმელებზე, სახურავ და დასარისხებულ რკინაზე, მავთულზე, ლურსმანზე, ლითონის ნაწარმოებზე, ფანჯრის მინებზე, მარილზე და ხე-ტყის მასალებზე.

საქონელზე საშუალოდ 10 პროცენტით ფასების დაკლება უნდა მოხდეს შემდეგ ნაირად. 5 პროცენტი უნდა დაუკლოს მრეწველობამ გასაღების ფასებზე და 6—7 პროც. საქონლის გამტარებელმა აპარატმა.

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულია ზედნადებ ხარჯების ნორმა იქნება მაქსიმალურ საზღვრად და სხვა გვარი ნორმის დაწესება შეუძლებელია.

ფასების დაკლების კამპანიაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს პრესამ.

ჩემთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ვაჭრობის სახკომის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქტორ-სტატისტიკოსი ამხ. გოვორკო. მას დავალებული აქვს ა. კ. სოფლის ძირითად სავაჭრო ორგანიზაციებში სტატისტიკური გამოკვლევისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ეს გამოკვლევა შეადგენს სოფლის ვაჭრობის გამოკვლევის ნაწილს, რომელიც მიმდინარეობს ეხლა კავშირის მასშტაბში.

პარიზის კომუნის 56 წელი და რემედასის 4 წლის თავი

(თეზისები მოხსენებისათვის)

1. 1871 წელში 18 მარტს პარიზის გმირულმა პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა და ხელში ჩაიგდო სახელმწიფო აპარატი, გამოაცხადა „პარიზის კომუნა". პირველი მუშური სახელმწიფოს არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი გარშემორტყმული იყო ბურჟუაზიის რეაქციონური ძალებით, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო მისი არსებობა სულ სამი თვის შემდეგ. ბურჟუაზიის მხეცურ შურისძიებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ბრძოლის გმირული მსხვერპლი გახდა მრავალი ათეული ათასი რევოლიუციონერი, ბევრი კიდევ ციხეებში იქნა ჩამწყვდეული და გადასახლებული ოკეანის სხვადასხვა კუნძულებზე. ამ შურისძიების მეთაური იყო ბურჟუაზიის ჯალათი ტიერი და მისი გენერალი გალიფე.

2. პარიზის კომუნა პირველი ცდა იყო რევოლიუციონური მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისა და, როგორც ყოველ პირველ ცდას, მას მრავალი შეცდომა ახლდათ. პარიზის კომუნარებმა ვერ გამოიჩინეს შესაფერი სიმკაცრე ბურჟუაზიულ და რეაქციონურ ელემენტების ალაგმვაში, ხელუხლებელი დასტოვეს ბანკები, რომლებიც ბურჟუაზიამ გამოიყენა რევოლიუციონური ხელისუფლების წინააღმდეგ, ვერ გადადგეს შესაფერი ნაბიჯები ძალა-უფლების შესანარჩუნებლად და დამარცხდენ.

პარიზის კომუნის დამარცხების მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ კომუნა გამოცხადებული იყო, მხოლოდ პარიზში, მას ზურგს არ უმაგრებდა საფრანგეთის სხვა ნაწილები, საფრანგეთის გლეხობა და სხვა ქალაქები, არ ჰქონდა საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება და განმარტოებული დარჩა გადამწყვეტი ბრძოლის დროს. ეს იყო მაშინ, როდესაც ბურჟუაზია აგროვებდა თავის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს მთელს ქვეყანაში. ამ მთავარმა მიზეზმა აუცილებელი გახადა პარიზის კომუნის დამარცხება.

3. პარიზის კომუნის გამოცდილება, მისი შეცდომები და მიღწევები, წარმოადგენს იმ ძვირფას გაკვეთილს, რომელზედაც სწავლობს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი ძალა-უფლებისათვის ბრძოლას და მის შენარჩუნებას. პარიზის კომუნის გამოცდილების შემდეგ უკვე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასს ხელისუფლების დაპყრობა და შენარჩუნება შეუძლია სხვა ქვეყნების მუშათა კლასის სოლიდარული გამოსვლებით და საკუთარი ქვეყნის გლეხობის აქტიური მხარის დაჭერით.

4. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მშრომელებმა უკვე 9 წელია, რაც დაამსხვრიეს ჯერ მეფის, შემდეგ ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება. ჩვენი კავშირის მუშათა კლასი განთავისუფლებულია ყოველგვარი ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან და აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. თეთრი ტერორი, გადასახლება, დევნა, ციხე დღეს მისთვის წარსული შავი დღეების მოგონებაა.

5. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი გამეფებია მძვინვარებს თეთრი ტერორის რეჟიმი, თავისი ცხოვრების და ბატონობის უზრუნველსაყოფად მთელი ქვეყნის ბურჟუაზია მიმართავს რევოლიუციონური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ უსაშინლეს ტერორისტულ ზომებს. ბურჟუაზია ცდილობს მუშათა მასების გამომარცხებების, რევოლიუციონურ გზაზე შედგომის პროცესი შეაჩეროს რეპრესიებით, ციხით, სახრჩობელებით.

თეთრი ტერორის მსხვერპლი ხდება ყოველწლიურათ მრავალი ათასი რევოლიუციონერი.

6. ბურჟუაზიის განკარგულებაში არის მთელი სახელმწიფო აპარატი, სასამართლოები, პოლიცია, ჟანდარმერია, რომელსაც ის ამოქმედებს მუშათა კლასის სისხლში ჩასახრჩობათ. ამ საქმეში მას ერთგულად ემსახურებიან ყველა ჯურის მოღალატე სოციალისტ-მენშევიკები.

ამ დახმარებით მსოფლიო ბურჟუაზიას საშუალება ეძლევა რამოდენიმე ხნით მაინც ხოცვა-ჟლეტით გაუმკლავდეს მსოფლიო რევოლიუციისათვის მებრძოლთ. ამ დახმარებით შესძლეს მათ მუშათა კლასის რევოლიუციონური რიგებისათვის მოეწყვიტათ მისი საუკეთესო ბელადები, კომუნიზმისათვის მებრძოლნი კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი, იოგიხესი, ტიშეი, კონგისე, მაქს კონშტეინი, ენგელი, ვეჩერკოვიჩი, პოქელი, გრუმფერბერგერი, გედრისი, ჩერნი და სხვები. მაგრამ ბურჟუაზია ამაოთ ცდილობს თეთრი ტერორით შეაჩეროს ისტორიის სვლა. მუშათა კლასი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არ შესწყვეტს მყვლეფელების წინააღმდეგ, სანამ საბოლოოდ არ გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში.

7. 1871 წელში ეგრედ წოდებულ „მაისის კვირაში" საფრანგეთის მუშათა კლასმა დაჰკარგა რამოდენიმე ათასი მებრძოლნი კომუნისათვის. ეხლა კი თეთრი ტერორის მხვერპლი სხვადასხვა ქვეყნებში უდრის რამოდენიმე ათეულ ათასს და კიდევ მეტს.

1926 წელში პირველ ოქტომბრამდე უმთავრეს კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტ-ტუსაღების რიცხვი უდრიდა 51.041 კაცს, დაჭრილთა—15.911, დახვრეტილთა—10.148 და ქონება ჩამორთმეულთა—1.111 კაცს. ოქტომბრის შემდეგ კი ამ რიცხვს კიდევ ბევრი მოემატა. მაგ., მარტო იტალიაში 1926 წლ. ნოემბრიდან დღემდე დატყვევებულია 25.000-მდე კაცი, მოკლულია 161; თეთრი ტერორის ახალი ტალღა მძვინვარებს ფაშიზმის ყველა ქვეყნებში: იტალიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ლიტვაში და ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებში. ეს რეპრესიები ყოველ წლიურათ აკლებს მუშათა კლასს მრავალ ასეულ მებრძოლებს.

8. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ—საბჭოთა კავშირი გახდა მთელი ქვეყნის ტანჯულთა და დაჩაგრულთა იმედად. ყველა ქვეყნებში ჩამოყალიბდა და გამაგრდა კომპარტიები, რომლებიც ეხლა გმირულად იბრძვიან თავიანთი ოქტომბრისათვის. ამ ბრძოლაში მათ ზურგს უმაგრებს—გამარჯვებული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი. ამიტომ არის, რომ ბურჟუაზია ასე შეუპოვრად ებრძვის კომუნისტურ მოძრაობის ჩანასახებს და ათასობით ჰკლავს, აწამებს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებს.

ბავარიის და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკების დანგრევა, იტალიის მუშათა მოძრაობის დარბევა ფაშისტების მიერ, პროფკავშირების დაშლა იტალიაში, ბულგარეთის ყოფ. პრემიერ ცანკოვის სისხლიანი მოქმედება, ბესარაბიის, პოლონეთის ნაციონალურ უმცირესობათა ტრაგედია, ლიტვაში ფაშიზმის მხეცური შურისძიება მუშების და ღარიბებ გლეხობის წარმომადგენლებზე და სხვა. ბურჟუაზიის ბრძოლას ნაც. განმ. მოძრაობის და პირველ რიგში ჩინეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმოგვიდგება. აი, სისხლიანი პირი თანამედროვე ბურჟუაზიულ ჯალათურ ევროპის, რომლის მსხვერპლებად ხდება მუშათა და ხალხთა მასები.

9. პოლიტიკურ ტუსაღებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში ეხმარება საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება—„რემედასი".

რემედასი დაარსდა 4 წლის წინეთ ძველი რევოლიუციონერების ინიციატივით. რევოლიუციონერებისათვის დასახმარებლად დაწესდა განსაკუთრებული საწევრო გადასახადი, რომელიც სხვა შემოწირულებასთან ერთად ეგზავნება პოლიტ-ტუსაღებს და მათ ოჯახებს.

10. ამ 4 წლის მუშაობის პერიოდში „რემედასმა" საბჭოთა კავშირში შესძლო თავის რიგებში შეეკავშირებინა დაახლოებით 5 მილიონამდე მუშა და გლეხი. აქედან რემედასის საქ. ორგანიზაციაში ირიცხება 80.000-მდე წევრი.

დღიდან თავისი არსებობისა, რემედასი მატერიალურ დახმარებას უწევს როგორც პოლიტ-ტუსაღებს, ისე მათ ოჯახის წევრებს, აგრეთვე იმ პოლიტ-ემიგრანტებს, რომლებიც ათასობით გაურბიან თეთრ ტერორს და მოდიან საბჭოთა კავშირში.

ფინანსიური დახმარება 1926 წ. პირველ სექტემბრამდე დღიდან თავის არსებობისა მთელს საბჭოთა კავშირში გამოიხატება—4.086.203 მ., მათ შორის საქართ. რემედასის სექციამ მოაგროვა — 82.000 მანეთი. ასეთივე ტემპით მიმდინარეობს დახმარების შეგროვება ტუსაღებისათვის რემედასის კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნების სექციებში.

რემედასის სექციები არსებობს თითქმის ყველა კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, როგორც მაგალითად: გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, სპარსეთში, ბულგარეთში, ინგლისში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუმინიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ესპანიაში, პორტუგალიაში და სხვა. ამ ქვეყნებში რემედასის წევრების რიცხვი უდრის 1.725.470 კაცს. აქედან: გერმანიაში—420.176, ჩეხო-სლოვაკიაში—303.354, იტალიაში — 145.000, საფრანგეთში—47.000, ინგლისში — 50.000, პორტუგალიაში — 21.595, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — 415.000 და სხვა.

ბურჟუაზიული რეაქცია ამ ქვეყნებში საშუალებას არ აძლევს რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ გააფართოვონ მუშაობა პოლიტ - ტუსაღების დასახმარებლად, რის გამოც უმთავრეს დამხმარე ძალათ რჩება საბჭოთა კავშირის „რემედასის" ორგანიზაციები.

11. დღემდე გაწეული დახმარება როდი არის საკმარისი. „რემედასს" ჯერ კიდევ არა აქვს საშუალება საჭირო დახმარება აღმოუჩინოს კაპიტალის ყველა ტყვეებს. საჭიროა ათჯერ გაუმჯობესდეს ფინანსიური მდგომარეობა, რათა საშუალება მიეცეს რემედასს მომავლისათვის შესძლოს უფრო ენერგიული დახმარების აღმოჩენა როგორც პოლიტტუსაღების და მათი ოჯახის წევრების, ისე მრავალრიცხოვან პოლიტ - ემიგრანტებისადმი (შემოხიზნულები), რომლებიც ათასობით ტოვებენ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ეს კი შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როდესაც ყოველი მშრომელი შეიგნებს თავის მოვალეობას პოლიტ - ტუსაღების მიმართ და გახდება „რემედასის" წევრად. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მყოფ პოლიტ - ტუსაღებისადმი დახმარების ამოცანა სავსებით გადაწყვეტილი იქნება.

12. საკმარისი არ არის მარტო მატერიალური დახმარება. ჩვენ პოლიტ - ტუსაღებს უნდა დავეხმაროთ მორალურადაც. ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ დასავლეთის და აღმოსავლეთის რევოლიუციონერებს, რომ ისინი მარტოდ არ არიან ბრძოლის დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ერთი მეორეს გვაშორებს თეთრი ტერორი და ბურჟუაზიულ ციხე - სიმაგრეების შავი კედლები.

ჩვენ სულიერად ყოველთვის მათთან უნდა ვიყოთ და არასოდეს არ ვივიწყებდეთ კაპიტალის ბრჭყალებს ქვეშ მოქცეულ მებრძოლთა მძიმე ხვედრს. საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს კარგათ აქვთ შეგნებული თავისი მოვალეობა რემედასისადმი. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს რემედასის წევრთა რიცხვის განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. თუ 1925 წლ. 1-ლ იანვარს რემედასის წევრთა რიცხვი უდრიდა — 3.717.034, 1926 წ. 1-ლ იანვრისათვის — 4.997.684-ს უდრის. ეს დამამტკიცებელია იმისა, თუ როგორი ჩქარი ტემპით იზრდება რემედასი რიცხობრივად ჩვენში.

13. რემედასი წმინდა კლასიური პროლეტარული ორგანიზაციაა. შემოწირულების თვითეული კაპეიკი უნდა მიდიოდეს პოლიტ - ტუსაღების მძიმე პირობების შესამსუბუქებლად და ახალი რევოლიუციონური კადრის შესაზრდელად, მომავალ უდიდეს კლასობრივ ბრძოლებისათვის. ამით ჩვენ საშუალებას მივცემთ მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს გადავიდეს უფრო გადამწყვეტი შეტევითი ბრძოლაზედ; რომელშიაც გამარჯვება უდაოთ მას ეკუთვნის.

14. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი ენერგიის გაღებით აღადგინა მსოფლიო და სამოქალაქო ომის დროს დანგრეული წარმოება და სოფლის მეურნეობა, მიუხედავათ იმისა, რომ ის გარშემორტყმული იყო და არის უამრავი მტრებით. მან საფუძველი ჩაუყარა თავის საკუთარ სოციალისტურ მეურნეობას და განაგრძობს მის განმტკიცებას.

საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვება დააჩქარებს სოციალიზმს, დააგვირგვინებს მშრომელთა კეთილდღეობას და ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ წინსვლას.

15. ვისთვისაც მძიმეა კაპიტალიზმის ტყვეების საშინელი მდგომარეობა, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება—ის არ უნდა დარჩეს რემედასის რიგების გარეშე.

ყოველმა მუშამ და გლეხმა, ყოველმა პატიოსანმა მშრომელმა უნდა ეცადოს შეიტანოს თავისი წვლილი რემედასის გაძლიერების საქმეში. ეს იქნება საუკეთესო ძეგლი ჩვენთვის მუდმივ სახსოვარ პარიზის კომუნის მებრძოლთათვის.

16. რემედასის ორგანიზაციის არსებობის მე-4 წლის თავი უნდა ჩატარდეს მასიური აქტივობის და ქვედა უჯრედების გამოცოცხლების ნიადაგზე, რითაც საქართველოს რემედასი თავის წვლილს შეიტანს სოციალიზმისათვის მებრძოლთა დახმარების სალაროში. გაამაგრებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ზურგს.

საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტი

პარტიული ცხოვრება

ანტირელიგიური პროპაგანდა

ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში უკანასკნელ წლებში შეიქმნა ერთგვარი ლიკვიდატორული განწყობილება. ზოგი ამ მოვლენას ამართლებს იმით, რომ ჩვენში სარწმუნოებას არ აქვს დიდი გავლენა, არ ყავს ბევრი მიმდევრები; აქედან დაასკვნის, რომ სარწმუნოებრივი საკითხი უმნიშვნელო საკითხია ჩვენს აგიტპროპმუშაობის სხვა აქტუალურ საკითხების შორის და სარწმუნოებრივი მოძრაობა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს პარტიისა და ხელისუფლებისათვის.

ზოგი იმ აზრისაა, რომ დახურულ ეკლესიების გაღების ნებართვით საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა ეს საკითხი და აქ მეტი არაფერი დარჩა გასაკეთებელი; ზოგი კი ფიქრობდა, რომ ეკლესიის დახურვით გათავდებოდა ყველაფერი, მაგრამ, როცა მორწმუნეთ ეკლესიები გაუღეს, ის სახტად დარჩა, ვერ გაიგო საქმის ვითარება და სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული ფარ-ხმალი საბოლოოთ დაჰყარა. ამ გაუგებრობამ გამოიწვია ანტისარწმუნოებრივი ბრძოლის მისუსტება მთელს საქართველოში და ამჟამად ეს მუშაობა თითქმის არ სწარმოებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ანტირელიგიურ კამპანიების ჩატარებას დიდ სარწმუნოებრივ დღესასწაულებზე, რომლებსაც უმეტესად ქალაქებში აქვს ადგილი.

დასაშვებია თუ არა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა და არის თუ არა საჭირო ანტირელიგიური პროპაგანდა ჩვენში? მართალია, ანტირელიგიური პროპაგანდა არაა პირველხარისხოვანი საკითხი ჩვენს აგიტპროპმუშაობაში, მაგრამ ის არაა ყველაზე უკანასკნელი საკითხიც. ამიტომ მისი არც ყველაზე წინ წამოყენება გვინდა, არც მივიწყება. ანტირელიგიურ მუშაობის დარგში ლიკვიდატორულად განწყობილ ამხანაგების შეხედულების სიყალბეს ამტკიცებს ის ფაქტი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში. მუშაობის ხელის შეწყვეტამ შედეგად მოგვცა ზოგიერთ მაზრის მოსახლეობაში სარწმუნოებრივი მოძრაობის ზრდა. წალკის „სახწავლომოძღვრეთა მოღვაწეობა" ამის პირველი თვალსაჩინო ფაქტია, რომელსაც გამაფრთხილებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის. ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესიის მსახურთა თავხედობა ძლიერ შორს მიდის.

სამღვდელოების ყურადღება იქით არის მიმართული, რომ გლეხობამ არ დაივიწყოს ძველი ადათ-ჩვეულებები და სარწმუნოებრივი ყოფა-ცხოვრება. გლეხს მართლა სწამს თუ არა ღმერთი, ან სწორია თუ არა მისი შეხედულება ღმერთზე—ეს ეკლესიის მსახურთ არასოდეს არ აინტერესებდათ და არც ახლა აინტერესებთ. მათ შემოსავალს აძლევდა ამ სარწმუნოების გარეგნული გამოხატულება სხვადასხვა რელიგიური ჩვეულებების და წესების შესრულებაში (წირვა-ლოცვა, პანაშვიდები, საკურთხი, ნათლა, ჯვარისწერა და სხ.). ამჟამად სამღვდელოება ასე თუ ისე ურიგდება თავის მდგომარეობას აშკარად არ გამოდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ თავგამოდებით, ათასნაირი ხრიკებით და მახინაციებით ცდილობს გლეხობა ამყოფოს ძველი ზნე-ჩვეულებების, ცრუ-მორწმუნეობათა და შეხედულებების მონობაში. აქ სარწმუნოება მჭიდრო კავშირშია ხალხის რელიგიურ ჩვეულებებსა და წესებთან. მასში ძლიერია ტრადიციები. სარწმუნოებრივი ჩვეულებები და წესები. ამიტომ ანტირელიგიური პროპაგანდა ჩვენში მიზნად უნდა ისახავდეს ამ სარწმუნოებრივ ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს ფრიად სერიოზულ. და ძნელი ამოცანაა. პირველ რიგში ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ სარწმუნოებრივ ჩვეულებებს, რომლებიც ყველაზე მეტად ანადგურებენ მუშებსა და გლეხებს მატერიალურად. სარწმუნოებასთან სისტემატიური ბრძოლის წარმოება საჭირო. მორწმუნეთა მასების შეგნებიდან ცრუმორწმუნეობათა აღმოფხვრა ერთის ხელის მოსმით, არ შეიძლება, არ შეიძლება არც უბრალო სიტყვების რახა-რუხით. ანტირელიგიურ მუშაკს უნდა ჰქონდეს შესწავლილი ადგილობრივი პირობები, მოსახლეობის სარწმუნოებრივი განწყობილება და ყოფა-ცხოვრება. ის კარგად უნდა იცნობდეს სარწმუნოებრივ საკითხებს და მათი პროპაგანდის მეთოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ. მაზრის პროპაგანდისტები უნდა დაინტერესდენ ამ საკითხით და თანდათანობით შეისწავლონ იგი; ამასთანავე უნდა დაარსდეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით „უღმერთოთა კავშირები", რომლებიც იმუშავებენ განსაკუთრებულ ინსტრუქციების მიხედვით. სოფლად, სადაც ასეთი სახელწოდების კავშირების დაარსება მიზანშეუწონელია, შეიძლება დაარსდეს სახალხო-საუბრული, საბუნებისმეტყველო ან პოლიტიკური სახელწოდების წრე, სადაც ანტისარწმუნოებრივი განწყობილების შესაქმნელად მომზადდება ნიადაგი, შემდეგ კი შესაძლებელი იქნება სარწმუნოების წინააღმდეგ პროპაგანდის წარმოებაც.

არავითარ შემთხვევაში პარტიის დირექტივა სარწმუნოებრივ საკითხში არ უნდა იქნას დარღვეული. დარწმუნება და არა იძულება მორწმუნისა. პროპაგანდა სხვადასხვა ფორმებით და მეთოდებით უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ პირობების მიხედვით. მორწმუნის სარწმუნოებრივი გრძნობის შეურაცყოფას უნდა ვერიდოთ.

ანტირელიგიური პროპაგანდა სკოლებშიაც უნდა იქნას გაშლილი. სჯულის სწავლების მოსპობით სკოლებში საკითხი არ გადაჭრილა. ეს პირველი ნაბიჯია ამ დარგში. ჩვენი ახალგაზრდობა სრულიად გაურკვეველია სარწმუნოების საკითხებში. ამის გამო ის ზოგჯერ მორწმუნეთა გავლენის ქვეშ ექცევა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საგნების მასწავლებელთა მოვალეობაა სარწმუნოების და ანტი-სარწმუნოებრივ პროპაგანდის საკითხების ახსნა-განმარტებას მიაქციოს ყურადღება და ახალგაზრდობაში ჩანერგოს ურწმუნოობა ღმერთისადმი. ამ მხრით განსაკუთრებული სამსახურის გაწევა შეუძლია სახ. უნივ. პედაგ. ფაკულტეტს და პედაგოგიურ ტეხნიკუმებს, რომლებშიაც მასწავლებლობას ამზადებენ. სასწავლო პროგრამაში უნდა იქნას გატარებული ანტირელიგ. საკითხების შესწავლა; აგრეთვე უნდა შეიქმნან ანტირელიგიური წრეები, რომლებიც უფრო ღრმად შეისწავლიან ამ საკითხებს. ჩვენი პედაგოგები გულგრილად არ უნდა უყურებდენ სარწმუნოებრივ მოძრაობას, ისინი უნდა ებრძოდენ მას.

კომუნისტურ პარტიასთან ერთად შეგნებული უპარტიო მოქალაქენიც უნდა აწარმოებდენ ანტირელიგიურ პროპაგანდას. პარტიულ ამხანაგების გულგრილობა ამ დარგში საბოლოოთ უნდა აღმოიფხვრას და ისინი უნდა შეეცადონ სისტემატიური ბრძოლის დაწყებას გამოცოცხლებულ სარწმუნოების წინააღმდეგ.

დ. ო.—ძე.

ლოზუნგები 8 მარტისათვის

1. [illegible] გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—მშვიდობიანობის ერთ-ერთ დასაყრდენს.
2. მტრების ახალ მუქარას საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საქმის ჩაფუშვის შესახებ—ჩვენ ვუპასუხებთ მებრძოლი ძალების განმტკიცებით საქ. კ. პ. ბ. დროშის ქვეშ.
3. დღეს მთელ მსოფლიოში გისმის ქალთა ძახილი—სალამი ჩინეთის რევოლიუციონურ არმიას,—ქება და დიდება ჩინელ ქალებს, რომლებიც ეხმარებიან მას ბრძოლაში.
4. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—ძმური სალამი კაპიტალისტურ ციხეებში მომწყვდეულ მებრძოლებს.
5. ქალთა საერთაშორისო დღეს—სალამი ახალ საბჭოთა სოფლის მშენებელ გლეხ-ქალებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან საბჭოებსა და კოოპერაციაში.
6. მუშა-ქალო, ხელი შეუწყვე მომჭირნეობის, ფასების დაკლების, და შრომის დისციპლინის გატარება-განმტკიცებას, დაეხმარე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.
7. ღარიბნო და მოჯამაგირე ქალებო, ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს განამტკიცეთ კავშირი საშუალო გლეხ-ქალებთან კულაკების წინააღმდეგ.
8. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს სალამი საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიან შრომის დამცველ წითელ არმიას.
9. მუშა და გლეხის ქალო, ისწავლე საბჭოთა ქვეყნის მართვა-გამგეობა.
10. მუშა და გლეხის ქალო, მოზარდ თაობას გადაეცი ილიჩის ანდერძი—იარაღით ხელში დაიცავი საბჭოების ქვეყანა.
11. კომუნისტური პარტია იცავს ოქტომბრის მონაპოვარს. მუშა და გლეხის ქალებო, ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს მტკიცედ შეჰკარით თქვენი რიგები საქ. კომპარტიის—ლენინის პარტიის ირგვლივ.
12. მშრომელო ახალგაზრდა ქალო, შენი ადგილი ლენინურ კომკავშირის რიგებშია, იმ კომკავშირის, რომელიც უმზადებს ცვლას სოციალიზმისათვის მებრძოლებს და მის მშენებლებს.
13. აღმოსავლეთის მშრომელო ქალო, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას მოაქვს შენთვის მონობისაგან საბოლოო განთავისუფლება.
14. საქართველოს მშრომელო ქალებო, თვალყური ადევნეთ მუშა და გლეხ ქალის შესახებ საბჭოთა კანონების ცხოვრებაში გატარებას.
15. საქართველოს მშრომელო ქალო, გახსოვდეს, რომ შენი მუშაობიდან მაგალითს ღებულობენ აღმოსავლეთის დამონებულ ქალთა მილიონები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას მ და გ. ქალთა განყოფილება და აგიტპროპგანყოფილება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკაში

მასიური მუშაობის მორიგი ამოცანები

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი „მასიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ".

ეს წერილი წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაკთ, რათა მათ მუშური და გლეხური მასების საზოგადოებრივი ყურადღება მიაქციონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, და სისტემატიურად გამოამჟღავნონ მასების წინაშე ყველა ანტისაბჭოთა ინტრიგები, რომლებიც მიმართული არიან იმპერიალისტების ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ინგლისის ინტრიგები გერმანიასა, იტალიასა, პოლონეთსა, ლიტვასა, ბალტიის განაპირა სახელმწიფოებსა, ჩინეთსა, სპარსეთსა და აღმოსავლეთის და დასავლეთის სხვა ქვეყნებში).

ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნას ადგილობრივი, განსაკუთრებით გლეხური პრესა. ანტისაბჭოთა გეგმების ძირითადი ფაქტები უნდა გაშუქდეს, აგრეთვე, მიტინგებზე, [illegible] და წითელ კუთხეებში. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გამოცოცხლდეს მუშაობა სამხედრო განათლებაზე (თავდაცვის ხელშემწყობი საზოგადოების, ავიაქიმის და სხ. მუშაობის გაძლიერება).

უახლოესი თვეების ძირითად და ცენტრალურ მასიურ კამპანიას წარმოადგენს საბჭოების გადარჩევა. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კამპანიის ჩატარებაში კომუნისტებს გარდა, ჩაბმულ უნდა იქნან, აგრეთვე, პროფკავშირები, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კულტურული განმანათლებელი ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი საზოგადოებები, მუშგლეხკორები და სხ.

ქალთა ორგანიზატორების მომზადება

საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების 1927 წლის სამუშაო გეგმის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს მაზრებში მომუშავე ქალთა ორგანიზატორების გადამზადება. ეს ამოცანა ხელახლა ისმება მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების წინაშე. რადგან მუშაობა, რომელიც გაიშალა უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე დღემდე იყო, მოითხოვს კვალიფიციურ მუშაკებს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება აწყობს დროებით კურსებს, ისეთი სამეცადინო პროგრამით, რომლის გავლაც აამაღლებს ქალთა ორგანიზატორების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების საერთო დონეს და სპეციალურ კვალიფიკაციას. შარშანდელი კურსების მუშაობის აღრიცხვა და იმ ორგანიზატორ ქალთა მუშაობა, რომელთაც მიმდინარე წელს დაასრულეს აღნიშნული კურსები, მოწმობს რომ სწორედ იყო დაყენებული კურსების პროგრამა და პრაქტიკული მუშაობა და რომ კურსების მოწყობა მნიშვნელოვნად სწყვეტს გადამზადების ამოცანას.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებას განზრახული აქვს სამთვიური კურსების გახსნა თბილისში და ერთთვიური კურსების მოწყობა საბჭოთა საქართველოს ყველა ავტონომიურ ერთეულებში, იმ მიზნით, რომ კურსები დაუახლოვდეს მსმენელს და ამ უკანასკნელთ გაუადვილოს პროგრამის გავლა სამშობლო ენაზე.

მეცადინეობა თბილისსა და აჭარისტანში მოწყობილ კურსებზე იწარმოებს ქართულ ენაზე, აფხაზეთში—აფხაზურზე და სამხრეთ-ოსეთში—ოსურზე. ამასთან ერთად ამ ავტონომიურ ერთეულებს თბილისის კურსებზე დაეთმობათ თითო-თითო ადგილი. ნაციონალურ უმცირესობათა შორის მომუშავე (სომხები და თურქები) ქალთა ორგანიზატორები გაიგზავნებიან სომხეთისა და აზერბეიჯანის კომპ. ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების მიერ მოწყობილ ასეთივე კურსებზე.

ს.

საბჭოთა არჩევნები

„მეც დამეხმარე შენც დაგეხმარები"

(სურამი, გორის მ.)

სურამის აღმასკომის თავმჯდომარე მიშა ქიტიაშვილი ღარიბი გლეხის ოჯახიდან არის. თვითონაც მუშა ყო. (ხელობით ხარატი). მიშას წილათ ხვდა მუშებისა და გლეხების ხელმძღვანელობა სურამის თემში.

მას სამწუხაროდ გამოეცვალა ხასიათი და ის პირად მდგომარეობის გაუმჯობესებას უფრო სცდილობდა, ვიდრე საერთო საქმისას. მან საკმაოდ მოიმაგრა თავისათვის საჭირო პირები. „მეც დამეხმარე და შენც დაგეხმარებიო", ეტყოდნენ ერთმანეთს.

ამას უნდა მივაწეროთ ის, რომ მიშა დღეს გადაბძანდა აღმასკომის ხელში ახლად გადასულ სახლში. მიშა კარგ სახლში იყო, მაგრამ თუ კიდო უკეთესი შეიძლებოდა, არ ესარგებლნა შემთხვევით?

ამნაირათ მან გამოაჭახრაკა საქმე და კარგი სახლი მიისაკუთრა. მისი ძველი ბინა კი სხვას დაუთმო. მიშამ არ უფიქრია იმაზე, რომ აღმასკომს შეეძლო ზაფხულობით მოაგარაკეთაგან ფულები აეღო ამ სახლში. ქიტიშვილის ასეთი საქციელის გამო მისი ამომრჩევლები ოხვრით შეხვდენ და გაიძახიან, აბა ახალ არჩევნებში ნახოს როგორ გავიყვანთ. ოღონდ კრებაზე მობრძანდესო.

იგი.

ღარიბთა სიები ერთხმად გადიოდა

(ცაიშ - კახათის თემი, ზუგდიდის მაზრა)

არჩევნების დღეს დარი ძალიან ცუდი იყო. წვიმდა, ხანდახან თოვლსაც ურევდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, არჩევნები მეტად გაცხოველებით და ამომრჩეველთა აქტიური მონაწილეობით ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა ასეთი დიდი რიცხვის დასწრება, როგორსაც წელს ჰქონდა ადგილი, არ ახსოვს ჩვენი თემის წინა წლების არჩევნებს. ამას კიდევ დიდათ შეუწყო ხელი საარჩევნო უწყებებმა. 980 ამომრჩეველს დაეგზავნა საარჩევნო უწყება, მათში 502 ქალს. ამ რიცხვიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 732-მა ამომრჩეველმა. ანუ 74 პროცენტზე მეტმა. 732 დამსწრეებულთა შორის 341 ქალი იყო.

ამომრჩევლები ცოცხალი კრიტიკით ეკიდებოდენ კომპარტიის, კომკავშირის და ღარიბების მიერ შედგენილ სიებს, მაგრამ რადგანაც ეს სიები „კარგად ყოფილა შერჩეული", ამიტომ ყველგან ერთხმად გადიოდა ეს სიები, გარდა ერთი უბნისა, სადაც მხოლოდ ერთი საშუალო გლეხი შეიცვალა კომპარტიის წევრით.

საბჭოს პირველ სხდომაზე არჩეული იქნა აღმასკომი სამი წევრის შემადგენლობით.

ი. შამუგია.

რის ეშინიათ კულაკს

(თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა)

გლეხობა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ მტრებს საბჭოთა არჩევნებში ხმა წართმეული აქვთ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გლეხების შემაწუხებელნი ქურდები, რომ არ არიან შავ სიაში შეტანილი ეს არ მოსწონთ. და მართალიც, ხშირად გაიგონებთ გლეხობისაგან ამის შესახებ საყვედურს. „მე და იმან (ამბობს ქურდზე გლეხი) ერთად უნდა მივცეთ ხმა არჩევნებში"?

არაფრის არ ეშინიათ კულაკებს ისე, როგორც შავ სიაში შეტანის და კედელზე გაკვრის.

წარსულში, რომ ქურდები შავ სიაში იყვნენ, ამან რამოდენიმე გამოასწორა და დღეს პატიოსან შრომას ეწევიან.

ჩვენი მიზანიც ეს არის, რომ ასეთი ხალხი გამოსწორდეს.

ვალ—ია.

ძველი საბჭო გამოფხიზლდეთ

გომის თემი შეიცავს 14 საარჩევნო უბანს და უბნები დაშორებულია აღმასკომის სამმართველოსზე 8-10 ვერსით. წარსულ წლის საბჭოს მუშაობა იყო მეტად სუსტი იმის გამო, რომ საბჭოში შედიოდენ ისეთი წევრები, რომლებსაც წელს წაერთვა საარჩევნო უფლება. წარსული საბჭოს მუშაობა არ აკმაყოფილებდა გლეხების მოთხოვნილებებს. თვითონ აღმასკომის თავმჯდომარის გადამდგომით წარსულ საბჭოს შემადგენლობიდან იყო 28 წევრი არა საიმედო პირი.

დღეს სულ სხვანაირად მიმდინარეობს საბჭოს არჩევნები. წინასწარი მომზადება დამთავრებულია. უკვე შეუდგნენ არჩევნებს. უნდა ითქვას, წინასწარ მომზადებაში აღმასკომის მოხსენება უბნებში ვერ აკმაყოფილებდა გლეხებს, ამომრჩევლები საყვედურს გამოთქვამდენ სკოლების, გზების, საექიმო დახმარების და სხვა საკითხების მოუწესრიგებლობის გამო. თემს არ ყავს ექიმი, უექიმობით ზოგიერთ უბნებში ავადმყოფობა ძლიერდებოდა და მათ არ ჰქონდათ საშუალება ექიმისათვის მიემართათ.

საექიმო პუნქტი დაარსებულია თვით აღმასკომის სამმართველოსთან, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს მთელ მცხოვრებლებისათვის. ამისათვის მოითხოვენ საექიმო პუნქტისა და შიდაწლედი სკოლის ცენტრში გადატანა, რასაც ავალებენ მომავალ საბჭოს წევრებს და მათთან აღმასრულებელ კომიტეტს.

საერთოდ მთელი მცხოვრები გლეხები დიდ ენერგიას იჩენენ არჩევნებში. ისეთი ადგილებიდან გამოდიან და ესწრებიან საარჩევნო კრებებს, საიდანაც არც ისე ადვილია გამოსვლა. ქალები და კაცები მიდიან საარჩევნო პუნქტებში [illegible] ნახევარ თოვლში თხილამურებით.

ბ. დუნდუა.

თემსაბჭოების საპატიო წევრები

— ტყვიავის საბჭომ პრეზიდიუმის საპატიო წევრად აირჩია საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

— ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია არჩეულია პახულაანის თემის (ზუგდიდის მაზრა) საპატიო წევრად.

— ონოღიას თემსაბჭომ თავის საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა ელიავა.

დეპეშები

არჩევნები სამხრეთ - ოსეთში

ცხინვალი, 1 მარტი. სამხრეთ - ოსეთის ზოგიერთ რაიონებში საბჭოების არჩევნები უკვე დამთავრდა.

ლეკურის რაიონში 3.279 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 1.694. საბჭოში არჩეულია 63 წევრი, მათ შორის 2 ქალი. საბჭოს წევრებს შორის არის 8 კომუნისტი, 10 პარტკანდიდატი, 4 კომკავშირელი, დანარჩენი—უპარტიონი.

კუდარის რაიონში 1499 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 755 კაცი, აქედან 244 ქალი. საბჭოში არჩეულია 36 კაცი, აქედან 7 კომუნისტი, 8 პარტკანდიდატი, 5 კომკავშირელი და 4 ქალი. აღმასკომში არჩეულია 5 კაცი —2 კომუნისტი, 2 პარტკანდიდატი და 1 კომკავშირელი.

ანდორეთის რაიონში 4026 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 2246 კაცი. საბჭოში არჩეულია 92 კაცი, აქედან კომუნისტი და პარტკანდიდატი — 13, კომკავშირელი 22 და ქალი 7. აღმასკომში არჩეულია 5 კომუნისტი. (ადს).

კულაკების თავხედობა

თელავი, 1 მარტი. საბჭოების არჩევნები მთელს თელავის მაზრაში დამთავრდა. 23 თებერვალს არჩევნები ჩატარდა მაზრის უკანასკნელ თემში — ახალსოფლის თემში. ეს ერთ-ერთი უმდიდრესი თემია. აქ მისდევენ მეღვინეობას და მეთამბაქოეობას. კულაკების მომხრეობამ ღარიბ და საშუალო გლეხობის სიას საპასუხო წამოაყენეს თავისი სია ულტიმატუმით: „ერთი თქვენი, მეორე ჩვენი". კულაკების სია გამარცხებულ იქნა მთლიან 100 პროცენტით. არჩეულია 83 დეპუტატი, აქედან 7 ქალი, 6 კომუნისტი, 9 კომკავშირელი. აღმასკომში არჩეულია 5 კაცი, აქედან 2 კომუნისტი და 1 კომკავშირელი. 3353 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 1980 ე. ი. 59 პროც.

27 თებერვალს არჩევნები ჩატარებულია თელავში, მასთან გაერთიანებულ ყოფილ კურდღელაურის თემში და წითელარმიელთა ნაწილებში, რომლებიც დაყოფილი იყვნენ 7 საარჩევნო პუნქტად. 8912 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 4991 ე. ი. 71 პროც., აქედან ქალი იყო 56 პროც., მამაკაცები — 44 პროც. არჩეულია 184 დეპუტატი, აქედან ქალი 31 (16 პროც.), კომუნისტი 65 (35 პროც.), კომკავშირელი 21 (11 პროც.), მათ შორის 15 დეპუტატი წითელარმიელია ნაწილებისაგან.

ყველა 7 პუნქტში საბჭოს საპატიო წევრად ერთხმად იქნა არჩეული ამხ. შალვა მათიკაშვილი.

სახალხო თეატრში შესდგა თელავის თემსაბჭოს პირველი სხდომა. მოსმენილ იქნა ქალაქისა და მაზრის საარჩევნო კომისიის მოხსენება. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. (ადს).

სოხუმის ქალაქის საბჭოს არჩევნები

სოხუმი, 1 მარტი. დასრულდა არჩევნები სოხუმის ქალაქის საბჭოში. 10.140 ამომრჩევლიდან საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა 5.759 კაცი, მათგან 1.350—ქალი. საბჭოში არჩეულია 120 დეპუტატი, მათგან 56 მუშა, კომუნისტი და კომკავშირელი—87. ეროვნული შემადგენლობის მხრივ: აფხაზი 24, რუსი და ქართველი 58, [illegible]—40. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. [illegible] (ადს).

აფხაზეთის საბჭოთა ყრილობის მოწვევა

სოხუმი, 26 თებერვ. აფხაზეთის საბჭოთა მე-4 ყრილობა მოწვეულია სოხუმში 5 მარტისათვის. ყრილობის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა. აფხაზეთის ცაკის მოხსენება, აფხაზეთის სახკომსაბჭოს მოხსენება, საარჩევნო კომისიის მოხსენება, [illegible] და სხვ.

საბჭოთა საქართველო

ქალების მოტაცება გახშირდა
(სუფსა, გურია)

ამას წინათ აქაურ მცხოვრებს გიორგი ჩხარტიშვილს მოსტაცეს 14 წლის ქალიშვილი. მშობლების და მეზობლების წყალობით ქალი ყაჩაღებს დაატოვებინეს. გამოირკვა, რომ ქალს არ ქონდა სურვილი „ძალით მაცხონე სასიძო“-ს გაჰყოლოდა.

არ გასულა სამი დღე, რომ ქალი ისევ მოიტაცეს და ახლა კი ვერც მშობლები და ვერც მეზობლები ვერაფერს გახდენ. ადგილობრივმა მილიციამ მიიღო ზომები და ბოროტმოქმედნი მეორე დღეს დაპატიმრებულნი სუფსაში მოიყვანა. ყველა დაინტერესებული იყო თუ ეხლა რას იტყოდა ქალი, რომელიც სამი დღის უწინ როგორც ვიცით უარს ამბობდა „დაუპატიჟებელ სასიძო“-ს გაყოლაზე.

როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება შეეკითხა, თუ რა აზრის არის ის მოსტაცებელ საქმროზე, მან განაცხადა: „რადგან ასეა საქმე მე გავყვებიო“. ცხადია აქ იძულებას ჰქონდა ადგილი.

11 თებერვალს საღამოს იმავე თემში მცხოვრებ გლეხ ათანასე კვაჭაძეს მიუხტა შეიარაღებული შვიდი კაცი, შეიქნა ნამდვილი ხელჩართული ომი, მთელი სოფელი ფეხზე დადგა და შიშისაგან ვერც კი გამოერკვეულიყვენ, თუ რაში იყო საქმე. გამოირკვა რომ დანიშნული ქალი, რომელიც მეორე დღეს, კვირას, უნდა გაყოლოდა ქმარს, მოიტაცა ღლონტმა.

დაჭრილია ქალის ძმა და საგრძნობლად დამტვრეული და გალახულია ქალის მამა. მეორე დღესვე მილიციამ მიიღო სასწრაფო ზომები და ფეხდაფეხ დაედევნა ბოროტგამზრახველებს, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცით, რა ბედი ეწვია მათ. მოსალოდნელია კიდევ მარცხი. ამ ამბავმა და საერთოდ ჩვენში ქალის მოტაცების გახშირებამ დიდათ ააღელვა მშრომელი მოსახლეობა.

აუცილებლათ საჭიროა მათი სამაგალითოდ დასჯა. უნდა დაისაჯოს არა მარტო „ძალათ მაცხონე სასიძო“, არამედ სასტიკი სასჯელი უნდა მიიღოს იმან, ვინც მას ახლდა და გვერდს „უმშვენებდა“.

კაციანი.

წითელმა ჯვარმა დაივიწყა
(საგარეჯო, თბილისის მ.).

გასულ წლის ზაფხულში წითელი ჯვრის საზოგაობას სოფელ საგარეჯოში შეეძინა 100-მდე ახალი წევრი, უნდა ითქვას, რომ არა მარტო საზოგადოების გარეშე მდგომ მოქალაქეთათვის უცნობი იყო წ. ჯ. საზოგად. მიზნები და ამოცანები, არამედ თვით ამ საზოგადოების წევრებისათვისაც. მათი მუშაობა ამ საზოგადოებაში ამოიწურებოდა მხოლოდ და მხოლოდ საწევრო წიგნაკების შეძენით.

1926 წ. ოქტომ. და ნოემბრ. თვეებში საქართველოს წ. ჯ. საზოგადოების ლექტორი ექიმ ვანო ჩოხელის 2-3 ჯერ მოწყობილმა საუბრებმა აღნიშნულ საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე ციებ-ცხელებაზე, ვენერიულ ავადმყოფობაზე და სხვა, გლეხობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

თვითეულ მოწყობილ საუბარს 400-500 გლეხი ესწრებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საუბრის გარშემო წამოჭრილ შეკითხვებში გლეხობის 2/3 ღებულობდა მონაწილეობას. განსაკუთრებით ახარებდა გლეხობას მდაბიო და მათთვის გასაგებ ენაზე მოსმენილი საუბარი.

2—3 თვეა ჩვენი სოფლის გლეხობა ყოველ დღე მოლოდინშია, გაიყურებიან საქართველოს წ. ჯ. ცენტრალურ კომიტეტისაკენ. კარგი იქნებოდა წ. ჯ. საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებდეს გლეხობის სურვილს და გამოგვიგზავნიდეს ექიმ-ლექტორს სანიტ-ჰიგიენურ საკითხებზე საუბრების ჩასატარებლად.

ილ. ბედიაშვილი.

როდის უნდა მოვუღოთ ბოლო?
(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ამ მოკლე ხანში ძლიერ გახშირდა ხანძარი. გლეხს ი. ოდიკაძეს დაუწვეს სამი დიდრონი ძირები თივა, გლეხს ი. ლუკაშვილს დაუწვეს საკრამიტე, ამას არ დასჯერდნენ ღამის მაწანწალა „ტურები“. გლეხს ს. დრიძეს დაუწვეს საქონლის საკვებით სავსე საბძელი, მასვე ჰქონდა საბძელში ოცდა ათი კოდი პური და სხვადასხვა ნივთები. სულ ყველაფერი დაიწვა ზარალი დიდია.

დრიძეს საბძელი იდგა გომზედ, მეზობლების დახმარებით ცეცხლი ჩაქრობილ იქმნა და გომი გადარჩენილი. გომში საქონელი ებაძლივს გამოიყვანეს მეზობლებმა, რადგან გომი ბოლით გავსილიყო და თითქმის შეუძლებელი ხდებოდა გომში შესვლა, მაგრამ, როგორც იყო, შევიდენ. თოკები დასჭრეს და საქონელი ბოლისაგან დაღრჩობას გადაარჩინეს.

საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღოს სათანადო ზომები დამნაშავენის აღმოსაჩენად და სასტიკად დასასჯელად.

მეგრი.

ნუ თუ დამნაშავეს ვერ აღმოვაჩენთ?

თ[illegible] წყაროს ყოფილ ყაზარმებში მოთავსებულია საბავშვო სახლი. ეს ყაზარმები არის ძველი ნაშენი. ეხლა დიდი ფული უნდა დაიხარჯოს, რომ ამნაირი შენობები აშენდეს. ერთი ყაზარმა იქნებოდა 50 საჟენი სიგრძე და ჰქონდა ორი სართული, სადაც მოთავსებული იყო სკოლა და საწყობი. ამ უზარმაზარ შენობას ცეცხლი გაუჩნდა და სულ მთლიანად ვადაიწვა. ახლა მეორე შენობასაც გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ეკუთვნის ამავე დაწესებულებას.

გარდა ამისა, აქ იყო ევრეთ წოდებული პოლებას. ეს სახლიც დაიწვა ნახევრათ.

[illegible] საეკლესიო სახლი, მასაც ცეცხლი გაუჩნდა და ნახევარი ისიც დაზიანდა.

ეს მოხდა სულ ერთი კვირის განმავლობაში ამ რამოდენიმე ათასი მანეთის მაზარალებელი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ნუ თუ ამ სისაძაგლის ჩამდენი აღმოუჩენელი [illegible]

[illegible]

კოოპერაცია მოიკეთებს
(ს. ხაზანი, შორაპ. მ.)

ს. საზანი დაშორებულია ქ. ზესტაფონს 16 ვერსით. აქ არსებობს ზესტაფონის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების განყოფილება. ეს განყოფილება სამწუხაროთ ოდნავ ვერ აკმაყოფილებს გლეხების მოთხოვნილებას. გარდა ამისა, რომ საქონელი აქ გაცილებით უფრო ძვირია, ვინემ ქ. ზესტაფონში, (ზესტაფონის დუქნებს ბევრათ მეტი ხარჯები აქვს), ძალიან ხშირათ პირველი მოთხოვნილების საგნებიც არ მოიპოვება და უვარდება ხელში იქვე კერძო ვაჭარს ან მიდის ჩხარის მომხმარებელ საზოგადოების განყოფილებაში.

ეს უკანასკნელი თუმცა ბევრით არა, მაგრამ შედარებით უფრო აკმაყოფილებს თავის წევრების მოთხოვნილებას. არ იქნებოდა ცუდი, რომ ცეკავშირის ინსტრუქტორი ინახულებდეს ჩვენ განყოფილებას და მიუთითებდეს გამგეობას სხვადასხვა საჭიროებაზე.

შინაური.

ქურდებმა აგვიკლო
(საწირის თემი)

აქ ძალიან გავრცელდა საქონლის თავისუბური სენი. ეს სენი მდგომარეობს იმაში, რომ საქონელი უგზო-უკვლოდ იკარგება ბოსლებიდან. გლეხობა ამ სენთან ბრძოლაში უძლურია. თუ ზედვე არ დაიჭირე, ქურდს ისე ვერ ამხელ და ვერ დასჯი.

რას იზამ, ქურდი მოწმეს არ ისწრებს. იმ დროს იპარავს, როცა დარწმუნებულია სხვა არ უყურებს. არა ერთჯერ ყოფილა მთავრობისგან ნათქვამი—შემჩნეული კაცი მოგვეცითო. ეს ბევრჯერ სცადეს გლეხებმა. მისცეს ადგილობრივ მთავრობას შემჩნეულები, მაგრამ შედეგი არაფერი მოჰყვა ამას. ერთი ასეთი შემთხვევა იყო: გლეხებმა არ დაფარა ქურდი, მისცა ის მთავრობას, მაგრამ დამნაშავე მაზრაშიაც არ გადაუგზავნიათ, ის ისევ აქ დათარეშობს თავისი ამქრებით, კვლავ განაგრძობენ თავის „საქმეს“. სათანადო ორგანო ალბათ მიიღებს ზომებს ამ ნაძირალების წინაამდეგ.

რკინა.

ტყე იძარცვება
(ახალ გავაზი, თელავის მაზ.)

აქ ტყის მცველად არის ვინმე ხვედელიძე, რომელიც მხოლოდ ჯამაგირისთვის დგას და არა ტყისთვის. ჯამაგირზე კი მალ-მალ მიდის გლეხებთან და უყვირის, ჩემი გასამრჯელო მომეცითო. ტყეს კი არ უვლის. ჩარექა ღვინით შეგიძლიათ მთელი ტყე გაიტანოთ. ასეთი კაცი ღირსი არაა ამ თანამდებობის.

კომკავშირელი.

ამ კუთხესაც მიხედეთ
(საგარეჯო, გალმა-უბანი)

გალმა-უბანი კარგა მოზრდილი ხევით, რომელსაც ეწოდება „თვალთ-ხევი“, საკმაოთ დაშორებულია საგარეჯოს. ამ უბანში ირიცხება დაახლოვებით 450 კომლამდე. უბანს არა აქვს სკოლა და ბავშებს ცივ-ზამთარში უხდებათ ამ ხევზე სიარული, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის გამო ბავშებს არ ძალუძთ სკოლაში წასვლა.

გლეხებს აქ წყალი არა აქვთ მილებით გამოყვანილი, რის გამო იძულებული არიან იხმარონ მდინარე წყალი, რომელიც ძალიან ბინძურდება ზემო-უბნის მცხოვრებლების მიერ. აქვთ ერთი პატარა წყარო „უზუნი“, რომლის გარშემო დილიდამ-საღამომდე, დიდი კუდებია გაჭიმული.

გ. გარსიაშვილი.

მევახშეების თარეშობა
(წყნეთი, თბილ. მ.).

გვაქვს საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც ჩვენგან დაშორებულია 6-სი ვერსის მანძილზე. ჩვენ ვერ ვსარგებლობთ ამ ამხანაგობის კრედიტით, რამდენიც მივმართეთ, იმდენი უარი გვიპასუხეს. იძულებული ვხდებით ისევ მივმართოთ ადგილობრივ კულაკებს სესხისათვის, რომლებიც დიდ სარგებელს გვახდევინებენ, თვეში არა ნაკლებ 10 მანეთზე 1 მანეთისა, თუ გლეხმა დროზე ვერ გადიხადა სარგებელი, მაშინ მევახშე სარგებლის სარგებელსაც ახდევინებს, რაც სრულიად ანადგურებს ისედაც გაღატაკებული გლეხის ოჯახს.

მდიდრების ასეთი ყვლეფისაგან მხოლოდ საკრედიტო ამხანაგობის მუშაობის გამოცოცხლება გვიხსნის.

მეთვალყურე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. გაკეთებული იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: „ფასების დაკლების საკითხი და მუშკორთა ამოცანები“. ყველა მუშკორთა დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა

მუშები ინგლისის ნოტის შესახებ

პირველ მარტს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში“ შესდგა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრებას დაესწრო 300-მდე მუშა. დღის წესრიგში იდგა ერთი კითხვა: ინგლისის ნოტა და ჩვენი პასუხი.

ამ საკითხზე ინფორმაციული მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია. მოვისმინეთ რა მოხსენება ინგლისის მთავრობის მიერ გამოგზავნილი ნოტის შესახებ, ჩვენ კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“-ს მუშა მოსამსახურენი ერთხმად ვაცხადებთ უსასტიკეს პროტესტს ინგლისის მთავრობის მიერ გამოგზავნილ ნოტის წინაამდეგ—მიმართულ საბჭოთა მთავრობისადმი, რომლის მიზანია სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა საბჭოთა კავშირთან.

ჩვენ მუშები დაბეჯითებით მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისაგან, რათა მან ბოლომდის გაატაროს ისეთი პოლიტიკა, როგორსაც ის ეხლა ატარებს და დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარი.

ჩვენ ყველანი ომის წინაამდეგნი ვართ, მაგრამ თუ კი ვინმე გაბედავს საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრებას, ჩვენ მზად ვართ მივსცეთ შესაფერისი პასუხი მუშათა კლასის მტრებს.

მუშკორი ვანო.

ერთად ვიზეიმეთ

23 თებერვალს, წითელი არმიის 9 წლის არსებობის თავზე, კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის“ მუშები მუშაობის შემდეგ გავემართეთ შეფათ აყვანილ მეორე საარტ. ლეგიონში. იქ დავათვალიერეთ ლეგიონის კლუბი, ლენ-კარავები, წითელ-არმიელების საწოლები, თავლა და სხვა, რამაც მუშებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ამავე დღეს საღამოს 7 საათზე ლეგიონის კლუბში თავი მოიყარეს მუშებმა და წითელ არმიელებმა საზეიმო სხდომაზე, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენება წითელ არმიის 9 წლის არსებობის მნიშვნელობაზე. მოხსენების შემდეგ მუშებმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს წითელ-არმიელებს.

სხდომის შემდეგ ამავე ლეგიონის წითელ არმიელების და მუშების საერთო მონაწილეობით დადგმული იქნა წარმოდგენა „წითელი გენერალი“ ერთ მოქმ. და „ჩანჩურა“ კომედია ერთ მოქმ.

მეორე დღეს საღამოს შვიდ საათზე მუშები კიდევ თავს იყრიან ლეგიონის კლუბში საზეიმო სხდომაზე, საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავის აღსანიშნავად.

წითელარმიელნი, მეთაურნი და პოლიტშემადგენლობა სიხარულით ხვდებიან სტუმარ მუშებს. ქარხნის რედკოლეგიამ, წითელი არმიის 9 წლის და საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავის აღსანიშნავად გამზადებული კედლის გაზეთი სახელწოდებით „წითელი მეკოლოფე“ გამოაკრა ლეგიონის კლუბში. კლუბის დარბაზი გაივსო მუშებით და წითელ არმიელებით. საზეიმო სხდომაზე საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის არსებობის გარშემო მოხსენებით გამოვიდა ამხ. უსეინოვი.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აზიური ცეკვა.

მუშკორი ვანო.

[illegible] მიხედეთ
(რკინისგზის სამმართველოს საყურადღებოდ)

თბილისის სადგურის ბრანდმეისტერი ამხ. ელიავა ვალდებულია რაზმში იმყოფებოდეს, როგორც პასუხისმგებელი მომუშავე ხანძარზე. ბრანდმეისტერის შესახებ კოლხელშეკრულებაში გარკვევით არის ნათქვამი: ბრანდმეისტერებს საცხოვრებელი ბინა ეძლევათ პირველ რიგში და უსათუოდ რაზმთან ახლოს. მიუხედავათ ამისა ელიავა რაზმზე ბევრად დაშორებულია და სცხოვრობს კერძო ბინაზე, მაშინ როცა მისი კუთვნილი ბინა გადასცეს ისეთ პიროვნებას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხანძრის რაზმთან. ამის გამო, ამხ. ელიავა დღე და ღამე რაზმშია და სრულიად მოწყვეტილია თავის ოჯახს.

სანამ გვიან არ არის მიეცით ბინა კუთვნილებისამებრ, როგორც მოხდა ლენინაკანში, ჯერ დასწვეს რამდენიმე ათასი მანეთის ქონება და მერე იფიქრეს ბრანდმეისტერის ბინაზე, ასე არ მოხდეს აქაც, თორემ გვიანღა იქნება.

მუშკორი—ძია ლევან.

ავლაბრის კლუბი

კულტურულ დონის ამაღლების დარგში, როგორც ვიცით უდიდეს როლს თამაშობს კლუბი ამ მხრივ აღსანიშნავია ავლაბრის მუშათა კლუბის მუშაობა, რომელიც დაარსდა ამ ერთი წლის წინად. კლუბი დაარსებულია კახეთის მოედანზე. დაარსებიდან დღემდე კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ავლაბარში არსებული მუშათა აღმშენებლობის კავშირი. კლუბში ტარდება სხვადასხვა კინოები, წარმოდგენები და სხვ. კლუბში დაარსებულია ქართულ - სომხური დრამატიული წრე. სომხური დრამწრე ცოტათი მოისუსტებს, რის მიზეზად უნდა ჩაითვალოს როგორც წევრების, ისე წრის ხელმძღვანელის სისუსტე და მუშაობისადმი უყურადღებობა. ქართული დრამწრე ვარიანად მუშაობს, წრე აერთიანებს 30 წევრს, რომელსაც ხელმძღვანელობს ძველი დამსახურებული არტისტი — ყოფ. მუშა **გ. დარისპანაშვილი.**

წრის წევრები თავიანთი მომზადებით გაცნობილი არიან თავიანთ ვალდებულებას და მუშა-მოსამსახურეთა საპატივსაცემოდ სწევენ ყოველ გვარ მუშაობას.

შ. ხიდისკარელი.

ის წავა—სხვა მოვა

ჩვენს წარმოებაში არიან სპეცები, რომელთაც წარმოებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვთ, ჩვენს პოლიტიკას კარგად იცნობენ და კიდევაც ატარებენ ამ პოლიტიკას. მაგრამ, არიან ისეთებიც, რომელნიც ვერ შეგუებიან ჩვენს საერთო პოლიტიკას და განგებ უნდათ გვერდი აუხვიონ სახელმწიფოს მიერ აღებულ გეზს, და ისიც ვითომდა ისევ ჩვენს სასარგებლოდ. ერთი ასეთი სპეცი მსახურებდა ტყავ-ტრესტის წარმოებაში. 22 თებერვალს ტყავ-ტრესტის სამმართველოში ტრესტის მმართველის თავმჯდომარეობით შესდგა განყოფილების დირექტორთა და სხვა მცოდნე პირთა თათბირი, რომელზეც იდგა საკითხი ტრესტის ნაწარმოებზე ფასების დაკლების შესახებ. ამ საქმეში ისეთი ჯიუტობა გამოიჩინა ხსენებულმა სპეცმა, რაც ყოვლად დაუშვებელია.. ის წინაამდეგი იყო ფასების დაკლების, სახსარი არ გვაქვსო. ამავე დროს 400 მან. იღებდა და კიდევ წუწუნებდა—მომატებას მოითხოვდა. ამის სახსარი კი ეგულებოდა.

ეს სპეცი 23 თებერვლიდან ტყავ-ტრესტის წარმოებიდან სრულიად დათხოვნილია. ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს. ჩვენ ყველას პატივს ვსცემთ, სპეცია თუ ხელოსანი, მაგრამ ჩვენს რიგებში ვერ დავაყენებთ, ვინც გინდა არ იყოს ის, ვისაც ჩვენი საერთო პოლიტიკა არაფრად არ მიაჩნია და ცდილობს ამ პოლიტიკის გატარებისათვის ხელის შეშლას.

ის წავა, მასზე უკეთესი სხვა სპეცი მოვა.

მუშკორი [illegible].

გამოხმაურება

ჩვენი გაზეთის № 22 (1777) მოთავსებული იყო ამხ. კონდუქტორის კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა ქუჩაზე ტრამვაის ხაზი ტროტუართან ახლოს არის დაგებული რაც კონდუქტორების დაშავებას იწვევს და მოითხოვდა ლიანდაგის ტროტუარიდან დაშორებას.

ამ შენიშვნის საპასუხოდ ტრამვაის დირექტორი გვატყობინებს, რომ ახალი რონოდების დაგების დროს საბჭოთა ქუჩაზე ორივე ლიანდაგი მიმოწეული იქნება.

* * *

4 ვედრო ერთ კაპ. ეძლევა. ზოგიერთ ძალიან იშვიათ შემთხვევაში კი ხდება ხოლმე შემდეგი. კაპიკიანზე ნაკლები ფულის ნიშნების უქონლობის გამო მოქალაქე მეონკანეს უტოვებს კაპიკიანს და ზგჯერ

„კომუნისტის“ 4 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა, რომელიც ეხებოდა ვლადიმერის ქუჩაზე (მე-11 უბანი) მდებარე წყლის ონკანით სარგებლობის მოწესრიგებას.

ამაზე აღმასკომის საინფორმაციო განყოფილება გვატყობინებს, რომ წყლის გამნაწილებელი ონკანი იღება დილის 10 საათზე და იკეტება, დღის 2 საათზე“ ვინაიდან მეტი წყლის მოთხოვნილება აქ არ არის. რაც შეეხება ორი ვედროს ერთ კაპეიკად გაყიდვას, ასეთი არა ხდება და საერთო წესით ყველას 4 ვედროს ერთად წაღებას კი ვერ ახერხებს. რამდენიმე ხანის შემდეგ, როდესაც იგი მოინდომებს დანარჩენის წაღებას, რადგან მეონკანეებს მრავალი ხალხი ახვევია და ზოგიერთ მათ სახეებს ვერ იმახსოვრებს მეორეთ მოსული დანაკლისი წყლის მიცემაზე უარს ეუბნება.

მუშათა ქრონიკა

— **ამხ. ზარამიძის დანიშვნა.** ექსპლოატაციის სამსახურის მეორე განყოფილების უფროსად დანიშნულია ამხ. ვლასა ზარამიძე.

— **კონფერენცია.** პირველ მარტს გაიხსნება ხაშურის საუბნო კომიტეტის კონფერენცია.

— **სამტრედიის** საუბნო კომიტეტმა უბნის წითელ კუთხეების მოსაწყობად გაიღო 510 მან.

— **წარმოდგენა.** ხვალ, პლეხანოვის სახელობის კლუბში წარმოდგენილ იქნება პიესა „ამერიკელი ძია“.

— **საწარმოო თათბირი.** სამ მარტს შესდგება სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო თათბირი. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) სადგ. თბილისის ლიანდაგების განთავისუფლება რონოდებისაგან, 2) სახანძრო მატარებლის სხვა ლიანდაგზე გაყვანა, 3) ავჭალის მხრიდან მომავალ მატარებლების დაგვიანების მიზეზები, 4) საინტერნატო ჩიხში ცარიელი რონოდების შესახებ, 5) მიმდინარე საკითხები.

— **სამტრედიის** საუბნო კომიტეტმა ქუთაისის კლუბის საჭიროებისათვის გაიღო 370 მან.

— **გასამართლება.** 6 მარტს სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია აწყობს საჩვენებელ - სამედიატორო გასამართლებას გაზეთში მოთავსებულ შენიშვნების გამო.

— **ყრილობა.** დღეს გაიხსნება სასოფლო - სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის მეექვსე ყრილობა

— **2 მარტს** პლეხანოვის და ორჯონიკიძის სახ. კლუბში პირველ რაიონის საშეფო ბიურო მართავს საღამოს შემდეგი შინაარსით: პოპულიარული მოხსენება საშეფო საზ-ბის მნიშვნელობის შესახებ და წარმოდგენა.

— **კონცერტი მუშებისათვის.** შაბათს, 26 თებერვალს, პლეხანოვის სახ. კლუბში გაიმართება კონცერტი მუშებისათვის.

— **კინო-აპარატი.** რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს საშეფო ბიურო კოლექტივს განზრახული აქვს საშეფო სოფლისათვის შეიძინოს მოძრავი კინო-აპარატი.

— **კედლის გაზეთი.** გუშინ სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „ნიშანსვეტის“ მე-15-ტე ნომერი.

საჭე მარცხნივ!

მართალი მოგახსენოთ, არაფრათ მეხალისება ჩვენ გაზეთებში იმ ადგილების კითხვა, სადაც წვრილი ასოებით ამოწყობილი სვეტებია გადალესილი, მაგრამ—წამძლია სულმა—„კომუნისტი“-ს [illegible]ვირის (№ 46—27 თებერვალი) ნომერში რაღაც მარცხათ წავიკითხე „შხეფის“ რეცენზია იმ პიესის შესახებ, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინათ დასდგა ჩვენმა სახელმწიფო დრამამ.

ეს პიესა გახლავთ ბილ-ბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ!“ მისი შინაარსი დაახლოებით ასეთია.

ზღვაში მისცურავს კერძო სავაჭრო გემი „England“, საქონლით დატვირთული. საშინელი სიცხეა. მეზღვაურებს სული ხდებად სიცხისაგან, მათ სასმელი წყალი გამოელიათ. მეზღვაურების უფროსი და გემის პატრონი ამ დროს კოხტად მოწყობილ ოთახში სხედან და საგრილებელ სასმელებს შეექცევიან. სიცხისა და წყურვილისაგან გამწარებულ მეზღვაურებს ადამიანის ფერი აღარა სდევთ. ყველაზე მეტად იტანჯება ერთი ახალგაზრდა მეზღვაური, პატარა ობოლი ბიჭი, რომელსაც შორს, სადღაც ქალაქში მოუთმენლად მელის დედა ეს ბიჭია მისი ერთად-ერთი იმედი—მისი პატრონი. ის ყველაზე ნორჩია, მას მეტის ატანა აღარ შეუძლია—ბოლოს ის ღელვის დროს იღუპება.

როგორც იქნა გემი გასცილდა ამ საშინელ სულის შემხუთავ სიცხის ზოლს, როგორც იქნა მიაღწია მან ნაპირს.

ნაპირზე მიდგომის დროს მოდის ცნობა იმის შესახებ, რომ დაწყებულია ომი.

ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ებრძვის გერმანიას და მის მოკავშირეებს. ეს ამბავი მეზღვაურებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ცოტა ხნის შემდეგ გემი ისევ ზღვაში მიდის, მაგრამ მეზღვაურებს მუდამ თვალწინ ელანდებათ საფრთხე. ვინ იცის, როდის ამოყვინთავს [illegible] ქვეშა ნავი და, თუ მარჯვეთ არ დახვდენ, უფსკრულისაკენ გასტუმრებს გემს და ყველას, ვინც ამ გემზე ზის. აი ეს მოუთმენლობა უკვე საკმარისია იმისათვის, რომ მეზღვაურები დაუფიქრდენ იმ გარემოებას, თუ ვინ ან რისთვის დაიწყო ეს ომი. მათ უკვე ნაპირზე [illegible] დროს უთხრეს, რომ ომი, საჭიროა „სამშობლოს“ დასაცავათო.

არ სჯერა მეზღვაურებს ეს ამბავი. ან ვინ მისცა მათ სამშობლო?

აი აგერ ერთი მეზღვაური, რომელსაც მთელი თავის ცხოვრება ზღვაში გაუტარებია. ვინ იცის, რომელი სახელმწიფოს გემი არ უმუშავნია მას.

— სადაც ფულს მაძლევენ იქ ვმუშაობო, ამბობს ის. ეს მას სამშობლოდ არ მიაჩნია, ან რა არის აქ დასაძრახისი? ის მოჯამაგირეა. მას თავის [illegible] ვისაც ესაჭიროება მისი შრომა. ისიც იმისთვის მიდის.

მეზღვაურებს კარგად ახსოვთ, რომ ომის დაწყების წინ [illegible] მა მოასწრო, თვით კი და იღუპება.

— მაშ, ჩვენ უნდა დავუმიზნოთ ფრიცს, იმანაც უნდა ესროლოს რომ ჩვენ მოგვისპოს სიცოცხლე? მერე რატომ, განა ის ჩვენი ამხანაგი არ არის?

ამ ლაპარაკის დროს უკვე იძლევიან ნიშანს, რომ წყალქვეშა ნავი მართლაც გამოჩნდა. შეიქნება ბრძოლა. წყალქვეშა ნავს მოხვდა ზარბაზნის ყუმბარა, ის იძირება.

ეს კიდევ უარესად მოქმედებს მეზღვაურებზე იზრდება უკმაყოფილება. მათ შორის არის ერთი მეზღვაური რუსი ფილიპ, რომელსაც უწინ „პოტიომკინზე“ უმსახურია. ის უმხელს ამხანაგებს თავის თავგადასავალს. მეზღვაურების აზრი და გრძნობა განსაკუთრებული მიმართულებით მუშაობს. გადის კიდევ დრო. „პოტიომკინზე“ ნამყოფი მეზღვაური ფილიპე ბრუნდება სამშობლოში. აქ ოქტომბრის რევოლუცია უკვე მომხდარა, საბჭოთა ხელისუფლებას ყოველი მხრიდან ესევიან შინაური და გარეშე მტრები.

გემი „England“ სხვებთან ერთად, მოდის არხანგელსკისაკენ. მას ნაბრძანები აქვს მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში:—მოეხმაროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულ თეთრგვარდიელებს. საჭიროთ და სასიცოცხლოა ეს დრო წითელი ბანაკისათვის. „პოტიომკინზე“ ნამყოფი მეზღვაური ფილიპე წითლების ბანაკშია. თითქოს აღარ არის არსაიდან ხსნა და საშველი. უკვე მოსულია ცნობა, რომ სულ ჩქარა მოადგება ნაპირს უცხოელების გემები—ეს უკვე უეჭველი დამარცხებაა.

ამ დროს ფილიპე გადასწყვეტს როგორმე გაიპაროს მტრის ბანაკში და მიაღწიოს გემს. მას სწამს, რომ მეზღვაურებს ის გააგებინებს და მიახვედრებს, რომ სამარცხვინოა მათი ამ ბრძოლაში ჩარევა მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

მართლაც, ის ახერხებს გემამდე მისვლას და ეს სწორედ ის გემი აღმოჩნდება, რომელზედაც ერთ დროს ის მუშაობდა. მისმა სიტყვამ გასჭრა. მეზღვაურები ატყვევებენ თავიანთ [illegible] ნაპირიდან [illegible] „საჭე მარცხნივ!“ და გემი ისევ ზღვაში ბრუნდება; [illegible] და თან მიაქვს ნამდვილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იშოვეს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა თავისუფლება.

აი ასეთია ამ პიესის შინაარსი. როგორ აფასებს მას „კომუნისტის“ რეცენზენტი—„შხეფი“ [illegible] ეს არის „სუსტი“ „აგიტკა“ [illegible] დატენილობით“. *) [illegible] მაგრამ, თუ რომ [illegible] „აგიტკას“ [illegible] ამაში ის უსათუოდ შემცდარი უნდა ყოფილიყო. ან რა მოსაზრებით, რა საბუთებით ამტკიცებს, რომ ეს პიესა [illegible] „აგიტკაა“ და ისიც სუსტი. ის თავის [illegible] „საჭე მარცხნივ“ [illegible] რელიეფურათ გამოვლინებულ პერსონაჟს“. ეს სიტყვები ისე უაზროთ არის ერთმანეთზე გადაბმული, რომ მე ვერ ვბედავ მისი აზრის გაგებას. როგორც ჰგავს შხეფს პიესა არ მოსწონს და გულმოსულათ მოგვითხრობს რაღაც „რელიეფურად გამოვლინებულ მორგების“ შესახებ. რას ნიშნავს ეს სიბრძნე, საიდგან „გამოავლინა“ მან ეს სიტყვები და ვინ ასწავლა მას ასე მათი ერთმანეთზე გადაბმა, მე არ ვიცი.

ამის შემდეგ შხეფს რამოდენიმე ჩვეულებრივი სიტყვა წამოცდენია. ის ამ პიესას კინოლენტს ადარებს და შემდეგ ასე განაგრძობს... „თვითეულ კადრს თავისი საკუთარი განწყობილება და ინტენციონალური დინამიკა ახასიათებს, უკანასკნელი არ გადადის შემადგენელი ნაწილის რეზულტანტის სახით მიმდევნო სურათში“. მე სრულებით არ მესმის ეს „ინტენციონალური რეზულტანტი“ და ვეჭვობ, რომ „კომუნისტის“ ათი ათასეულ მკითხველებშიც კაცს მაინც გაეგებოდეს ეს მორგვებიდან გამოვლინებული აბდა-უბდა.

უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ აქ რეცენზიის დამწერს იმის თქმა უნდოდა, რომ შინაარსი დაქუცმაცებულია და ერთი მოქმედება ისეა მოწყვეტილი მეორეს, რომ ერთი მთავარი აზრის გაგრძელებას ვერ იპოვით.

ენას, როგორც მოგეხსენებათ ძვალი არა აქვს, ქაღალდიც ისეთი რამაა, რომ იქ ყოველგვარი „ინტენციონალური დინამიკის“ მოხაზვა შეიძლება, თუ „რელიეფურათ გამოვლინებულ პერსონაჟს“, რომელსაც წერა ეხალისება, მარჯვეთ არ დახვდი. რა იქნებოდა, რომ ამის დამწერს:

1) ჯერ ერთი, ეს წერილი ადამიანისათვის გასაგები ენით დაეწერა,

2) მეორეც, ავტორს თავისი დებულება ამ თუთიყუშის სავარჯიშოთ გამოგონილი სიტყვებით კი არ ეშენებია, არამედ რაიმე საბუთით დაემტკიცებია.

ან და, რას ჰგავს თუნდა ასეთი ადგილი? „პიესის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს მეზღვაურების ყოფაცხოვრებრივ მხატვრობას“ ქვევით იქვე წამძღვრილია „საერთო ტლანქი დისპოზიცია“ და სხვა.

ყოფაცხოვრებრივი (??) დისპოზიცია ეს „შხეფის“ სენია—ყველგან მას გაუგებარი სიტყვების ტკაცა-ტკუცი, რას უზამ, კაცია და გუნება.

მაგრამ ეს „მეზღვაურების მხატვრობა“ რაღა უბედურებაა? აქ თუ მხატვრობაა მეზღვაურების მხატვრობა კი არ არის, არამედ არის მხატვრობა მეზღვაურების შესახებ.

რეცენზია დიდია, კვალდაკვალ მისი გაყოლა არ შეიძლება. იქაც ასეთივე ბრაგი-ბრუგია ისეთივე სიტყვების: „კონკრეტიზაცია“, „ინდივიდუაცია“, „კოლიზიები“, „უპრაგონო ფანტაზია“ და სხვადასხვა. ერთი სიტყვით, ამ რეცენზიის თვითეულ მუხლს ცალკ-ცალკე უნდა შემოუტრიალო ათასჯერ, რომ მიხვდე („მიხვდე“ ს ვამბობ და არა „გაიგო“-ს), თუ რას გვიბრძანებს „შხეფი“ თავის მართლაც უპრაგონო რეცენზიაში. პიესა მას არ მოსწონს—ეს ცხადია საბუთს ამისას ის არ იძლევა ანდა თუ იძლევა, [illegible] სიტყვების [illegible] ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ. მართლაც, წარმოადგენს, თუ არა რაიმე ღირებულებას ეს პიესა?

ღირებულების შეფასება ერთი სასწორით და ერთი საზომით არ შეიძლება, რა თქმა უნდა! საქმე იმაშია, ვინ რას ეძებს, ვის რა ესაჭიროება. ჩვენი მაყურებლებისათვის ეს პიესა შინაარსიანია და ამიტომ საჭიროცაა, სასარგებლოც. დამეთანხმებით, რომ როდესაც ჩვენ დავანახვებთ მაყურებელს ნამდვილს (თუნდა სინამდვილესთან დაახლოვებულს) სურათს იმისას, თუ როგორ შეატრიალა პირი ცეცხლის გადმოსაფრქვევათ მომზადებულმა იმპერიალისტების ბრძანებით მოსულმა გემებმა არხანგელსკიდან, ეს საჭიროცაა და სასარგებლოც.

ჩვენში ზოგიერთებს ძლიერ ემარჯვებათ ასეთი ლაპარაკი—„აგიტკაა“, მეტი არაფერიო“, იტყვიან ხოლმე, როცა ვინმეს რომელიმე პიესა არ მოეწონება.

თუ პიესაში მარტო ლოზუნგების ფურცლებიდან ამოკითხული სტრიქონების მეტი არაფერია—დაე იყოს ეს აგიტკა, თუმცა მასაც აქვს თავისი ალაგი და ამ ალაგის შესაფერისი სარგებლობაც შეუძლია მოიტანოს, მაგრამ, რატომ არის აგიტკა და ისიც სუსტი ისეთი პიესა, სადაც მწერალი იძლევა იმ გარემოების და პირობების განვითარების სურათს, რომელიც დათავდა არხანგელსკის გამანადგურებელი გემების უკან გაბრუნებით? რა ვუყოთ, რომ შხეფს მაინცა და მაინც „რელიეფურათ გამოვლინებული პერსონაჟი“ ენატრება. „შხეფმა“ შეიძლება არ იცოდეს, რომ რევოლიუციას ეს „რელიეფური პერსონაჟები“ კი არ ჰქმნიან, არამედ ისინი, ვისაც ცალკ-ცალკე რომ აიღოთ, ვერც ერთი ძველი დრამატურგის გმირის თვისებებს ვერ უნახავ; ისინი ძალას და თანაც მრისხანე ძალას წარმოადგენენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ერთეულები ათასებათ და ათი ათასებათ არიან თავშეყრილი. რევოლიუციაში არიან ცალკე გმირებიც, მაგრამ ამ ერთეულებს მასის ახარეკლი თვისებები აამოძრავებსა და აამოქმედებს.

ეხლა დადგმის და შესრულების შესახებ. ვინ იტყვის, რომ ეს პიესა უნაკლოთ არის დადგმული და შესრულებული? არის ნაკლი—თუნდა იმაშიაც, რომ ზოგიერთი ადგილები პიესაში თითქმის მიფუჩეჩებულია. მასიური სცენები ხშირად ისეა „დატენილი“ (ამ სიტყვას „შხეფი“-საგან ვსესხულობ), რომ მაყურებელს უჭირს იმის გაგება, თუ ვინ რას ამბობს და რისი თქმა უნდა. შეიძლება შეცდომათ ჩავთვალოთ ისიც, რომ რეჟისორმა, არ ვიცი რატომ, ამ პიესაში მხოლოდ ახალგაზრდა ძალები გამოიყენა. ამ შეცდომას გამოსწორება უნდა და ეს არც ისე ძნელია. ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს სახელმწიფო დრამამ თვალსაჩინოთ დაგვანახვა თავისი მუშაობა; ამ მუშაობაში უსათუოდ არის მიღწევები. ამის დანახვა ძნელი არაა. წელს დრამატიულმა თეატრმა გვაჩვენა ისეთი პიესა, როგორიცაა „ზაგმუკი“ და ეხლა „საჭე მარცხნივ“.

ამ მუშაობაში არის შემცდარი ნაბიჯებიც, სუსტი მხარეებიც, მაგრამ ასე გულზვიადათ ერთი ხელის მოქნევით ყველაფრის უარისყოფა არ შეიძლება. სათეატრო ხელოვნებაში, როგორც საერთო და საზოგადო ხელოვნებაში, ჩვენ დიდ დაწინაურებას ვერ დავაიტრაბახებთ. აქ თვითეული ნაბიჯი წინ ძნელი გადასადგმელია, მით უმეტეს საჭიროა თვითეული ასეთი ნაბიჯის ყურადღებით დაფასება და „უპრაგონო რეცენზიებისაგან“ თავის შეკავება.

პ. მ. საყვარელიძე.

---

*) ხაზი ყველგან ჩემია.

ყრილობები და თათბირები

საქართველოს პროფსაბჭოს მე-5-ე პლენუმი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, შრომის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა საქ. პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) პროფკავშირთა მეექვსე ყრილობის მოწვევის დრო, 2) მოხსენება ფიზკულტურაზე და 3) სატარიფო თათბირის შედეგები.

პირველი საკითხის შესახებ საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს ამხ. **ყურულაშვილი,** რის შემდეგაც პლენუმი ადგენს, რომ სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა მოწვეულ იქნეს მიმდინარე წლის 5 მაისისათვის.

პლენუმი იღებს ყრილობის შემდეგ დღის წესრიგს; 1) მოხსენება ს. ს. რ. კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე, 2) პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) შრომის კომისარიატის და სოციალური დაზღვევის სამმართველოს მოხსენებები, 4) საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები, 5) ცენტრ. კოოპერატიული კავშირის მოხსენება, 6) საორგანიზაციო, სატარიფო და კულტურული საკითხები და 7) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა ყრილობაზე შემდეგია: კავშირის ყოველი 500 წევრი ირჩევს 1 დელეგატს. იმ ადგილებში, სადაც 500 წევრზე ნაკლებია, მხოლოდ არა ნაკლებ 350 კაცისა, არჩეული უნდა იქნეს ერთი დელეგატი. იქ, სადაც კავშირის განყოფილებებს ჰყავთ 350 წევრზე ნაკლები, განყოფილებები ერთდებიან და ირჩევენ დელეგატს საერთო წესით.

პლენუმი საჭიროდ სცნობს, რომ ყრილობის ჩასატარებლად გადადებულ იქნეს მცირე ხარჯები, რისთვისაც დელეგატებს მიეცემათ მხოლოდ დღიური (4 მანეთი) და უფასო სამგზავრო ბილეთები. ბინებით დელეგატები დაკმაყოფილებული იქნებიან პროფსაბჭოს ხარჯზე.

პლენუმმა გადასწყვიტა, რომ ყრილობაზე წარმოდგენილი იქნენ არა მარტო პროფმუშაკნი, არამედ ადგილებზე მომუშავე ამხანაგები მუშებიდან და მოსამსახურეებიდან.

ფიზკულტურაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მხითაროვი. იგი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურას საქართველოში აქვს დიდი მიღწევები. ამჟამად არსებობს 108 ფიზკულტურის წრე, რომლებშიაც ჩაბმულია 5000-მდე პროფკავშირის წევრები ოჯახობით. აქედან ახალგაზრდობა შეადგენს 97 პროცენტს. სოციალური მდგომარეობის მიხედვით, მუშების რიცხვი თბილისში უდრის 53,6 პროცენტს, მოსამსახურეების—16 პროცენტს, მათი ოჯახის წევრების კი—31,4 პროცენტს. მაზრებში კი ასეთი სურათია: მუშები შეადგენენ 25 პროცენტს, მოსამსახურეები—27 პროცენტს, ოჯახის წევრები—48 პროცენტს.

თბილისში ფიზკულტურა გაცილებით უკეთესადაა დაყენებული, ვიდრე სხვა დანარჩენ ადგილებში. მაზრებს არ ჰყავთ კარგათ მომზადებული ინსტრუქტორები, არა აქვთ შესაფერისი სასპორტო დარბაზები, მოედნები და საჭირო ხელსაწყოები.

ფიზკულტურის მთავარი ბიურო ამჟამად ყურადღებას აქცევს იმას, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილი იქნეს სასპორტო დარბაზები და მოედნები; ყურადღება მიექცევა აგრეთვე ინსტრუქტორების გადამზადებას.

თბილისში, ვაკის რაიონში მოწყობილი იქნება საზაფხულო ვარჯიშობისათვის დიდი სტადიონი.

პლენუმმა ფიზკულტურის გასამხედროების მიზნით საჭიროდ სცნო მჭიდრო კავშირის დამყარება თავდაცვის დამხმარე საზოგადოების უჯრედებთან; ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი ყურადღება მიექცეს სასროლო საქმეს.

სატარიფო თათბირის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა სატარიფო განყოფილების გამგე ამხ. **მარიამიძე.**

მომხსენებელმა მოკლედ გააცნო პლენუმს თათბირის მუშაობა. მან აღნიშნა, რომ კამპანიამ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების შესახებ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიღო. თათბირმა გადასწყვიტა ხელფასის მხრივ ჩამორჩენილი ჯგუფები გათანასწორებული იქნენ სხვებთან.

პლენუმმა ამხ. მარიამიძის მოხსენება მიიღო ცნობათ, რის შემდეგაც შესწყდა საღამოს სხდომა.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის მე-6 ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ საღამოს მედსანშრომის მუშაკთა კავშირის კლუბში გაიხსნა სრულიად საქართველოს მედსანშრომის მუშაკთა კავშირის მე-6 ყრილობა. ყრილობას მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ალ. ჯიჯაძემ.** ყრილობაზე წაკითხულ იქნა აგრეთვე მისასალმებელი დეპეშები სომხეთიდან, აზერბეიჯანიდან, აჭარისტანიდან და სხ. რესპუბლიკების მედსანშრომის მუშაკთა კავშირებისაგან. ყრილობამ ერთხმად მიიღო ჩემბერლენის ნოტის გამო საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც მთელი ქვეყნის მუშათა კლასს მოუწოდებს გამოვიდეს პროტესტით ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ საბჭოთა მთავრობისათვის გაგზავნილი და უსაბუთებელი ნოტის გამო.

ყრილობაზე არჩეულ იქნა საქმიანი პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ამხ. **გ. კუჭაიძე, ა. ჯიჯაძე, ი. მამულია, ო. ფოცხიშვილი** და სხ. საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს ამხ. **სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, ტომსკი და ყურულაშვილი.**

ყრილობის მერ მიღებულ დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ცენტრალური გამგეობის და კავშირის ცეკას საანგარიშო მოხსენებები, მოხსენება ჯანსახკომის მუშაობის შესახებ და სხ.

დასასრულ ყრილობის დელეგატებისათვის კლუბის დარბაზში გაიმართა კონცერტი.

ქიმიკოსთა კავშირის ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ქიმიკოსთა კავშირის ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში სდგას: ქიმიკოსთა ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, საქ. ქიმიკოსთა ცენტ. გამგეობის და მისი სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებები, მოხსენება ს. მ. უ. ს. ქიმიურ მრეწველობის მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ და სხ.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა გადავიდა მოხსენებების მოსმენაზე.

ამხ. სმოლიანსკის მოხსენება

ქიმიკოსთა ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოდის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. სმოლიანსკი. თავის მოხსენებაში ორატორი აღნიშნავს, რომ ქიმიურ მრეწველობაში დაბანდებული მუშახელის რიცხვი ყოველწლობით იზრდება; წელს მუშების რიცხვი უკვე უდრის 247.000 კაცს. უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით განზრახულია წარმოების გაფართოება 40 პროცენტით.

გარდა ამისა, ცენტრალური კომიტეტი, მომხსენებლის ცნობით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მრეწველობაში დაბანდებულ მუშებისათვის საცხოვრებელ ბინების აგებას. ამ მიზნით გასულ წელს უკვე დაიხარჯა 12 მილიონი მანეთი. მიმდინარე წლისათვის გადაწყვეტილია დაიხარჯოს გაცილებით მეტი თანხა.

მთელი კავშირის ტერიტორიაზე ქიმიკოსთა ცენტრალურ კომიტეტში შედის მილიონ ნახევრის საწევრო გადასახადი. ამ თანხიდან წარსულ წლის განმავლობაში 60 პროცენტი მიდიოდა ადმინისტრატიულ და საორგანიზაციო ხარჯებზე.

მიმდინარე წელს კი, ამ ხარჯების შემცირება განზრახულია მოხდეს 40 პროცენტამდე. ასეთი მომჭირნეობით მიღებული თანხა მოხმარდება კავშირის წევრთა შორის კულტმუშაობის გაძლიერებას და უმუშევრობისათვის დახმარების აღმოჩენას.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც იგი პასუხს გასცემს შემდეგ სხდომაზე. სხდომის დასრულების შემდეგ დელეგატებისათვის გაიმართა წარმოდგენა.

თბ. მაზრის განათლების მუშაკთა კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა განათლების მუშაკთა კავშირის მანგლისის რაიადგილკომის წარმომადგენელი ამხ. ერბალიძე. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა რაიადგილკომის მიერ ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნა მიღწეული შედეგები სკოლის გარეშე მუშაობის დარგში. ორატორი ამბობს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რაიადგილკომის ინიციატივით ჩატარებული იყო სხვადასხვა ხასიათის საგანმანათლებლო საღამოები, როგორც მაგალითად მუშათა გლ. ახალგაზრდობას შორის, წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლა და სხ.

საერთოდ, მოხსენებიდან ირკვევა, რომ მანგლისის რაიადგილკომის საქმიანობა ყოფილა საკმაოდ პროდუქტიული, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა.

ამხ. ერბალიძის მოხსენებით ამოწურულ იქნა კონფერენციის დღის წესრიგი.

დასასრულ კონფერენცია შეუდგა დელეგატების არჩევას სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ყრილობაზე გასაგზავნად დელეგატებათ არჩეულ იქნენ ამხ. ასლამაზოვი, გოფმანი, ჯორჯიკია, გაბიშვილი, აკირტავა, ძებისაშვილი და სიგუა.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პლენუმი

ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოს პლენუმის მესამე სესია, რომელიც 17 თებერვლისათვის იყო დანიშნული და რომელიც აზერბეიჯანის და საქართველოს პროფსაბჭოების თხოვნით გადაიდო, 7 მარტს შესდგება.

პლენუმის დღის წესრიგშია: 1) ამიერ - კავკასიის შრომის სახალხო კომისარის მოხსენება უმუშევრობისა და მასთან ბრძოლის ზომების შესახებ; 2) ამ.-კავკ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის მოხსენება მუშათა კოოპერაციის მდგომარეობისა და ფასების შემცირების შესახებ; 3) ამ.-კავკ. რესპუბლიკის სოცდაზღვევის ორგანოების ბიუჯეტი 1926—27 წლისათვის; 4) ამ.-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს წლიური საფინანსო ანგარიში; 5) ამ.-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის გეგმა 1927 წლის იანვარ - ივნისისათვის.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის შედეგების საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება, ვინაიდან ადგილებიდან დღემდე არ მოსულა სრული ცნობები.

პლენუმის გახსნის წინ შესდგება ამ.-კავკ. კულტთათბირი, რომელზედაც განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: საკლუბო მუშაობა, კულტმუშაობა დაბალი საფეხურის ორგანიზაციებში (კულტკომისიები, წითელი კუთხეები და სხვ.), პროფგანათლება და კულტმუშაობა სეზონურ და სასოფლო - სამეურნეო მუშათა შორის.

ამიერ-კავკასიის სატარიფო თათბირი

3 მარტს შესდგება ამიერ - კავკასიის სატარიფო თათბირი. თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) ამ.-კავკ. რესპუბლიკაში შემავალ პროფსაბჭოების ცნობა ბიუჯეტის შესახებ საკავშირო ორგანიზაციების მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენაში, ხელფასის და შტატების მდგომარეობა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში); 2) ამიერ - კავკ. ფინანსთა სახ. კომისარის მოხსენება 1926—27 წ. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტების შესახებ; 3) ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება შტატების მდგომარეობისა და საშტატო მუშაობის პერსპექტივების შესახებ; 4) საშტატო მუშაობის ჩატარება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში.

გარდა ამისა, მოსმენილ იქნება აზერბეიჯანის საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მოხსენება.

განათლების მუშაკთა მე-6 ყრილობა

დღეს, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად მოწვეული არიან მაზრების და ავტონომიურ ერთეულების წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება, განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება, საანგარიშო მოხსენება განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობის საქმიანობის შესახებ და სხვ. დასასრულ ყრილობაზე არჩეული იქნებიან დელეგატები განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო მეექვსე ყრილობაზე გასაგზავნად.

ახალი სახელმწიფო სესხი

ხელშემწყობ კომისიაში

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ა.-კ. ფინსახკომთან დაარსდა 1927 წ. 10 პროცენტიანი მომგებიან სახელმწიფო სესხის ფართო მშრომელ მასებში გასაღების ხელისშემწყობი კომისია.

კომისიაში შედიან: ამხ. **ჰუსეინოვი** (თავმჯდომარე), **გენკინი** (თავმჯდ. მოადგილე), **ანანოვი, საფარიანი** (მდივანი), **მგალობლიშვილი** (საქ. ფინსახკომიდან), **ფესიუკი** (სახელმწიფო ბანკიდან), **შეფტელი** და **ყურულაშვილი** (პროფორგანიზაციებიდან), **ლისიცკი** და **ახრიბეკოვი** (პარტორგანიზაციებიდან) და **ბუკრეევი** (კოოპერაციიდან).

გუშინ შესდგა კომისიის სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. **ჰუსეინოვმა,** სახელმწიფო კრედიტის უახლოეს პერსპექტივების და ამოცანების შესახებ და 1927 წლის ახალი სახელმწიფო სესხის პოპულიარიზაციის მეთოდების შესახებ.

კომისიამ გამოიტანა დადგენილება — ეთხოვოს ყველა უმაღლეს ორგანოებს, ხელი შეუწყონ ახალი სესხის პოპულიარიზაციას და გავრცელებას, თავიანთ ხაზით ცირკულიარების გამოცემით და სხვა.

წინადადება საკრედიტო დაწესებულებებს

საკრედიტო დაწესებულებებს წინადადება მიეცათ, მუშაობა სესხის რეალიზაციისათვის აწარმოონ სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელობით.

რკინის გზებზე

დასავლეთის უბანი

ა.-კ. რკ. გზების დასავლეთ უბნიდან დაბრუნდა მატარებლების მოძრაობის საშიშროებასთან მებრძოლი კომისია.

კომისიის დასკვნიდან სჩანს, რომ გასულ წელთან შედარებით უბნის მდგომარეობა წელს გაცილებით უკეთესია.

მგზავრობის დროს კომისიამ სადგურებზე ჩაატარა საუბრები.

ახალი აგენტები

ა.-კ. რკ. გზ. პირველი განყოფილების მიერ ქუთაისში მოწყობილი იყო სადგურის უფროსების თანაშემწეთა მოსამზადებელი კურსები. კურსები დაამთავრა 41 კაცმა.

დაჯახება

გუშინ სადგ. ნავთლუღში მატ. № 317 გაშვების დროს უკანასკნელს გვერდში დაეჯახა მიმორონების დროს წასული რონოდები

დაჯახების გამო ლიანდაგიდან გადავარდა 12 ცარიელი რონოდა, ზოგიერთი მათგანი დაზიანდა.

თბილისიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი. მოძრაობა არ შეფერხებულა.

დაჯახება

26 თებერვალს სადგ. ლიხში ორთქლმავალი № 9629, მეორე ხაზზე შესვლის დროს დაეჯახა სახალხო მატ. № 5-ს.

დაჯახების გამო ორთქლმავალს დაუზიანდა საბუფერო საიმები, ხოლო მატ. № 5-ს რონოდა—რესტორანი.

თბილისის საბჭოს პლენუმში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში შესდგა თბილისის ახალ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი პლენუმი.

დღის წესრიგში დასმული იყო: თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის, პრეზიდიუმის, განყოფილებების და ზაჰესის კომიტეტის საკითხები.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ლადო სუხიშვილი,** მის მოადგილედ—ამხ. **ივანოვ-კავკასკი.**

აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **სუხიშვილი, ივანოვ-კავკასკი, ბოლქვაძე, თხილავა, მამულია, [illegible], მესხი, ერთაპეტოვი, დემეტრაშვილი, [illegible], ასრიევი, კიკნაძე, პეპინაძე, მარაიძე, ხვანიძე, [illegible], [illegible], აკოპოვი, [illegible], ანთაძე, ქაიხოსროშვილი, მამულაშვილი.**

კანდიდატებად: ამხ. **ახრიბეკოვი, კალანდაძე, ჯაფარიძე, ელიაშვილი, სალუქვაძე, ადიკაშვილი, ხმალაძე.**

თბილისის აღმასკომის განყოფილების გამგეები

კომუნალურ განყოფილების გამგეთ არჩეულია ამხ. **ივანოვ-კავკასკი,** მის მოადგილეებად—**ასრიევი** და **სიხარულიძე,** აღმასკომის მდივნად—ამხ. **თხილავა,** საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ—**ერთაპეტოვი,** საფინანსო—**მესხი,** ჯანმრთელობის—**მამულია,** განათლების—**ქაცარავა,** ადმინისტრატიული — **ხმალაძე,** სტატისტიკური—**გომართელი,** საადგილმამულო — **ადიკაშვილი,** ადგილობრივი მრეწველობის—**ნ. კიკნაძე,** საუწყებო კონტროლის—**ჯაფარიძე,** უძრავ ქონებათა სამმართველოს—**კალანდაძე.**

ზაჰესკომში

ზაჰესის სამშენებლო კომიტეტის წევრებად აირჩიეს ამხ. **შალვა ელიავა** (თავმჯდომარედ), **ლ. სუხიშვილი** (მოადგილედ); წევრებად: ამხ. **ივანოვ-კავკასკი, ახრიბეკოვი, პეპინაძე, ჯულელი, მესხი, ფანცხავა** და ერთი წარმომადგენელი მშენებელთა პროფესიონალურ კავშირიდან.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

რა დაადგინეს მთავარ სახელოსნოების მუშა - ქალებმა

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, ყველა ქალები არსებული კანონის თანახმად მუშაობას სწყვეტენ ორი საათით ადრე. ამიერ - კავკასიის რკინისგზათა მთავარ სახელოსნოების მუშა - ქალთა საერთო კრებამ 28 თებერვალს დაადგინა 8 მარტს ორი საათით ადრე არ შესწყვიტონ მუშაობა და ამ ორი საათის ნამუშევარი მოახმარონ საბავშვო ბაგების მოწყობას ლენინის რაიონში.

მთავარ - სახელოსნოებში მძიმე მუშაობის მიუხედავათ, მუშა - ქალები უარს ამბობენ დასვენებაზე, როცა საქმე შეეხება ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ობლების დახმარებას. დეე, მუშა-ქალთა წვლილი იქნეს მაგალითი იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ეჭვი შესდის მუშა - ქალთა აქტივობაში და ერთგულებაში საბჭოთა - საზოგადოებრივ საქმისადმი.

მთავარ სახელოსნოების მუშა - ქალთა დადგენილება — საუკეთესო საჩუქარია ქალთა საერთაშორისო დღისათვის!

ნ. ვ.

მზადება ქალთა საერთაშორისო დღის ჩასატარებლად

საქართველოს რეშდასის ცეკამ ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნა რეშდასის სამაზრო კომიტეტებს ფართო მონაწილეობა მიიღონ ქალთა საერთაშორისო დღის ჩატარებაში. რეშდასის უჯრედებს ევალებათ უხელმძღვანელონ ამ დღეს ადგილობრივ მუშა - ქალების და გლეხ - ქალების გამოსვლებს, მოაწყონ ლექცია - საუბრები, საერთაშორისო ქალთა მოძრაობის საკითხების შესახებ და იმპერიალისტურ ქვეყნებში გამეფებული თეთრი ტერორის შესახებ გააკეთონ ფართო საინფორმაციო მოხსენებები.

რეშდასის ადგილობრივ ორგანიზაციებს ამასთანავე დავალებული აქვთ წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა სამზადისი ჩაატარეს მათ ადგილებზე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიღებული უნდა იქნან ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. ეს ღონისძიებები შემუშავებულია არა სპეციალური კომისიის, —როგორც შეცდომით გვქონდა აღნიშნული,— არამედ ცაკის პრეზიდიუმის მიერ.

ა.-კ. მ.-გ. ინსპექციაში

თანხების მიზანშეუწონლად ხარჯვის შემოწმება

1926 წ. ოქტომბერში ა. კ. მუშ. და გლ. ინსპექციამ გამოიკვლია სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები. სხვათა შორის საზ-ბა „ზაკუტილსირიო“-სა და „ხლებოპროდუქტის“ თბილისის განყოფილებაში გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ისინი არ იცავდენ ავანსების გაცემის, სამივლინებო ხარჯების გასტუმრების ნორმას და არ ღებულობდენ ზომებს თანამშრომელთა დავალიანების დასაფარავად, რაზედაც მათ მიეცათ სათანადო გაფრთხილება.

ამჟამად ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ „ზაკუტილსირიოს“ და „ხლებოპროდუქტის“ თბილისის განყოფილებას ნაწილობრივ არ შეუსრულებიათ ა. კ. მ. და გლეხთა ინსპექციის წინადადება, რისთვისაც უკანასკნელმა განმეორებით გააფრთხილა ისინი.

სუბტროპიკული

კულტურის სკოლა.

განათლების სახალხო კომისარიატმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა და მიიღო სუბტროპიკული კულტურების სკოლის პროექტი, სკოლის მიზანია სუბტროპიკული კულტურების უმთავრესად ჩაის საქმის სპეციალისტების მომზადება.

სკოლა გახსნილი იქნება გურიის ცენტრში, ზედუბანის მამულში.

ეკონომიურ საბჭოში

ჩაის საქმის განვითარება

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ.

საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ საზ. „საქართველოს ჩაი“ 1927 წელში დამოუკიდებლად გამოვიდეს საკავშირო ბაზარზე საკუთარი ჩაით, რის გამოც უნდა აღიძრას სათანადო შუამდგომლობა—„საქართველოს ჩაი“-სათვის 1.000.000 გირ. საზღვარ-გარეთელი ჩაის (საკუთარ ჩაის საკუპაჟოდ) მიცემის შესახებ.

რადგანაც ჩაქვსა და ჩაის კულტურის სხვა რაიონებში დამზადებული ჩაის შენახვისათვის შესაფერი კლიმატიური პირობები არ არის, დაევალა „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობას მოაწყოს საბაზისო საწყობი და აგრეთვე ჩაის საწონი ქ. თბილისში, დამზადებული ჩაის მოსათავსებლად.

ცემენტის ქარხნის სამშენებლო ადგილის არჩევა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სმუს პრეზიდიუმის 1927 წ. 26-ის დადგენილება—ცემენტის ქარხნის კავთისხევში მოწყობის შესახებ.

ქურდობა თუ გაფლანგვა!

უკანასკნელ ხანებში თბილისის სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციას სხვადასხვა მოლარეებისა და თანამდებობის პირთაგან მოსდის აუარებელი განცხადებები იმის შესახებ, რომ მათ ვიღაც ბოროტმოქმედნი სახაზინო ფულს ჰპარავენ პორტფელებიდან ან ჯიბიდან, როცა მათ ეს ფული გამოაქვთ ან შეაქვთ ბანკში, ფოსტაში და სხვ.

სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ „დაზარალებულის“ პორტფელი ან ჯიბე, საიდანაც არაჩვეულებრივად ჰქრებიან ფულები, სავსებით ხელუხლებელია. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ბოროტმოქმედის პოვნა, მაგრამ „დაზარალებული“ სრულიადაც არ დარდობს, ვინაიდან ფაქტიურად, პერსონალურად იგი არაფერს არ ჰკარგავს, რადგან სახაზინო ფულები იკარგება და მას კი მომხდარი შემთხვევის შესახებ განცხადების შეტანით თავიდან მოხსნილი აქვს ყოველგვარი პასუხისმგებლობა კანონის წინაშე. პირველი შეხედვით ეს იქნება ჩვეულებრივი მოვლენა, მაგრამ ზოგიერთი დეტალები, რომელნიც თან სდევენ ამგვარ შემთხვევებს, საბუთს გვაძლევენ არ დაუჯეროთ „დაზარალებულთ“.

ჩვეულებრივ, როცა ჯიბიდან ან პორტფელიდან იპარავენ ფულს, ბოროტმოქმედმა ფულის ამოღებისათვის აუცილებლათ უნდა ამოსჭრას ჯიბე ან პორტფელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქურდობა წარმოუდგენელია, ვინაიდან ფული თვითონ არ ამოხტება; ფულის ამოღება კი ისე, რომ პორტფელი არ გახსნას ან ამოსჭრას, რასაკვირველია, შეუძლებელია. მაგრამ, თუ რომელიმე პროფესიონალი ბოროტმოქმედი განიზრახავს ასეთი პრაქტიკულად მიზანშეუწონელი ნაბიჯის გადადგმას, იგი გახდება მსხვერპლი დაზარალებულის, რომელიც მას იქვე, ბოროტმოქმედების ადგილას, დაიჭერს. სხვა საქმეა, თუ დაზარალებულმა განაცხადა, რომ მას ფული პორტფელთან ერთად მოსტაცეს, ბოროტმოქმედმა კი მოწმეთა თვალწინ შესძლო დამალვა. ასეთი შემთხვევა დასაჯერებელი იქნება, თუ ეს დამტკიცდა მოწმეთა ჩვენებით ადგილობრივ. ზემოთნათქვამის საილუსტრაციოდ მომყავს რამოდენიმე ასეთი „მოპარვის“ და „ქურდობის“ მაგალითი.

1) ტყავტრესტის მოლარემ სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ მას, სამრეწველო ბანკის ფანჯარასთან, როცა იგი იღებდა ფულს, პორტფელიდან მოჰპარეს 1000 მანეთი.

2) 1000 მანეთი მოჰპარეს ჩაის სამმართველოს მოლარეს.

3) სახელმწიფო ბანკის სააქციო საზოგადოების მოლარეს მოჰპარეს 1000 მანეთი.

4) „სამშენის“ ექსპედიტორს მოჰპარეს 105 მანეთი.

5) საშუამავლო ბიუროს აგენტს ბანკში მოპარეს 1961 მანეთი.

6) სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოლარეს ბანკში მოჰპარეს 1000 მანეთი და სხვ.

როგორც სჩანს, ყველა მოპარული თანხების რაოდენობა დიდია. ამ შემთხვევებს მეტად მოკლე ხნის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. აი, როგორ იკარგება საზოგადო ფულები.

საოცარია, რომ ასეთ თანხების ამოღებას მოლარის ჯიბიდან ან პორტფელიდან ახერხებენ, მოლარე ამას ვერ ამჩნევს და იგი მხოლოდ მაშინ დაფაცურდება, როცა ქურდი სახაზინო ფულებით უგზო-უკვლოდ ჰქრება; მით უფრო საოცარია ასეთი მოვლენები, რომ დაზარალებულს მარტო ფული კი არ აქვს პორტფელში, არამედ აუარებელი სხვადასხვა საქმიანი ქაღალდები. თამასუქები და სხვ., ქურდი კი რომელიღაც სასწაულით ახერხებს (მას ხომ არ აქვს საშუალება დაუკვირდეს და ფული გაარჩიოს ქაღალდისაგან) ფულის ამოცლას და მისთვის უსარგებლო ქაღალდებს კი ხელს არ ახლებს. სისხლის სამართლის მილიციაში რატომღაც არასოდეს არ ჰქონია ადგილი ამგვარ დაზარალებულთა მხრივ ისეთ განცხადებას, რომ მას ბოროტმოქმედებმა პორტფელიდან ამოაცალეს ქაღალდები და ფული კი დაუტოვეს.

ჩემი მრავალი წლის მუშაობის განმავლობაში და მით უფრო უკანასკნელ ხანებში არ მახსოვს არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომ კერძო პირს, ვაჭარს ქურდებმა მოსტაცეს ფული ისეთ პირობებში, როგორც ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ სახაზინო ფულის დაკარგვის დროს, და ეს მაშინ, როცა ბანკები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სავსეა კერძო ვაჭრებით, რომელნიც ფულად ოპერაციებს აწარმოებენ. მაგრამ, თუ ამგვარ შემთხვევას კერძო ვაჭრებს შორის ექნება ადგილი, დაკარგული თანხის რაოდენობა იმდენად მცირე იქნება, რომ გამოძიებათაც კი არა ღირს.

ხშირია ასეთი შემთხვევებიც: რომელიმე დაწესებულების მოლარე სრულიად უსაბუთოდ აცხადებს, რომ მას სადღაც გზაში წაართვეს ფული, მაგრამ გამოძიების შემდეგ ირკვევა, რომ ფულის წართმევის ფაქტს არ ჰქონია ადგილი.

განა ეს უტიფარი სიმულიაცია არ არის? შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამგვარი „მოპარვა“ ღვიძლი შვილია იმ გაფლანგვების ეპიდემიის, რომელიც რამოდენიმე ხნის წინედ მოედო ჩვენს სამეურნეო ორგანოებს.

გაფლანგვამ, რომელსაც სასტიკად სჯის სასამართლოს ორგანოები, ახალი ფორმა მიიღო და ამ უკანასკნელ ბოროტებასაც, როგორც გაფლანგვას, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ რადიკალური ზომების მიღებით სიმულიანტების წინააღმდეგ; ამასთანავე ამგვარი სიმულიანტები უნდა იქნან განხილული, როგორც ნამდვილი გამფლანგველები.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციას ხელს უშლის ამ ბოროტების აღმოფხვრაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებანი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციას მის ბრძოლაში გაფლანგვის ამ უკანასკნელი ფორმის წინააღმდეგ. როცა სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია ამა თუ იმ თანამდებობის პირს სდებს ბრალს სახაზინო ფულის დაკარგვის სიმულიაციაში, დაწესებულებანი ხელმძღვანელობენ „საუწყებო“ ინტერესთა დაცვის პრინციპით და სრულიად დაუსაბუთებლად ამართლებენ თავიანთ თანამშრომელს, სცდილობენ დაამტკიცონ მისი უდანაშაულობა.

ცხადია, რომ სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციისათვის ასეთი დასაბუთება არ იქნება გამამართლებელი. იგი იმოქმედებს კანონიერების ფარგლებში და არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს რომელიმე დაწესებულების კონფიდენციალურ დამოკიდებულებას, მაგრამ ასეთი უადგილო ჩარევა დადებით როლს ითამაშებს ამგვარი სიმულიაციების ზრდის საქმეში.

სიმულიანტი ნაკლებად გაბედავს ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენას, თუ მან იცის, რომ მას სრულიად არ დაიცავს მისი დაწესებულება.

სახელმწიფო დაწესებულებებმა, სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციასთან ერთად, დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოონ როგორც ნამდვილ გაფლანგვასთან, ისე სიმულიაციასთან—სახაზინო ფულის მოპარვასთან.

უკეთეს შემთხვევაში: თუ ფულის გატაცებას მართლა ჰქონდა ადგილი, მაგრამ გამოძიებამ ვერ გამოარკვია ბოროტმოქმედის პიროვნება, ან ვერ დაამტკიცა მოლარის სიმულიაცია, ჩემის აზრით, მოლარე მაინც უნდა იქნას მიცემული პასუხისგებაში სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის. სწორედ ამ გულგრილობის გამო იკარგება ხალხის ფული ათასობით; რომ თანამშრომელი ყურადღებით მოეპყრას თავის მოვალეობას, როგორ შეუძლიათ ქურდებს შეუმჩნევლად ამოართვან ფული პორტფელიდან, რომელიც ხელში უნდა ეჭიროს მოლარეს: ალბად მან ეს პორტფელი სადმე დაუდო მაგიდაზე ან ფანჯარასთან, თვითონ კი გაერთო რაიმე საქმით, რომელსაც სრულიად არა აქვს კავშირი მის სამსახურთან.

ეს ღონისძიებაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სახაზინო ფულის მოპარვის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებისათვის და იგი აუცილებლად უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ იუსტიციის ორგანოებმა.

თბ. სისხლის სამართლის მილიციის უფროსი გ. თოფურია.

ქრონიკა

მისალმება საქკომსაბჭოს

ქართველების საბჭოთა კოლონია პარიზში ზედნიერად სთვლის თავის თავს მიულოცოს საქართველოს მშრომელთ—სახალხო კომისართა საბჭოს სახით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ექვსი წლის თავი. მით უფრო შესანიშნავია ეს დღე, რომ იმ დროს, როცა საქართველოს მშრომელი ხალხი დღესასწაულობს თავისი გამარჯვების მეექვსე წელს,—აქ, გარეწრის გზაზე შემდგარი ემიგრაცია, რომელიც იქამდე მივიდა, რომ სჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს და ამზადებს ყალბ ფულებს,—კვლავ სჭედს მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ ახალ იარაღს, რომელიც, უეჭველია დაიმსხვრევა მშრომელი საქართველოს მთლიან ნებისყოფის სიმტკიცეზე.

კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, ცენტრალურ კომუნალურ ბანკის მიერ მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გადადებული კრედიტები განაწილებული იქნება შემდეგნაირად:

აზერბეიჯანს მიეცემა 47 პროც., საქართველოს—30 პროც. და სომხეთს—23 პროც.

ყრილობის მოწვევა

სრულიად საქართველოს ფოსტის მუშაკთა მე-4-ე ყრილობის მოწვევა დანიშნულია ა.-წ. 15 მარტს.

თბილისის აღმასკომში

◆ თბილისის ბაზრის საჭიროებისათვის სააქციო საზოგადოება „მიასოტორგმა“ სპარსეთში შეიძინა 2.000 სული საქონელი.

◆ **სამრეწველო დაწესებულებებს** თბ. კომუნალური ბანკი მიმდინარე წლის მეორე მეოთხედში აძლევს სესხად 1.157.000 მანეთს, კოოპერაციას—2.133.000 მანეთს.

განათლების კომისარიატში

◆ **ტეხნიკუმის დახურვა.** განათლების კომისარიატმა საჭიროთ სცნო ლიუქსემბურგში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის დახურვა. ტეხნიკუმის უკანასკნელ კურსის მსმენელებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებლებში შევიდენ საერთო წესით.

◆ **სკოლების დამხმარე საბჭოები.** განათლების კომისარიატმა დაამტკიცა სკოლების დამხმარე საბჭოების მოქმედების წესდება.

ჯანსახკომში

◆ **კონსულტაციები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა ყველა მაზრაში მოაწყოს დედათა და ბავშვთა კონსულტაციები.

◆ **სავადმყოფოები.** მთელ რესპუბლიკაში ამჟამად ითვლება 76 სავადმყოფო 3.905 საწოლით.

◆ **ახალი კათედრა.** ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობით სახ. უნივერსიტეტში დაარსდა სოციალურ ჰიგიენის კათედრა.

◆ **„პროფილაქტიკის დღე“.** ჯანსახკომმა დაადგინა რესპუბლიკის ყველა კუთხეში სისტემატიურად მოაწყოს „პროფილაქტიკის დღე“.

მიწ. მოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **თესლი.** სახალხო მამულების ტრესტმა დაამზადა 20.000 ფუთი სხვადასხვა თესლეულობა მეურნე გლეხებს შორის გასანაწილებლად.

◆ **საძოვრების** ექსპლოატაციისაგან გასულ წელს კომისარიატს შემოუვიდა 335.500 მანეთი.

◆ **მავნებლებთან ბრძოლა.** მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველად კომისარიატმა საზღვარ-გარეთ შეიძინა სპეციალური ხელსაწყოები.

სამეურნეო ცხოვრება

◆ **საკრედიტო ამხანაგობათა** რიცხვი საქართველოში ამჟამად აღწევს 123; ამხანაგობებში გაერთიანებულია 58.134 წევრი.

◆ **მელიორაციის საქმეზე** წელს სახელმწიფო დახარჯავს 2.530.000 მანეთს.

◆ **ტრაქტორები.** ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით ამჟამად საქართველოში მუშაობს 147 ტრაქტორი.

სოცუზრუნველყოფა

◆ **ინვალიდები.** ამჟამად მთელ რესპუბლიკაში სოცუზრუნველყოფის კომისარიატს აღრიცხვაზე აყვანილი ყავს 7000 ომის და შრომის ინვალიდი.

◆ **საქალაქო ურთიერთი დამხმარე საზ-ბები.** სოცუზრუნველყოფის კომისარიატი უკვე შეუდგა ქალაქებში ღარიბ მოქალაქეთა ურთიერთ დამხმარე საქალაქო საზ-ბების მოწყობას.

სახელგამის ახალი გამოცემანი

დაიბეჭდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში შემდეგი წიგნები: **„საქართველოს გასაბჭოების ექვსი წლის თავი“.** (წერილების კრებულია) **შ. ელიავა** „მოგონებანი საქართველოს გასაბჭოების შესახებ“, **მიხ. კახიანი** „მუშაობის ერთი წელი“ (მოხსენება თბილისის მეშვიდე პარტ-კონფერენციაზე), **ლ. ქიაჩელი** „ტარიელ გოლუა“ (რომანი), **ი. ფანცხავა** „სამეცნიერო წერილები“, **ედ. ერტლი** „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი“ (თარგმანი ივ. გომელაურის), მოწაფის ბიბლიოთეკის სერიიდან, **დე-ამიჩი** „აპენინიდან ანდამდე“ თარგმნილი სოც-აღზრდის მთავარ-მმართველობის სალიტერატურო სექციის რედაქციით, **თ. შავერზაშვილი** „საბავშვო სიმღერების კრებული“, სამუსიკო კოლეგიის მიერ დაშვებული როგორც სახელმძღვანელო სკოლებში სახმარებლად. **ი. ლისაშვილი** ლექსები.

—

ჩამოსული დეპეშები. მოსკოვიდან—აღმასკომს, ბათომიდან—ჯაფარიძეს, ბუკისციხიდან—მახარაძეს, სოხუმიდან—ხარებავას, ოზურგეთიდან—ოლინკა მუჯირს, ქუთაისიდან—ვალიკო ჩარაძეს, ქუთაისიდან—კახაძეს, ხუხიდან—კოჩოროვისას, ძეგამიდან—მორევაშვილს, ოზურგეთიდან—ჩიკოვანს, მოსკოვიდან—ლოვაძეს.

ხელოვნება

თანამედროვე თეატრი

ამხ. შ. დუდუჩავამ 28 თებერვალს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში წაიკითხა მოხსენება თანამედროვე თეატრის შესახებ. მოხსენება შეიცავდა შემდეგ ძირითად დებულებებს:

თანამედროვე თეატრალური სინამდვილის დამახასიათებელი მოვლენა არის ახალი მაყურებელი. ის მოდის მუშათა და გლეხთა მასებიდან; ახალი მაყურებელი წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოებრიობის უძლიერეს ფაქტორს, თეატრი უნდა დაეყრდნოს მას: მან თავისი მხატვრული შემოქმედება, ე. ი. სცენიური გამოსახულების ყველა საშუალებანი და რეპერტუარის დამუშავება—უნდა გაშალოს ამ მაყურებლის მსოფლ-მხედველობის და განცდების შესწავლის ნიადაგზე. ეს გარემოება სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ სცენა უნდა მოხვდეს მაყურებლის გემოვნების ტყვეობაში: მათ შორის უნდა დამყარდეს შემოქმედებითი ურთიერთობა: სცენა ზრდის მაყურებელს, ამ უკანასკნელის ფსიქიკის შესწავლით.

საბჭოთა თეატრალურ სინამდვილეში მაყურებლის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზეა დაფუძნებული: მოსკოვის ბევრ თეატრებში შემოღებულია შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რომელიც სწორედ მაყურებლის შესწავლას ემსახურება.

თეატრის პრობლემა არ განისაზღვრება მხოლოდ რეპერტუარის პრობლემით. შესაძლოა ერთი და იგივე რეპერტუარმა შექმნას მრავალი პრინციპიალურად მოწინააღმდეგე თეატრები. ამის ცოცხალი მაგალითები მოსკოვში მრავლად მოიპოვება. დავასახელებ მხოლოდ ორს: ოსტროვსკის «На всякого мудреца довольно простоты» და გოგოლის „რევიზორს“. 1-ლს სდგამს მოსკოვის სამხატვრო თეატრი ნატურალისტურ ტონებში; როგორც სხვა დადგმებში, ის ეძებს აქ აქტიორის სულიერ სიმართლეს, სცდილობს სინამდვილის ფოტოგრაფიულ ასახვას, ერთგულია ტექსტის და მით დამცველია ავტორის „ღვთაებრივი“ უფლების. სულ სხვა სურათი იშლება, როცა იგივე პიესა იდგმება პროლეტკულტში: აქ ოსტროვსკი გამოყენებულია როგორც სცენარი, რომელიც გადაკეთდება თანამედროვე ფარსათ, სადაც მისი გმირები გამოდიან მილიუკოვის, რასპუტინის და სხ. სახით. ამ დადგმაში ხაზგასმულია სატირის და დაცინვის ელემენტები.

თანამედროვე თეატრის ნოვატორები არიან მეიერხოლდი და თაიროვი. როგორც ერთმა, ისე მეორემ უარყვეს ესთეტიური და ნატურალური თეატრების პრინციპები და თავის თეატრალური მიმდინარეობას საფუძვლად დაუდვეს ე. წ. ვრცეული (пространственный) კონსტრუქტივიზმი. აქ მთავარია არადახატული დეკორაციები, არამედ აშენებული დეკორაციები.

მომხსენებლის დასკვნით, თაიროვის და მეიერხოლდის თეატრებს აქვთ ფორმალური მიღწევები, რომელიც გამომჟღავნდა ვრცეულ კონსტრუქტივიზმში. მაგრამ მიუღწეველი რჩება აქტიორის შემოქმედების სრული გაშლა. აქედან მორიგი ამოცანა არის აქტიორის შემოქმედებითი „მე“ გაშლა ვრცეული კონსტრუქტივიზმის პირობებში, რასაც, სტანისლავსკის გამოთქმით, ეწოდება განცდა სცენაზე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რა დრამატურგიის საკითხს. ამბობს, რომ დღეს დრამატურგიაში თვალსაჩინოა ორი მიდრეკილება: პირველი ბულგაკოვშჩინა („ტურბინის დღეები“, „ზოიას ბინა“ ფოიკოს—«Искатель приключения») და, მეორე პიესები რევოლიუციონური იდეოლოგიით—(„ლიუბოვ იაროვაია“, „საჭე მარცხნივ“, „შტორმი“, „ილმუე ჩინეთო“, „ზაგმუკ“ და სხ.) პირველ მიდრეკილებას ახასიათებს რევოლიუციის, სმენავეხური მიღება და იმ რეაქციონური და დაცემულობის განწყობილების განმტკიცება. მეორე მიდრეკილება კი, პირიქით, ემყარება ახალი მაყურებლის ე. ი. პროლეტარული იდეოლოგიის მატარებელი მასსის მოთხოვნილებებს. ამ უკანასკნელ მიმართულებით უნდა წავიდეს ახალი დრამატურგიის განვითარება მან უნდა შეისწავლოს ახალი ადამიანი და მის მოთხოვნილებებს უნდა შეუფარდოს თავის შემოქმედების გზები, მიმართულება.

შემდეგ გადადის რა ქართული აკადემიური თეატრის დახასიათებაზე მომხსენებელი ამბობს, რომ საქართველოს თეატრი მოხვდა მოსკოვის დიდი თეატრების რკალში. იგი ისე, როგორც მეიერხოლდის და თაიროვის თეატრები, თავის თეატრალურ შემოქმედებას საფუძვლად უდევს ესტეტიურ კონსტრუქტივიზმს. აქაც [illegible]ებულია იგივე სცენის დეკორაციების [illegible], განათების ეფექტების, მუსიკის რიტმის გამოყენება და სხვა. („მალშტრემის“, „ზაგმუკის“, „საჭე მარცხნის“ დადგმა). შედარებით გაჯანსაღებულია და თანამედროვე მაყურებელთან შეფარდებულია რეპერტუარი.

სათეატრო პოლიტიკის მთავარი სახელმძღვანელო ხაზად უნდა დარჩეს იმ თეატრალურ მიმდინარეობათათვის ხელისშეწყობა, რომლებიც აწარმოებენ ერთმანეთს შორის ბრძოლას **იმ მიზნით,** რომ გამოსძებნონ ახალი საშუალებანი, ახალი ხერ[illegible] სცენიური გამოხატულების ასამაღლებლად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: პ. ქიქოძემ, შესტროვმა, პესიმისტმა, ლიუბოშმა, სუტირინმა და სხვებმა. რომელნიც არსებითად არ შეხებიან მომხსენებლის მიერ წამოყენებულ პრინციპიალურ დებულებებს და უმთავრესად შეჩერდენ თბილისის თეატრების პრაქტიკულ საკითხებზე.

—

◆ **ოპერის თეატრში** დღეს მიდის „სამსონ და დალილა“.

◆ **„ამერიკელი ძია“ პლეხანოვის კლუბში.** დღეს, 2 მარტს, ნაძალადევში პლეხანოვის სახელობის კლუბში სახელმწიფო დრამის ძალებით წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

სასამართლო

შრომის კანონების დარღვევისათვის

გუშინ, შრომის სასამართლოში ამხ. ჯღამაძის თავმჯდომარეობით გაირჩა აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის საფინანსო განყ. გამგის **ძიძიგურის** და ამავე განყოფილების 6 ბუხჰალტრის: **ჯავახიას, მაისურაძის, რუსიშვილის, გიორგაძის, ყორღანაძის და ტყემალაძის** საქმე.

აღნიშნულმა პირებმა ძიძიგურისაგან მიიღეს დავალება წლიური ანგარიშის შედგენის შესახებ. მუშაობის თავის დროზე შესასრულებლად ბუხჰალტრებმა მოიწვიეს რამოდენიმე თანამშრომლები, რომლებსაც ამუშავებდენ ნორმაზე მეტს. ამის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ძიძიგურის და 6 ბუხჰალტრის წინააღმდეგ.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბუხჰალტრები ძიძიგურის დავალებას ასრულებდენ და ამის გამო სასამართლომ ყველა ისინი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ძიძიგური დამნაშავედ იქნა ცნობილი შრომის კანონების დარღვევაში, რისთვისაც ის სასამართლომ დააჯარიმა 100 მანეთით.

სუსლინის, მასხულიას და ტარსეის საქმე

(განაჩენი)

გუშინ, საღამოს 8 საათზე, 7 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი **სუსლინის, მასხულიას და ტარსეის** საქმეზე.

სუსლინი სასამართლომ დამნაშავედ სცნო ყალბი საბუთების შედგენაში, რომლის ძალით მან ფოთის ნავთსადგურის პლატფორმებზე მდებარე 700.000 ფუთი შავი ქვის მადანი, ანგარების მიზნით, მიაკუთვნა ინგლისის „კლაიდესდალ ბანკს“. ამის გამო სუსლინს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამნისტიის ძალით სუსლინი სასჯელისაგან განთავისუფლებული იქნა.

მასხულია და ტარსეი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

მატარებლის დამტვრევა სადგ. სკრასთან

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელმა ამხ. **ქორქაშვილმა** დაასრულა წინასწარი გამოძიება **კონდრატი ხაზარაძის** საქმეზე.

ხაზარაძეს ბრალდება მატარებლის დამტვრევა.

1926 წ. 11 დეკემბერს სადგურ სკრაში სადგურის მორიგეთ იყო სადგურის უფროსი ხაზარაძე და მეისრე **მიხეილ ოქროშიაშვილი.**

გამოძიებით გამოირკვა, რომ მეისრე ოქროშიაშვილს მატარებლის გამტვრევაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რადგან ის ასრულებდა ხაზარაძის დავალებებს.

ხაზარაძე ამ ჟამად დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხ. მიხედვით (სამსახურისადმი გულგრილობა).

კონიაკის ფალსიფიკაცია

გუშინ, პირველი უბნის სახალხო სასამართლოში **გ. სალაღაშვილის,** სახალხო მსაჯულების: **გუგუშვილის** და **ძამაშვილის** და პროკურორ **კიკაბიძის** მონაწილეობით გაირჩა **აბრამ ბარგის** საქმე.

მოქ. ბარგის ყორღანის ქუჩა № 19-ში გახსნილი ჰქონდა კონიაკის საწყობი.

ბარგი ყიდულობდა კონიაკის სპირტს და სპირტიდან ამზადებდა ცუდი ხარისხის კონიაკს.

დამზადებული კონიაკისათვის რომ ფართე ბაზარი მოეპოვებია, მასში ურევდა სხვადასხვა ესენციებს; კონიაკს რომ კარგი ფერი მისცემოდა, ბარგი კონიაკში ურევდა ჩაის, ვანილს და დამწვარ შაქარს.

კონიაკის დამზადება სწარმოებდა ყოველგვარი გიგიენური წესების დაცვის გარეშე.

სასამართლომ ბრალდებული ბარგი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას რვა თვით თავისუფლების აღკვეთა.

მოქ. ბარგის აეკრძალა საერთოდ კონიაკის დამზადება.

სასამართლომ გამოიტანა აგრეთვე დადგენილება, რათა კონფისკაცია უყონ მოქ. ბარგის კონიაკის საწყობს.

ბოროტმოქმედება რკინისგზის სადგურში

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ა. **თენიეშვილის** თავმჯდომარეობით, დაიწყო თბილისის სადგურის ყოფილ მწონავის **აკაკი ზამბახიძის** საქმის გარჩევა.

ბრალს სდებს პროკურორი **აბაკელია,** ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ლვამიჩავა.**

1925 წ. ივლისში ზამბახიძემ გახსნა საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების სახელზე მოსული ერთი შეკვრა აბრეშუმის ქსოვილი და მიითვისა 933 მანეთის საქონელი.

1925 წ. 24 ივლისს, ჩხრეკის დროს ზამბახიძის ბინაზე აღმოჩენილი იქნა დიდძალი შალის, ბამბის და აბრეშუმის საქონელი. აღმოაჩინეს აგრეთვე დიდძალი ტყავეულობა.

ზამბახიძე პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ზამბახიძე თბილისის სადგურიდან სისტემატიურად იპარავდა სხვადასხვა ნივთებს.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

შემთხვევები

თავის მოკვლის განზრახვა

გუშინ დილის 10 საათზე თვით მკვლელობის მიზნით რევოლვერის ერთჯერ გასროლით მძიმედ დაიჭრა თავი სხკინმრეწვის თანამშრომელმა **მერაბ ვაჩნაძემ.**

ვაჩნაძემ თავი დაიჭრა მისი მეგობარის ჯღარკავაძის ბინაზე (ელისაბედის ქუჩა № 55). ტყვია მას მოხვდა გულში.

ვაჩნაძე მოთავსებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკაში (ყოფ. ალექსანდრეს სავადმყოფო).

ექიმების გადმოცემით, ვაჩნაძის ჯანმრთელობას საფრთხე არ მოელის.

თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ვაჩნაძის სიტყვით, მას რევოლვერი უცაბედათ გაუვარდა.

ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტა

გუშინ ნაშუადღევის 3-ნახევ. საათზე ბაქოს ქუჩით პლეხანოვის პროსპექტზე ჩამოვიდა ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო“-ს) პურის ფქვილით დატვირთული საბარგო ავტომობილი.

ამას წინედ პლეხანოვის პროსპექტის გასწვრივ გაიყვანეს მილები, რის გამო თხრილი ახლად მიწაყრილია და სათანადოდ დატკეპნილი არ არის.

ავტომობილის უკანა ბორბლები ჩაეფლენ ამ ახლა მიწაყრილ თხრილში და შეუძლებელი გახდა მათი ამოღება.

გაჩერებულმა ავტომობილმა დაიკავა ტრამვაის მარჯვენა ხაზი (მუშტაიდის მიმართულებით) და ტრამვაის მოძრაობა შესწყდა.

ბაქოს ქუჩიდან — ერევნის ქუჩამდე თავი მოიყარა მუშტაიდისკენ მიმავალმა ყველა რონოდებმა.

ერთი საათი მუშაობის შემდეგ ავტომობილი ამოიღეს და მოძრაობა განახლდა.

მკვლელობა

რამოდენიმე ხნის წინედ სოფ. შილდაში (თელავის მაზრა) მოქ. **ნიკოლოზ გავარდაშვილი** ღამით თავს დაესხა თავის სიმამრს **დიმიტრი ცისკარიშვილს** და ხანჯლით მოკლა იგი. მეორე ოთახში ეძინა ცისკარიშვილის შვილს, რომელიც ხმაურობაზე შევარდა მამის საწოლ ოთახში და ხანჯლით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა გავარდაშვილს. ეს უკანასკნელი იქვე გარდაიცვალა.

როგორც გამოირკვა გავარდაშვილმა მკვლელობა ჩაიდინა იმის გამო, რომ მას ჯანშორდა ცოლი და ამ გარემოებას სიმამრს აბ. ალებდა.

ნიკოლოზ ცისკარიშვილი დაპატიმრებულია.

„მეჩეთის“ გაძარცვა

სოფ. ქიანახში (სიღნაღის მაზრა) გაძარცვეს „მეჩეთი“; წაიღეს ხალიჩები და სხვა ნივთები.

სიღნაღის სამაზრო მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: **მათე კოდელა ვილი, გიორგი პავლიაშვილი და ადამ ბიჭუნაშვილი.**

ფულის გატაცება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მიღებულია ცნობა, რომ ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის თანამშრომელმა **დომენტი ნიკოს ძე ქერქაძემ** მიიღო ნატანების ფოსტის თანამშრომელისაგან თბილისიდან გადმოგზავნილი—8.000 მანეთი.

აღნიშნული თანხა ქერქაძემ გაიტაცა.

თავდასხმა

მდ. ჩელთის გაღმა „ენისელის კალოებთან“ სოფ. ყვარლის მცხოვრებს მოქ. **შაქრო ზაუტაშვილს** თავს დაესხა 3 ბოროტმოქმედი და გაძარცვეს.

წაართვეს საკერავი მანქანა, 73 მანეთი ფული და სხვა ნივთები.

2 ბოროტმოქმედი შეიარაღებული იყო შაშხანა თოფით ხოლო ერთი კი ხანჯლით.

ქურდების შეპყრობა

ამ დამოდენიმე ხნის წინედ ხითაროვის კოფილ ქარვასლაში გაქურდეს ბაზაზაშვილის ფართლეულობის მაღაზია, საიდანაც სახურავის გამოჭრის საშუალებით წაიღეს 900 მანეთის საქონელი.

სისხლის სამართლის მილიციამ ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: **გიორგი მურადოვი, თ. ახმედოვი და ხაჩატურ მატეოსიანცი.**

ყაჩაღის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ცნობილი ყაჩაღი **ნიკოლოზ აკოპოვი, იგივე ოგანეზ არუთინოვი.**

აკოპოვი ცნობილი იყო „კოლკა ზვერ“-ის სახელწოდებით.

აკოპოვმა მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ შეიარაღებულ თავდასხმასა და გაძარცვაში ქ. არმავირში. შემდეგ თავისი „მოღვაწეობა“ განაგრძო თბილისში. კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდა სამკერვალო ნადი „წითელი ოქტომბერი“ (პლეხანოვის გამზირი № 13).

რეციდივისტის შეპყრობა

გუშინ ს. ს. მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი—რეციდივისტი **ხამსონ მარქაროვი.**

◆ **ცეცხლი.** 28 თებერვალს კატლიაროვის ქ. № 4 აბრამ ხუდადოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ **გვამის პოვნა.** 28 თებერვალს 19 თებერვლის ქუჩის ახლო მოქ. პორტნოვის წისქვილის ქვეშ აღმოჩენილი იქნა დამხრჩვალი დედაკაცის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია.

◆ **სოფ. ხოლანლუღში** 28 თებერ. გაქურდეს ხანუმ ალახვერდი კიზის სავაჭრო. წაღებულია 195 მ. ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით ყიფიანის ქ. № 9 გაქურდეს მიხეილ მესხიშვილის ბინა. ქურდი პავლე გიორგის ძე მესხიშვილი დაპატიმრებულია.

◆ **შეპყრობა.** 28 თებერ. დააპატიმრეს ლევან რუიშვილი, რომელსაც ბრალდება სოფიო ჯანგოლიას ბინის გაქურდვა.

— ამავე დღეს ნავთლუღის ქ. №3 გაქურდეს ეფემია ქვეშოვის ბინა.

ბიბლიოგრაფია

„გრდემლი“ ყოველთვიური სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი. ქუთაისი 1927 წლის იანვარი № 1.

ჟურნალი იხსნება ამხ. სევ. მინდაძის წერილით—„ჩვენი ჟურნალი“. ავტორი არკვევს თანამედროვე კულტურულ პრობლემის და პროლეტარულ ხელოვნების პერსპექტივას. მისი აზრით ჟურნალი **„გრდემლის“** დანიშნულება პროლეტარული ხელოვნების გაღრმავებითა და განვითარებით განისაზღვრება. მაგრამ ჟურნალის შინაარსსა და ამ დანიშნულებას შორის თუ წინააღმდეგობა არა—ყოველშემთხვევაში დიდი განსხვავება მაინც არსებობს. პოეზიის განყოფილებაში მხოლოდ **კონსტანტინე ლორთქიფანიძის** პოემა: „სტენკა რაზინი“ იპყრობს ყურადღებას. აქ რევოლიუციონური თემატიკა მართლაც მძლავრად არის დამუშავებული პოეტის მხატვრული პოტენციით. **ვ. გაბესკირიას** ლექსი წმინდა დეკადენტურ-სიმბოლისტური მოვლენაა და პროლეტარულ ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. იგივე ითქმის **შ. ჩარკვიანის** შესახებაც. ანაზარდის ლექსი მხატვრული ღირებულების მხრივ სუსტია. შედარებით კარგია **კეშელავას** ლექსი.

პროზა ჟურნალში მეტად ღარიბათ არის წარმოდგენილი. **ლადო ბზვანელის** „იშვიათი მცენარე“—მეტად დაგვიანებული და უმნიშვნელოა. გაუგებარია, რა კავშირი აქვს ამ ცაცხვის გაზრდასა და გაზმობის ისტორიას ამხ. ლენინის გარდაცვალების სამი წლის თავთან? თუ ავტორი ამყარებს მხატვრულ ანალოგიას ცაცხვსა და ლენინის შორის, უნდა ითქვას, რომ ეს მეტად უხეში და უგემოვნო სიმბოლიკაა, **დია-ჩიანელის** „ფურცელი წარსულიდან“ მხატვრული ეპიზოდია 1905 წლის რევოლიუციის დროიდან.

ჟურნალის სამეცნიერო პუბლიცისტურ განყოფილებებში მოთავსებულია ამხ. **გ. დევდარიანის** საყურადღებო წერილი „სოციალისტურ დაგროვების საკითხის დაყენებისათვის“. ამხ. **ჟუმბურიძის** წერილიც აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს ეხება. აქვე მოთავსებულია **სიმონ ხუნდაძის** წერილი „უმთავრესი მომენტები რუსული და ქართული სოციალისტური აზროვნებიდან“.

როგორც ავტორი შენიშნავს, ეს წერილი არის ნაწილი ვრცელი ნარკვევის „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“. სოციალისტურ მიმდინარეობის დასაწყისს ის საქართველოს მე-60-ე წლების სინამდვილეში ხედავს. რამდენათაც ვიცით ქართული საზოგადოებრივი ისტორიის არც ერთი მკვლევარი როგორც მარქსისტებიდან, ისე არა მარქსისტებიდანაც არ აღნიშნავს მე-60 წლებში ისეთ მძლავრ სოციალისტურ აზროვნებას, რომ შეიძლებოდეს მისი მთელ საზოგადოებრივ მიმდინარეობათ აღიარება. თვით ავტორი აშკარათ ამბობს, რომ მე-60 წლებში საქართველოში **„გაიელვა სოციალისტურმა აზროვნებამ“,** რაც იმას ნიშნავს, რომ ამ აზრებს არ ჰქონია მტკიცე სოციალური ბაზისი. ხოლო ამ „გაელვების“ მწყობრ სოციალისტურ მიმდინარეობათ ჩამოყალიბება, ყოველ შემთხვევაში ამ წერილის მიხედვით, პრობლემატიურათ უნდა ჩაითვალოს. ექვს ვერ ფანტავს აგრეთვე მე-70 წლების რევოლიუციონურ მოღვაწეების დასახელებაც (მაიაშვილი, ჯაბადარი, ჩიკოიძე, გამყრელიძე, ციციშვილი), რადგან ეს პირები უფრო რუსეთის სოციალისტური აზროვნების წარმომადგენლები არიან, და ამ სახით ვიცნობთ ჩვენ მათ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიიდან. საქართველოში მათი მოღვაწეობა იმ დროისათვის უფრო ეპიზოდური ხასიათის იყო.

ჟურნალს აქვს აგრეთვე სახელოვნო განყოფილებაც. **ენდრო არაბულის** სამიმოხილვო წერილი შეიცავს მთელ რიგ პრინციპიალურ შეცდომებს პროზისა და პოეზიის ურთიერთობის საკითხში.

შოთა მანაგაძე თავის წერილში „კინო და თანამედროვეობა“ კინოს აპოლოგიიდან თეატრის სიკვდილს ასკვნის. ეს შემცდარი მოსაზრებაა, რომელიც ძლიერ გავრცელებულია დღეს. ეიხენვალდის და სხვათა გალაშქრება თეატრის წინააღმდეგ, უნდა გავიგოთ, როგორც რეაქცია იმ თეატრის მიმართ, რომელიც გასულმა საუკუნემ შეჰქმნა, და არა საერთოთ თეატრის—როგორც ხელოვნების უარყოფა. **ივ. ბარველის** წერილი მეტად პრიმიტიულ მოსაზრებას შეიცავს. საყურადღებოა ნ. მისაბიშვილის წერილი. ნეკრასოვის შესახებ. ჟურნალს აქვს ინფორმაციისა და ქრონიკის განყოფილებაც.

საერთოდ ჟურნალი, შინაარსის მიხედვით სავსებით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, პროლეტარულ იდეოლოგიის დაცვაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჩვენის ფიქრით ყოველთვიური ჟურნალის მაგიერ უმჯობესი იქნებოდა ქუთაისში ალმანახის გამოცემა და ისიც შერჩეული მასალით, რათა აცილებული იქნეს ის იდეოლოგიური სისუსტე, რომელიც „გრდემლი“-ს პირველ ნომერს სათანადო კვალს აჩენს.

მკითხველი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 2

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატისა
1927 წლის თებერვლის 28.

„შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებში შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის ოქმების ასლების წარდგენის წესის გაუქმების შესახებ“.

ვინაიდან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშაობაზე სისტემატიური ზედამხედველობის წარმოებით, კომისიის ფუნქციები, კომპეტენცია და მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა განსაჩივრების წესი საკმარისად პოპულიარიზაციაქმნილია, აგრეთვე ზედამხედველობის ადგილებთან დაახლოების და მიმოწერის შემცირების მიზნით.—შრომის სახალხ. კომისარიატი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წ. აპრილის 8-ის თარიღით და 17 №-ით გამოცემული დადგენილებით (მომქ. შრომ. კან. კრებ. 1926 წლ. გვ. 752) დაწესებული შემფასებელ-საკ. კომისიის ოქმების ასლების სახალხო კომისარიატის ორგანოებში გადაგზავნა.

2. შრომის ინსპექტორებს წარმოება-დაწესებულება, მეურნეობათა და სხვა დათვალიერება-გამოკვლევასთან ერთად დაევალოთ—ეცნობოდენ შემფასებელი საკონფლიქტო კომისიის მუშაობას და მათი მუშაობის ირგვლივ აღმოჩენილ დეფექტების და ნაკლულოვანებათა შესახებ მისცენ სათანადო განმარტებანი და მითითებანი.

3. აღნიშნულის განხორციელების დროს შესაძლებელ სიძნელეთა და დაბრკოლებათა შემთხვევებში სადაო პრინციპიალურ საკითხებს გადაჭრისათვის, შრომის ინსპექტორებს მართებთ მიმართონ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ ზედამხედველობის ბიუროს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

დ. ხ. აწ. საქ. ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარი **ა. მიქაძე.**

ზედამხ. ბიუროს გამგე შრომის საქმეთა პროკურორი **ამიროვი.**

შეთანხმებულია: ს.პ.კ.ს. თავმჯდომარე—**ყურულაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

—საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, ა.-წ. 2 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება რაიკომის პლენუმი, მე-2-ე რაიონის უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების, აგრეთვე მე-2-ე რაიონის უჯრედთა მდივნების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ პარტიული დღის ჩასატარებლად პარასკევს, 4 მარტს, მობილიზაციით გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:**

1) ლისოვსკი, 2) რუბენი, 3) მაშკევიჩი, 4) ახრიბეკოვი, 5) ხაცკევიჩი, 6) რახმანი, 7) ზავერდოვი, 8) შავერდოვა, 9) ცომაია, 10) ერისთავი, 11) აბაშიძე, 12) ნარჩიმაშვილი, 13) მეძმარიაშვილი, 14) ბოგდანოვი, 15) პეცოვი, 16) პოლოსოვი, 17) პრეობრაჟენსკი, 18) ორლოვი, 19) ნიკოლაევსკი, 20) არუსტამოვი, 21) ტაშჩიევი, 22) ბენსმანი, 23) ბელი, 24) სარქი[illegible]იანი, 25) ტოროშელიძე, 26) პიჩიკიანი, 27) კამალოვა, 28) ფრანგულიანი, 29) ავაქოვი, 30) ბეჟანოვი, 31) ნასარიძე, 32) ნასყიდაშვილი, 33) მიქაძე, 34) ბაბაჯანოვი, 35) ფანცხავა, 36) მიქლიანი, 37) კუროჩკინი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 2 მარტს, საღამოს 5 საათზე, მე-3-ე რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების შენობაში შესდგება მე-3-ე რაიონის ქალთა ორგანიზატორების თათბირი 8 მარტის დღესასწაულის ჩამტარებელ კომისიასთან ერთად.

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედის კომკავშირის წევრებს, რომლებიც არ ჩაწერილან პოლიტწრეებში, სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ.

ბიურო კოლექტივის აგიტპროპი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 2 მარტს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციის მე-2-ე პლენარული კრება.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ კონფერენციის ყველა დელეგატები, ყველა ტიპის პოლიტსკოლების ხელმძღვანელები და კომუჯრედების აგიტპროპორგანიზატორები.

— დღეს, 2 მარტს, დღის 12 საათზე, შესდგება საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა. დასწრება წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა დაუგვიანებლად.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. კვირიკაძესთან:

ალთუნაშვილი ზაქ. დარ., ანტონოვი ვასილ მაქს., ანდღიაძე კონსტ. პავლეს ძე, ანანოვი ქრ. სირ., ალექსანიანი არუთ. ავაკ., აირაპეტიანი ამბ. ისაევ., ბურკაძე კონსტ. კარკ., ბეილინ სემ. იოსეფ., ჯაჯუა კონ. უტუნ., გაგანიძე ვას. იორ., გელაშვილი დიმ. ტარ., დევალი პიმ. სპირ., დარახველიძე ანდრ. ივანეს ძე, ივანოვი პეტრე ნიკ., კაკაბაძე ილიკო ერასტ., კოვალევი ივ. ივ., კალანდაძე ვარდენ ვას., კიწმარიშვილი სემ. ალმაზ., კარაპეტოვი ე. ბალდასარ., მოვსესიანი მოვ. ბაგრ. (სედრ.), გეგენეიშვილი მიხ. ივ., მუსერიძე კონსტ. ტიმოთ., მუცელიანი იან. პეტრ., ნამჩინოვი ალ. ვლად., რაპოპორტი (იონოვი) ელ. მიხ., ტორია დიმ. გად., თურქინი ფედ. ტიმ., ხონერი ტრ. იოს., ხოჯაევი პან. იორდან., ჩითაძე გიორგი, ჭელიძე შალვა სოლომ., ჩხარტიშვილი კირ. ბიჭ., ჩიხოვი ექვლევან., შანიძე აკ. გიორგ., შახნაზარიანი კ. კ. (№ 40177,) ჰეჭიბაძე დავ. მელ., ცინცაძე ივანე ალექ., ცხომელიძე მიხ. ნიკიფ.

— დღეს, 2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, მოწვეულია ამხ. ლ. კ. კ. ცეკასთან არსებულ საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა. ყველა წევრების და კანდიდატების და აგრეთვე სახ. უნივერსიტეტის და ქ. მუშფაკის ბ.-კ. მდივნების ამხ. ჭელიძის და ამხ. მიქელოვის დასწრება სავალდებულოა.

ამასთანავე წინადადება ეძლევა ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დაუგვიანებლად: ქვენიშვილი, არომიძე, ფლუვა, მარტიროსოვი, ურუმელიძე, კვლივიძე და ფანჯავიძე.

— სახ. უნივერსიტეტის ეკ. ფაკულტეტთან არსებულ კომუჯრ. ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 2 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, მოწვეულია აღნიშნულ უჯრედის და კომ. კავშირის გაერთიანებული კრება. დასწრება წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ხვალ 2 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება რაიკომის პლენუმი მეორე რაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე მეორე რაიონის ყველა მდივნების დასწრება დაუგვიანებლათ.

ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 2 მარტს სამ საათზე ბიურო კოლექტივის ოთახში მოწვეულია თვისობრივ შემსწავლელ კომისიის სხდომა. დასწრება ყველა უჯრედებიდგან გამოყოფილ ამხანაგებისა და უჯრედის აგიტპროპების სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ბიურო კოლექტივი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ ლენინურ წრეების და მიმდინარე პოლიტიკის წრეების ყველა სტაროსტები და მდივნები სასწრაფოდ, ორი დღის ვადაში უნდა გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება პოლიტსკოლების და წრეების ქვემოდ დასახელებულ ხელმძღვანელთ სთხოვს გამოცხადდენ რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში ან დარეკონ ტელეფონით 26—26.

1) რუხაძე, 2) ღოღობერიძე, 3) ცაგარეიშვილი, 4) ლერმონტოვი, 5) მონახოვი, 6) მუსტირი, 7) ბაქრაძე, 8) გალუსტიანი, 9) ალექსანიანი, 10) რახმანი, 11) მაისურაძე, 12) სიხარულიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარტგანათლების ქსელის სკოლების (და წრეების) მსმენელთა კონფერენციის მეორე პლენარული სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 2 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ისაკოვთან: 1) ლეონტი ივანეს ძე დენისოვი. 2) ნიკოლოზ გრიგოლის ძე კახიაშვილი, 3) გრიგოლ ვასილის ძე ზაქიალოვი, 4) გრიგოლ ირაკლის ძე იაშვილი (ცენტრ. პარტსკოლა), 5) ემელიან ანთიმოსის ძე სიხარულიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 3 მარტს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება მესამე რაიონის ყველა პოლიტსკოლების სტაროსტების თათბირი.

უძვირფასესი მეუღლის დაკარგვით გაუბედურებული, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი დედა ნინო ალექსანდრე ჩუბინიძის ასული მაჭავარიანისა, დაჩაგრული პაწაწა და მზია, დიდიდედა ფოფიტო და ბაბუა ალექსანდრე ჩუბინიძე გულდამწვარნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალ. ზესტაფონში ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი უმანკო

ცისანა

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში ხუთშაბათს, 3 მარტს, გამოსვენება საკუთარ სახლიდან ნაშუადღევის 3 საათზე (ე)

გულდამწვარნი ბიცოლა ნინო, ბიძა ალექსანდრე მაჭავარიანები შვილებით: თინათინ, გიორგი და ანიკოთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ქალ. ზესტაფონში ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი პატარა

ცისანა

რომლის დაკრძალვა მოხდება ზესტაფონში ხუთშაბათს, 3 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან. (ე)

გულდათუთქული მშობლები: სონა და ვალერიან, ბებია ლიდინე, მამიდა ზაბლონა, ბიძები: კალენიკე, არკადი და აფრასიონ კვაჭაძეები; მარო და მირონ იმნაძეები ბებია ანნა და ბაბუა გიორგი მანშიაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ პატარა

ნათელას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 3 მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. ანიევის ქუჩა № 44 კუკიის სასაფლაოზე. ქვ. № 1884

ღრმად დამწუხრებული პეტრე დავითის ძე შვილებით: ანა, თამარი, მარიამი, ვერა, ნიკოლოზ და ვლადიმერით; შვილიშვილებით ნინო, ბარბარე, ნადია, მარო, და შურა; დები: ოლღა და ნინო, სიძენი: გიორგი კვიჟინაძე, პორფირე წირქვაძე და რომან გულისაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პირველ მარტს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა დედა, მე ამეთა და დანარჩენთა დიდი-დედა და სიდედრი

ანასტასია დავითის ასული ნარიმანიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი საღამოს 6 ს. ჩერქეზიშვილის ქ. № 119. (ი)

სახელმწიფო დრამა
3—1 ნ. 748
ხუთშაბათს, 3 მარტს
ბილ-ბელოცერკოვსკის
საჭე მარცხნივ!
პიესა 4 მოქ. 15 სურათი
მუსიკა: პ. იპოლიტოვის.
დადგმა: ალ. ახმეტელისა. კონსტრუქ. და კოსტ. ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
ნ. 754
დღეს, 2 მარტს, 1 აბონემენტის მე-8-ე წარმოდგენა სამსონ და დალილა
ხუთშაბათს, 3 მარტს ე. ა. სოლოპანოვას გასტ. უკანასკნელად ტრავიატა
შაბათს, 5 მარტს, პრემიერა ტრილბი

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 750
ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 2 მარტს 1927 წ.
ძლიერი სანახაობა 3 განყ. შერჩეული ნომრები !!!
მე-33-ე დღე ჭიდაობისა ცნობილ არბიტრის ი. ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით. საინტერესო ჭიდაობათა დღე
ჭიდაობს 4 წყვილი
გადამწყვეტი
ერტნერ—ვანდეიკ
დემონ—სიდიუკ
ყოფ. ნილაბი ჰერკულეს
ბურხან—ჟელეზნიაკ
მაისურაძე—იაუნზე

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. 17—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
10—17 ნ. 587
ბერნარდ გეტცკე მხატვრულ შედევრში
„ბერლინის გერები“
მონოპოლიურათ ჩვენთან: პირველად თბილისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
ФАВОРИТКА МАГАРАДЖИ
10 ნაწილად
მერი პიკფორდ სეზონის საუკეთესო სურათში „როცა გადნება თოვლი“
3 და 4 სერია „ტყავის ხელთათმანები“
ანონსი: მალე „თავადის ასული მერი“. (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით)

გასასყიდათ გამოვიდა
იოსებ იმედაშვილის
ახალი პოემა
მშვენიერა
რაჭის წარსულიდან. გამოცემა გერ. მარშანიასი, გარეკანის ნახატი ალ. გვეტაძისა. 48 გვ., ფასი 25 კაპ. მოიკითხეთ რკინისგზის ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში, კონტრ-აგენტებთან და გაზეთის ყველა გამყიდველებთან. ბითუმად მსურველებმა მიმართონ გამომცემელს გერ. მარშანიას—თბილისი, რკ.-კზ. სადგურის ჟურ.-გაზ. კიოსკში.
ნ. 691 5—4

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება აცხადებს

კონკურსს

შემდეგ ორ მუდმივ თანამდებობაზე:

1. ორსულთა კონსულტაციის გამგე-ექიმისა,—თვიური გასამრჯელო თვეში 88 მან. და
2. სან-გიგიენურ ინსტიტუტის ბაქტერიოლოგიურ განყოფილების ლაბორატორიის ლაბორანტის თანაშემწის—თვიური გასამრჯელო 60 მან.

საკონკურსო კომისიის სხდომა მოხდება შაბათს, 5 მარტს, დღის 12 საათზე, ჯანმრთელობის შენობაში (სომხის ქ. № 4), რომელ რიცხვებშიდაც კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველნი არდგენენ ჯან. განყოფილების გამგის სახელზე სტაჟისა და კავშირის წევრობის შესახებ ცნობებს, „კურიკულუმ ვიტე“-სა და განცხადებას.

ნ. 757. თბ. ჯანმრთ. განყოფილება.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 4 მარტს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 63 გოგოლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. საზ. „კახეთია“-ს მოძრავ ქონებას: რკინის სალარო თავისი ჩარჩოთი, სამოვარი, ამოსაწევი მანქანა, ორი გუთანი თვლებით, რკინის-ფილტრი რგვალი ზეიტცის ფირმა, ორი კასრი ორ ვედრიანები და ნარზანის ბოთლები შეფასებულს 80 მანეთად, გიორგი ლომიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 25 იან. 1927 წ. თარიღით, № 180 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა.
1882

დღეს. საღ. 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) გაიხსნება

განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს მე-6 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება განათლების მუშ. კავშირის ს.ს.რ.კ.ც. კომიტეტის მუშაობის შესახებ.
3. მოხსენება საქ. განათლების მუშაკთა კავშირის ც.გ. მუშაობის შესახებ.
4. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
5. განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო მე-6 ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.
6. ც.გ. და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

იქვე, საღ. 5 საათზე, შესდგება ყრილობის კომფრაქციის თათბირი.

ნ. 758. ც. გამგეობა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 6 მარტს დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 756

ქ. თბილისის გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებელი
კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 3 მარტს 1927 წ. საათის 1 დღისა ბნელ რიგში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოძრავ ქონებას მეერ ბერიძისას 25 დუჟინ წინდებს (ნასკებს) შეფასებულს ას მან. დასაკმაყოფილებლად „მერკურკრედიტ“-ისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.
1879

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ელენთის და გულის ხნეულებანი
ცივების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-მუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]ზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
ასაღი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ხნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, ხაშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილ ით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ.-მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „მონ-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხამსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

დაკარგა ინვალიდობის შეღავათიანი მოწმობა, მოცემული სოც. უზრ. ყოფის კომისარიატიდან დანიელ შამშეს ძე მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 1875

დაკარგა პირველ რაიონის ნანობაშვილის სახლის საბინაო წიგნაკი—მისამართი: ვაკე შოვის ქუჩა, ჩ. გ. 1874

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 33, ვასილ ზიცვას-ძე ლურწკაიას სახელზე, ჩ. გ. 1873

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 870, აბრამ ბალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1872

დაკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4, მიღებული ხარაგოულის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგესაგან თომა სიმონის-ძე ვეფხვაძეს სახელზე, ჩ. გ. 1873

დაკარგა პირადობის მოწმობა გრეგინ მანუკის-ძე აივაზოვის სახელზე, ჩ. გ. 1876

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ფ. № 4, გაცემული აბ ლ ხიბულის რაი-სამხედრო მაგიდიდან № 74, ლავრენტი მარკოზის-ძე გაგუას სახელზე. ჩ. გ. 1888

დაკარგა მეტრიკული მოწმობა № 87, გაცემული წითელქალაქის თემ-აღმასკომია მიერ, შოთა ალექსის-ძე შარიფაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1877

დაკარგა მოწმობა მოცემული ხაჰესის საამშენებლო უბნის სამექანიკო ნაწილიდან და კავშირის წიგნაკი საამშენებლო კავშირის № 4787, სერგო ილიას-ძე გორდეზიანის სახელზე, ჩ. გ. 1885

დაკარგა ლომბარდის ქვითარი—ბებურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1887

დაკარგა მელითონეთა კავშირის წიგნაკი № 3652, „გეტიდან“ მოცემული მოწმობა № 1502, საანგარიშო წიგნაკი „გეტიდან“ მოცემული № 52, ალექსანდრე ალიბეგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1886

დაკარგა პირადობის მოწმობა—ნიკოლოზ მათეს-ძე ლეჟავას სახელზე ჩ. გ. 1883

დაკარგა პირადობის მოწმობა № 4—თათარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1884

დაკარგა ერთიანი 3 | ბილეთი № 491344, დავით სპირიდონის-ძე აფციაურის სახელზე, ჩ. გ. 1878

დაკარგა სამხედრო თავისუფლების ბარათი, გიურქ სტეფანეს-ძე ნერსესოვის სახელზე, ჩ. გ. 1880

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 110, ნიკოლოზ აბესაძის სახელზე. ჩ. გ. 1881

დაკარგა განათლ. მუშ. კავშირის წიგნაკი ივანე რუხაძეს სახელზე, ჩ. გ. 1869

დაკარგა მელითონეთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1736—გიორგი პირველის სახელზე, ჩ. გ. 1870

დაკარგა პირადობის მოწმობა ოლღა ივანეს ასული დოლუბეგიანის სახელზე, ჩ. გ. 1871

დაკარგა პირადობის მოწმობა გაცემული თამაკონის თემ-აღმასკომის მიერ 1926 წ. 1 დეკემბ. № 237 ისაკი გორზიას სახელზე, ჩ. გ. 1888

დაკარგა ვან თლების მოწმობა № 140 მოცემული კულაშის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმიდან ივანე ნიკო-ძე ქინდ-რაას სახელზე, ჩ. გ. 1888

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.